პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—16
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 9 ივლისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 154 (1899)

დღიური

- ბოროდინას საქმის გარჩევა დანიშნულია 19 ივლისისათვის.
- პეკინში აღმოაჩინეს ფინ-იუ-სიანის დავალებით მომქმედი ორგანიზაცია.
- ვოლინში (პოლონეთი) სათემო თვითმართველობის არჩევნებში იმარჯვებენ უკრაინელები.
- საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ უარყო კომფრაქციის წინადადება აფრიკიდან დისციპლინარული ბატალიონების გამოწვევის შესახებ.
- ტალბოტში (ინგლისი) სამთამადნო მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.
- ხაიფში (ოსმალეთი) გაიმართა ინგლისის საწინააღმდეგო დემონსტრაცია.

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საბინაო აღმშენებლობის საკითხები

უკანასკნელი წლების განმავლობაში საბჭოთა რესპუბლიკებმა დიდი ეკონომიური და კულტურული გამარჯვება მოიპოვეს. მაგრამ ამ საერთო ზრდას მნიშვნელოვნად ჩამორჩა საბინაო აღმშენებლობა. მეურნეობის ამ დარგში ჩვენ განსაკუთრებით მცირე მიღწევები გვაქვს. ამავე დროს საბჭოთა მრეწველობის შემდგომი განვითარება, მშრომელი მოსახლეობის შეუჩერებელი კულტურული ზრდა, ახალ ყოფა - ცხოვრების განმტკიცება და სხვა კულტურულ - ეკონომიური საჭირბოროტო საკითხების წარმატებით გადაწყვეტა მჭიდროთ არის დაკავშირებული საბინაო კრიზისის დაძლევასთან, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკაში საყოველთაო მოვლენას წარმოადგენს.

რა არის იმის მიზეზები, რომ ჩვენში ასე ნელი ნაბიჯით მიდის წინ საბინაო აღმშენებლობა? ამ მხრივ მეტად საგულისხმო საქ. კომპ. თბილ. კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია, რომელიც დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება. ახალი საბინაო აღმშენებლობის მთავარ დამაბრკოლებელი მიზეზებია: აღმშენებლობის მასალის და მუშახელის სიძვირე, საბინაო საშუალებათა დაგროვებისადმი უყურადღებობა და საბინაო შემოსავლის არა რაციონალურათ დახარჯვა. რასაც ადგილი აქვს როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ, ისე კერძო პირთა სახლების მეურნეობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი არანორმალური მოვლენა, ესაა ახალ ნაგებობათა ტეხნიკური უვარგისობა, რომლის გამო ისინი ნაკლებათ გამძლეობის არიან და ხშირათ დასრულების შემდეგ საჭიროებენ განმეორებით შეკეთებას. ტეხნიკურ უვარგისობას მიეწერება აგრეთვე ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში ახლად აგებული სახლები არ უგუებიან თანამედროვე ჰიგიენურ და სანიტარულ პირობებს. დაბალი ჭერები, ნესტიანობა, სიბნელე ბინებში, კანალიზაციის უვარგისობა ან სრული უქონლობა, წყლის მიწოდების მოუწესრიგებლობა და სხვა,—აი, ის დეფექტები, რომელთაც ზოგჯერ ვხვდებით ახალ შენობებში. ეს უმთავრესად გამოწვეულია აღმშენებლობის გაიაფების მიზნით, მაგრამ ამას გარდა ისიც უდავოა, რომ ადგილი აქვს ხელმძღვანელ ტეხნიკური პერსონალის უხეიროთ შერჩევასაც და საბინაო აღმშენებლობაზე მომუშავეთა გულგრილობას.

ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე არსებული ბინები. დაახლოებით ცამეტი წლის განმავლობაში სახლების დიდი უმრავლესობა არ შეკეთებულა. ამ ხნის სათანადო მზრუნველობას მოკლებული ჩვენი ქალაქების ვეებერთელა საბინაო ინვენტარი ინგრეოდა და ზიანდებოდა. ასეთი მდგომარეობა მომავალში აღარ უნდა გაგრძელდეს.

არსებულ საბინაო კრიზისის დაძლევა უნდა მიმდინარეობდეს ორი მთავარი გზით. პირველი მათგანი მდგომარეობს საბინაო ფონდის დაცვა - შენარჩუნებაში და მეორე ახალ საბინაო აღმშენებლობის გაფართოებაში.

პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს მთელ რიგ დაბრკოლებებს. ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ შენობათა შეკეთება ბევრ შემთხვევაში არ სწარმოებს იმის გამო, რომ შემოსავალი ბინებიდან არარაციონალურად იხარჯება. ეს შემჩნეულია სახელმწიფო და კოოპერატიულ სახლებში და განსაკუთრებით კერძო ბინათ მეურნეობაშიც. ამიტომ არსებულ საბინაო ფონდის დაცვისათვის საჭიროა გამოძებნილ იქნას სახლის მეურნეობათა შემოსავლის კონტროლის ფორმები. კონტროლი მიზნათ უნდა ისახავდეს იმის შემოწმებას, თუ რას ხმარდება სახლის მეურნეობისგან დატოვებული შემოსავალი. გარდა ამისა სახლის მეურნეებს როგორც სახელმწიფო - კოოპერატიულს, ისე კერძო პირებისას იძულებითი წესით უნდა დაეკისროს, რომ მათ შემოსავალი პირველ ყოვლისა სახლის შეკეთებას მოანდომონ.

ამასთან ერთად, რომ საბინაო მეურნეობა უფრო მტკიცე ფინანსიურ საფუძველზე დადგეს, საჭიროა ბრძოლა გამოეცხადოს საბინაო ქირის თავის დროზე შეუტანლობას, რაც დღეს თითქმის საყოველთაო მოვლენას წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ არანორმალობათა აღმოსაფხვრელად, რომელსაც ხშირად ადგილი აქვს ბინის ექსპლოატაციის დარგში, აუცილებელია სასამართლოს აპარატის მუშაობის გამარტივება - გაუმჯობესება. უნდა მიღებულ იქნას ზომები, რომ წვრილმან საბინაო კონფლიქტებს სასამართლო სწყვეტდეს განკარგულების წესით. რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, მათი გარჩევა მეტი სისწრაფით უნდა ხდებოდეს.

ყველაფერი ეს უთუოდ დიდათ შეუწყობს ხელს არსებულ საბინაო ფონდის მოვლას.

ახალ საბინაო აღმშენებლობის გაჯანსაღება - გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღმშენებლობის მასალის ხარისხოვან გაუმჯობესებას და ამასთან ერთად მისი აუცილებელ გაიაფებას.

გარდა ამისა ქალაქის საბჭოების კომუნალურმა მეურნეობებმა, მსხვილ წარმოება - დაწესებულებების მმართველ ორგანოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ საბინაო აღმშენებლობისათვის მტკიცე მატერიალური ბაზის შესაქმნელად. ამ მხრივ მათ დახმარება უნდა გაუწიონ ჩვენმა საფინანსო ორგანოებმა. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბინაო მშენებლობის კრედიტის საკითხის მოგვარებას. უნდა გადიდებულ იქნას საკრედიტო ასიგნობები და ამ ასიგნოებებით სარგებლობის უფლებები.

საჭიროა საკრედიტო შეღავათების საშუალებით ხელი შეუწყოთ საბინაო აღმშენებლობის საქმეში საზოგადოებრივ ინიციატივის ზრდა - განვითარებას. მუშათა საბინაო კოოპერატივები საბინაო აღმშენებლობის ერთ - ერთ მთავარ დასაყრდენ ფუძეთ უნდა გადაიქცეს. რომ კოოპერაციის ეს დარგი შესაფერისად განვითარდეს, საჭიროა განსაკუთრებული შეღავათების დაწესება დაბალ ხელფასიან მუშა - მოსამსახურეებისათვის.

ასეთია საბინაო ფრონტზე არსებულ სიძნელეთა დაძლევის მიზეზები, რომლითაც უნდა წარიმართოს ჩვენი სათანადო ორგანოების მუშაობა. საბინაო აღმშენებლობა დღემდი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის მტკივნეული ადგილია. რაც მალე მოეღება ბოლო ასეთ მდგომარეობას, მით უფრო სწრაფი ნაბიჯით წავა წინ ჩვენი სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობა.

როგორ მიმდინარეობს რაციონალიზაცია

გავიდა უკვე ოთხი თვე მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა პარტიის ცეკას დირექტივები წარმოების რაციონალიზაციის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში ბევრია გაკეთებული პარტიული, სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების მიერ მუშათა მასებისთვის ცხოვრებაში გასატარებელ ღონისძიებათა შინაარსის და მნიშვნელობის განსამარტებლათ. ამავე ორგანოების მიერ დიდი მუშაობაა ჩატარებული რაციონალიზაციის შესახებ კონკრეტიული დირექტივების ცხოვრებაში გასატარებლათ.

უკანასკნელ დროს ფაბრიკა-ქარხნებში სწარმოებს ენერგიული მუშაობა წარმოების რაციონალიზაციისთვის. მუშათა მასა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს, ფართე მუშათა მასებს ემჩნევა სწორი მიდგომა წარმოების რაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებულ სერიოზულ და რთულ პრობლემებთან, წარმოების რაციონალიზაციის ნიადაგზე ძლიერდება საწარმოო თათბირების და კომისიების მოქმედება და იზრდება მუშების გამოგონებათა და წინადადებათა რიცხვი. ეს გამორკვეულია მოსკოვის და ლენინგრადის ქარხნების შემოწმების დროს. გაცხოველებულია მუშაობა ნაწარმოების სტანდარტიზაციისთვის და მთელი რიგი სამეურნეო ორგანოების გადასაყვანათ მასიური, მსხვილ-სერიული ხასიათის წარმოებაზე. სულ რამოდენიმე დღეა, რაც შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებულმა სტანდარტიზაციის კომიტეტმა გამოაქვეყნა 90 საწარმოვო სტანდარტი, რომელთა შორის არის სტანდარტებიც, რომლებიც ვრცელდებიან წარმოების მთელ დარგების პროდუქციაზე, როგორიცაა მაგალითად წუმწუმა, საპონი, საამშენებლო აგური და სხვა. დამუშავების პროცესშია თითქმის ათასამდე ახალი სტანდარტი. წარმოებაში მოთავსებული კაპიტალების ეფექტივობის საკითხსაც ექცევა უფრო და უფრო მეტი ყურადღება. არსდება სპეციალური ინსტიტუტები გეგმების შესამუშავებლათ და ეწყობა სამეცნიერო ტეხნიკური ძალების კონსულტაცია. უკანასკნელ დროს, წარმოების რაციონალიზაცია იპყრობს პროფესიონალური ორგანიზაციების ყურადღებასაც. და პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ამის გამო სპეციალური წერილით მიმართა პროფესიონალურ კავშირებს.

მაგრამ არსებით მიღწევებთან ერთად უნდა იქნეს ხაზგასმით აღნიშნული ნათლად გამოაშკარავებული სუსტი მხარეებიც. ერთ ერთი ძირითადი ნაკლი ის არის, რომ არ არსებობს მუშაობათა გეგმა წარმოების რაციონალიზაციის გატარებაში. ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების პრაქტიკაში ბევრი მაგალითია იმისა, რომ ცალკე და ხშირად ბრწყინვალეთ გატარებული ესა თუ ის ღონისძიება, იძლეოდა უარყოფით შედეგს იმიტომ მხოლოდ, რომ ეს ღონისძიება არ იყო შეთანხმებული სხვა ღონისძიებებთან და მთელი წარმოების ინტერესებთან. მაგალითად, „კრასნი პროლეტარი“-ს სახელობის ქარხანაზე მშვენივრად იყო მოწყობილი ლიბერის სისტემის სასწორების დამზადება და ბევრიც გაკეთდა ქარხნის მოსამზადებლათ საქონლის მასიურად გამომუშავებისათვის, მაგრამ არ იყო მიღებული მხედველობაში ბაზრის შესაძლებლობანი. ამას შედეგათ მოყვა ის, რომ ქარხნის საწყობში დაგროვდა სასწორების დიდი რიცხვი და საჭირო შეიქნა მისი მასიური დამზადების შეკვეცა. სახალხო მეურნეობის ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ, რომ წარმოების რაციონალიზაციის საქმეში, წარმოების შინაური რესურსების გამოყენების დროს, თვითეულ ტრესტში, ფაბრიკაზე თუ ქარხანაზე, და თვითეულ საამქროში წინდაწინ იქნეს შედგენილი გასატარებელ ღონისძიებათა სათანადო გეგმა. ყოველგვარი ღონისძიება უნდა იქნეს დაწვრილებით მოფიქრებული და დაკავშირებული ეკონომიური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით სხვა ღონისძიებებთან. ამ მხრივ სერიოზული მნიშვნელობა აქვს გამოცდილების გაცვლა-გამოცვლას როგორც ტრესტის ფარგლებში, ისე, მთელი მრეწველობის ფარგალში. ბრძოლა საწარმოო საიდუმლოებათა დაცვასთან უნდა გაძლიერდეს. წარმოების ცალკე დარგების, ტრანსპორტის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარების პერსპექტიული გეგმა უნდა წარმოადგენდეს იმავე დროს წარმოების რაციონალიზაციის გეგმასაც. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს წარმოების რაციონალიზაციას ჩვენი ქვეყნის დაცვის უნარიანობისთვის. მუშა-გლეხურმა ქვეყანამ, რომელიც გარს შემორტყმულია მტრულად განწყობილი კაპიტალისტური ქვეყნებით, უნდა ემზადოს იმისთვის, რომ შესძლოს სათანადო პასუხი გასცეს გამხეცებულ იმპერიალისტებს და დაიცვას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი. წარმოების რაციონალიზაციის და წარმოების გარდაქმნის გეგმების გამომუშავების დროს, უნდა იყოს მხედველობაში მიღებული მომავალი ბრძოლაც. ამ შემთხვევაში წარმოების რაციონალიზაცია უნდა სწარმოებდეს იმ ნაირად, რომ შეიძლებოდეს წარმოების გარდაქმნა, საჭიროების დროს, სამხედრო საგნების დასამზადებლათ, რომლებიც მოითხოვენ არა მარტო მაღალ ხარისხს და სიიაფეს, არამედ უდიდეს სისწორესაც.

წარმოების გეგმიანობისა და მომზადების საკითხები, თვითღირებულების ელემენტებისა და სწორი კალკულიაციის შესწავლა, თანხების ბრუნვის აჩქარების საკითხი, შინასაქარხნო ტრანსპორტი, თბოძალოვანი მეურნეობა, შრომის დაცვა და უშიშროების ტეხნიკა—აი ის ღონისძიებები, რომლებიც ზემოდ ჩამოთვლილ ღონისძიებებთან ერთად, უნდა წარმოადგენდენ მთავარი ყურადღების საგანს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშა-ხელის, უფრო მეტად დამხმარე მუშათა კადრების, რაციონალური გამოყენებისა და სამუშაო დღის დატვირთვის საკითხს. ასე, მაგალითად, ფაბრიკა „III ინტერნაციონალ“-ში 1926—27 წ. მეორე კვარტალში სამ დაზგაზე მომუშავე ფეიქარმა 48½ %-ით მეტი მიტკალი დაამზადა, ვიდრე მაშინ, როდესაც ორ დაზგაზე მუშაობდა; სამუშაო ხელფასი კი გაუდიდდა 27½ %-ით. ასეთივე სურათს ვხედავთ ლაპინის სახელობის ფაბრიკაშიც: შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 44½ %-ით, ხოლო სამუშაო ხელფასი—26½ %-ით. ეს მაგალითები საუკეთესოდ გვიჩვენებენ იმას, თუ რამდენად სასარგებლოა როგორც წარმოებისა, ისე მუშებისათვის სწორად გატარებული რაციონალიზაცია.

შრომის დიდი დანაწილება, შეცვლითი მუშაობა და დასვენება, შრომის სწორი დანორმვა, პრემიალური ხელფასის სისტემის განვითარება,—აი ყველა ის ღონისძიებები, რომლების გარეშე წარმოუდგენელია წარმატებითი წინსვლა უფრო მაღალ ტეხნიკისა და წარმოების ორგანიზაციისაკენ.

მუშების ის ზედმეტი რაოდენობა, რომელიც შეიძლება დარჩეს სარაციონალიზაციო ღონისძიებათა გატარების შემდეგ, შეძლების დაგვარად და შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებისა და პროფკავშირების დახმარებით გადაყვანილ უნდა იქნას მეზობელ ფაბრიკებსა და ქარხნებში, იმ შემთხვევაში, თუ ზედმეტი მუშების გამოყენება შეუძლებელი გახდება ადგილობრივ. მაინც დიდი სიფრთხილეა საჭირო მუშა - ხელის შემცირების დროს. პირველ ყოვლისა საჭიროა წარმოების გაშლის უახლოესი პერსპექტივების გათვალისწინება. სამეურნეო ორგანოებმა თავისი ღონისძიებები უნდა შეუთანხმონ საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებს.

დღემდე პრესაში და სხვადასხვა კრებებსა და სხდომებზე გრძელდება ლაპარაკი სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა მნიშვნელობის შესახებ წარმოების რაციონალიზაციის საქმეში.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ დარგში პრაქტიკულად ჯერ ძალიან ცოტაა გაკეთებული. სახ. მეურ. უმაღ. საბჭ. სამეცნიერო-ტეხნიკურ ხელმძღვანელთა თათბირზე, რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინად გაიმართა, გამოსული ორატორები აღნიშნავდენ მრეწველობის სუსტ კავშირს სამეცნიერო-ტეხნიკურ საბჭოებთან. ეს კავშირის სისუსტე გამოიხატება იმაში, რომ სამეურნეო ორგანოების მხრივ ძალიან შემცირდა შეკითხვები სამეცნიერო-ტეხნიკური ხასიათის რჩევის მისაღებად. სავაჭრო-სამრეწველო გაზეთის მიერ ჩატარებულმა კამპანიამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთ ქარხნებში არის საერთო ენა წარმოების რაციონალიზაციაზე მომუშავე სხვადასხვა მუშაკებისა და საამქრო და ტეხნიკურ პერსონალს შორის.

წარმოების რაციონალიზაციისაკენ მიმართული ღონისძიებები მხოლოდ მაშინ იქნებიან უზრუნველყოფილი წარმატებით და მხოლოდ მაშინ გამოიღებენ უდიდეს ეკონომიურ ნაყოფს, თუ მათ მხარეზე იქნება თვით მუშების აქტიური დახმარება. აი რატომ არის აუცილებელი უდიდესი სიფრთხილით მიდგომა ამ ღონისძიებებისადმი და მათი აწონ-დაწონვა ყოველმხრივ. სამეურნეო და ტეხნიკური პერსონალი უნდა ერიდოს მოუფიქრებელ ნაბიჯებს (უმიზეზოდ დათხოვა, ყოფა-ცხოვრებითი პირობების გაუარესება და სხვ.), რომლებსაც შეუძლიათ პარტიისა და მთავრობის დირექტივების დამახინჯება. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მუშების ზოგიერთ ფენებს და პარტიულებსაც კი დღემდე საკმაოდ არ შეუთვისებიათ სოციალისტური რაციონალიზაციის მიზნები და ამოცანები. პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების ამოცანაა—ახსნა-განმარტებით მუშაობის გაძლიერება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გასატარებელ ღონისძიებათა მიზანი და მნიშვნელობა გასაგები იყოს მთელი მუშათა მასისათვის, და მის ჩამორჩენილ ნაწილებისთვისაც.

საწარმოო თათბირების საშუალებით მუშათა მასები ფართედ უნდა ჩავაბათ აქტიურ მუშაობაში წარმოების გასაუმჯობესებლად. არც ერთი ღონისძიება არ უნდა გატარდეს მუშების დაუკითხავად. რამდენადაც შესაძლებელია, უნდა გამოვიყენოთ მუშათა კლასში დაგროვილი უდიდესი გამოცდილება. საჭიროა, აგრეთვე, გამოვიყენოთ ყველაზე გამოცდილ მუშებისა და ტეხნიკოსების გამომგონებლობითი ინიციატივა. მხოლოდ ასეთ პირობებში შევსძლებთ ჩვენ რაციონალიზაციის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, თვითღირებულების შემცირებას, პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებას და, ამით, მშრომელთა ცხოვრების მაქსიმალური კულტურული დონის ამაღლებას.

„პრავდა“

მოსკოვი, 8 ივლისი.

ჩინეთის რევოლიუციონერები განაგრძობენ ბრძოლას

ჩან-კაი-ში სასტიკი ტერორით ებრძვის კომუნისტებს

უთანხმოება სეიმსა და პილსუდსკის შორის დღითიდღე ღრმავდება

რევოლიუციური მოძრაობა ჩინეთში

დოკერების გაფიცვა

შანხაი, 7 ივლისი. ცზიანიში გაიფიცენ დოკერები, რომლებიც მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას. ნანკინის მთავრობის სამხედრო-საზღვაო ხელისუფლების წარმომადგენლები მოუწოდებენ პატრიოტიზმისაკენ. მოწოდებას ჯერ არავითარი შედეგები არ მოუტანია. ადგილობრივ სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ნანკინს მიმართეს ინსტრუქციებისათვის. (ადს.)

გაფიცვა შანხაიში

შანხაი, 7 ივლისი. აბრეშუმის ფაბრიკების მუშა ქალების გაფიცვა შანხაიში დამთავრდა გაფიცულების ნაწილობრივი გამარჯვებით. (ადს).

რევოლიუციონერების დევნა

შანხაი, 7 ივლისი. უკანასკნელ დროს იმ ტერიტორიაზე, რომელიც ნანკინის მთავრობის განკარგულებაში იმყოფება, კვლავ გაძლიერდა რეპრესიები. დაპატიმრებულებს შორის არის ხაო-შენ-ჩანი, რომელსაც უნახეს დაახლოებით 40.000 დოლარი, რომელიც თითქოს უნდა მოხმარებოდა ნანკინის მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობას.

გუშინ სიკვდილით დასაჯეს 10 კაცი, რომელთაც ბრალს სდებდენ ნანკინის მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობაში. სიკვდილით დასჯილთა გვარებს პრესა არ აქვეყნებს.

ნინბოში, მიუხედავად „გაწმენდისა“, რომელიც გენერალმა იან-ფუმ მოახდინა, კვლავ აღმოაჩინეს „კომუნისტური შეთქმულება“. დაპატიმრებულია ოთხი კაცი. კანტონში პოლიცია თავს დაესხა ცენტრალურ უნივერსიტეტს. დაპატიმრებულია ბევრი სტუდენტი.

კანტონიდან მიღებული ცნობით, პოლიციამ თითქოს აღმოაჩინა ორგანიზაცია, რომელიც ცდილობდა კონტრაბანდული გზით ქალაქში თოფების და ამუნიციის გადაზიდვას. ამასთან დაკავშირებით ბევრი დააპატიმრეს და გამოაცხადეს ქალაქში სამხედრო მდგომარეობა.

შანხაიში დააპატიმრეს ახლად ჩამოსული გომინდანის წარმომადგენელი ამერიკაში, ვუ-სიუ-ინი. მიუხედავად მასიური რეპრესიებისა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც განაგებს ჩან-კაი-ში, რევოლიუციონური მოძრაობა არ ცხრება. ჩინური გაზეთები იუწყებიან, რომ ქალაქ ტაისინის ხელისუფლებამ მიმართა თხოვნით მე-14-ე არმიას, რომელიც სდგას ვუსიხეში (ძანის პროვინციაში), დაუყოვნებლივ გამოგზავნოს მაშველი ჯარი, 5.000-ანი გლეხური რაზმის წინააღმდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტი სუ-ნი, და რომელსაც ორი დღეა რაც, ალყა აქვს შემორტყმული ქალაქისათვის.

ჩან-კაი-შიმ სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა გუშინ შანხაიში ჩინელ სავაჭრო წრეების წარმომადგენლების წინაშე, განაცხადა, რომ თავის უდიდეს ღვაწლათ სთვლის მუშათა მოძრაობის ჩაქრობას. თუმცა ისიც განაცხადა, რომ საშიშროება ჯერ არ გამქრალა, ფარული მოძრაობა არსებობს, მოსალოდნელია ახალი აფეთქება და შესაძლებელია კომუნისტური საშიშროება კვლავ გახდეს აქტუალური. (ადს).

დამსჯელი ექსპედიცია

პეკინი, 7 ივლისი. იაპონიის სააგენტოს ცნობით, ჩჟოუ-ჩენ-ჟენის წინააღმდეგ, რომელიც სამხრეთელების მხარეზე გადავიდა. ჩან-ძუ-ჩანმა გაგზავნა დამსჯელი ექსპედიცია ექვსი ბრიგადის შემადგენლობით. თავის მხრივ სუნ-ჩუან-ფანმაც გაგზავნა დამსჯელი ექსპედიცია ჩჟენ-ჩი-ნენის მეთაურობით. სუნ-ჩუან-ფანის არმიის მე-12 დივიზიამ, რომელიც კიაოჩოუში არის დაბანაკებული, აღმართა გომინდანის დროშა. (ადს).

ამერიკის ჯარები ცინდაოში

პეკინი, 7 ივლისი. ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ ცინდაოში გადმოსხდა ამერიკის ფეხოსანი ჯარის რაზმი 500 კაცის რაოდენობით. (ადს).

უთანხმოება გენერლებს შორის

შანხაი, 7 ივლისი. ტოკიოდან იუწყებიან, რომ ჩან-ცზუნ-ჩანის და სუნ-ჩუან-ფანის შორის უთანხმოება ძლიერდება. ჩჟან-ჩუან-ფანს და გადაწყვეტილი აქვს პირადათ უხელმძღვანელოს სამხედრო ოპერაციებს. (ადს).

მუკდენის ჯარების წინსვლა

შანხაი, 7 ივლისი. შეუმოწმებელ ცნობების თანახმად, ინგლისის რადიო ხანკოუდან იუწყება, რომ მუკდენის ჯარებმა გადალახეს ყვითელი მდინარე და გადასჭრეს რკინის გზის ხაზი ჩენჩჟოუ, და ლოიანის შუა. იმავე ცნობების თანახმად, ფინ-იუი-სიანმა დაიხია ლოიანისაკენ. შემდეგ რადიო გადასცემს ხმებს უხანის ჯარების შეტევის შესახებ სიანო-დუ-ინის წინააღმდეგ. შეტევა სწარმოებს იანცზის მიმართულებით. იმავე ცნობებით სატელეგრაფო კავშირი ხანკოუს და შანხაის შორის შეწყვეტილია. (ადს).

ჩან-კაი-შის მოქმედება

შანხაი, 7 ივლისი. როგორც ირკვევა, ცინდაო ჯერ არაა დაკავებული ნანკინის ჯარების მიერ. პეკინიდან მიღებული დეპეშის თანხმად, მოლაპარაკება ქალაქის უბრძოლველად ჩაბარების შესახებ, უშედეგოდ ჩატარდა. ბრძოლა სწარმოებს ჩენიანში (36 კილომეტრითაა დაშორებული ცინდაოდან ჩრდილოეთის მიმართულებით, ცინდაო-ცინანის რკინის გზის ხაზზე).

„ნორტ ჩაინა დეილი მიუზი“-ს პეკინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პეკინში მოელიან ცინდაოზე თავდასხმას უახლოეს მომავალში. იაპონიის სააგენტო ტოხო იუწყება, რომ საერთო განწყობილებასთან და შანდუნის უიმედო მდგომარეობასთან დაკავშირებით, ჩრდილოელებს გადაწყვეტილი აქვთ დაცვის პირველი ხაზი შექმნან ტერჟოუში ტიანძინ-პუკოუს რკინის გზის ხაზზე. იქ გაიგზავნა მუკდენის მესამე და მეოთხე არმიების რჩეული ჯარები. (ადს).

კედოგიას განცხადება.

იაპონიის ჯარები

პეკინი, 7 ივლისი. ცინდაოდან მიღებულ ცნობების თანახმად, ცზინანფუში გაიგზავნა იაპონიის ჯარების კიდევ ერთი რაზმი, რიცხვით დაახლოებით ათასი კაცი. (ადს).

ფინ-იუ-სიანის აგენტები პეკინში

პეკინი, 7 ივლისი. „ხუან ბაო“ იუწყება, რომ პეკინში აღმოუჩენიათ ფინ-იუი-სიანის დავალებით მომქმედი ორგანიზაცია. დაპატიმრებულია სარდალი მა-ბა-ჩენი და კიდევ 8 კაცი. (ადს).

იაპონიის პრესის კამპანია

ტოკიო, 7 ივლისი. იაპონიის პრესა სასტიკად აკრიტიკებს მთავრობას შანდუნში ახალი ჯარების გაგზავნისათვის.

„ნიცი - ნიცი“ სწერს, რომ ჯარების გაგზავნა ნიშნავს მილიტარისტული დიპლომატიის გამარჯვებას. იმ გარემოებამ, რომ ტანაკა პრემიერიც არის და გარეშე საქმეთა მინისტრიც, ჩვენი საგარეო პოლიტიკა აქცია სამხედრო პოლიტიკათ.

„ტოკიო ასახი“ სწერს: „ტანაკას კაბინეტში სრული არევ - დარევაა. ჯარების გაგზავნა გამოიწვევს მხოლოდ იაპონიის წინააღმდეგ ბოიკოტის გაძლიერებას. ჯარების გაგზავნა ეხლა სახიფათოა აგრეთვე იმითაც, რომ მას კიდევ ახალი ჯარების გაგზავნა მოჰყვება. ჩვენ სერიოზულად გვაშინებს ჩვენი პოლიტიკის მომავალი ბედი ჩინეთში“.

„ხოცი“ სწერს: „ჯარების გაგზავნა, რომელიც მოხდა სამხედრო ხროვის მოთხოვნილებით, დიდი შეცდომაა. ლოღიკურად მას მოჰყვება ახალი ჯარების გაგზავნა. ჩინეთისათვის ომის გამოცხადებამდე, იაპონიას არ აქვს უფლება დაიწყოს იქ სამხედრო მოქმედება. ტანაკას პოლიტიკა ერთობ აუარესებს ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობას“.

არა ნაკლებ მკაცრად აკრიტიკებენ სხვა გაზეთებიც ტანაკას. (ადს).

გერმანია სამანდატო კომისიაში

ბერლინი, 7 ივლისი. „ფორვერტს“-ის ცნობით უმცირესობა, რომელმაც თავი შეიკავა ერთა ლიგის კოლონიალურ მანდატების განმანაწილებელ კომისიაში გერმანიის წარმომადგენლების შეყვანის საკითხისთვის ხმის მიცემის დროს, შესდგებოდა საფრანგეთის, ბელგიის და ინგლისის წარმომადგენლებისაგან. საფრანგეთისა და ბელგიის წარმომადგენლები იმ თვალსაზრისს იცავდენ, რომ შეუძლებელია პოლიტიკურ საკითხების ტეხნიკურ საკითხებისაგან გამოყოფა და ამიტომ სამანდატო კომისია ვერ დათანხმდება მის შემადგენლობაში გერმანიის წარმომადგენლების შეყვანაზე. ინგლისის წარმომადგენელმა ის აზრი გამოსთქვა, რომ მიზანშეუწონელია სამანდატო კომისიის წევრების რიცხვის გადიდება. (ადს).

ბელგია იარაღს აჟღარუნებს

პარიზი, 7 ივლისი. ბელგიის სენატში სამხედრო ბიუჯეტის დაცვის დროს, ბროკვალმა განაცხადა: „თავისი მდგომარეობის გამო, ბელგია იძულებულია მოამზადოს ქვეყნის დასაცავად ჯარი, რომელიც პროპორციულად უფრო ძლიერი იქნება საფრანგეთის ჯარზე. იმ ჯარების რაოდენობა, რომელიც ომის შემთხვევაში შეეძლება გამოიყვანოს ბელგიას პირველ რიგში, საჭიროა აყვანილ იქნას 230.000 კაცამდე. მთავრობის უახლოეს ამოცანას წარმოადგენს არმიის რეორგანიზაცია და საზღვრების გამაგრება“. (ადს).

პილსუდსკის წინააღმდეგ

სეიმი ხმას იმაღლებს

ვარშავა, 7 ივლისი. პოლონეთის პრესა აღნიშნავს სეიმის აქტივობის გაძლიერებას. სეიმის კომისიამ ერთხმად უარყო პრეზიდენტის ერთ-ერთი დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. მეორე დეკრეტი კომისიამ გადასწყვიტა შესცვალოს. სეიმის საკონსტიტუციო კომისიამ უარყო მთავრობის მიერ დამტკიცებული პროექტი იმ პირთათვის აქტიური საარჩევნო უფლების მიცემის შესახებ, რომლებიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფებიან. სეიმის პლენარულ სხდომაზე, კომუნალური მმართველობის რეორგანიზაციის საკითხის განხილვის დროს, ბევრი ორატორი მეტად მკაცრად ილაშქრებდა მთავრობის წინააღმდეგ. (ადს).

ამერიკის კრედიტი

ვარშავა, 7 ივლ. „ნაშ პშეგლონდ“-ი იუწყება, რომ ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატების სარეზერვო ბანკის დირექტორის სტრონგის თავმჯდომარეობით შესდგა საემისიო ბანკების წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც დაამტკიცა ხელშეკრულება საემისიო ბანკების მიერ პოლონეთის ბანკისთვის 20 მილ. დოლარის კრედიტის მიცემის შესახებ. (ადს).

უკრაინელების გამარჯვება

ვარშავა, 7 ივლისი. „რეჩ პოსპოლიტა“ აქვეყნებს კორესპონდენციას, რომელიც იუწყება, რომ არჩევნები ვოლინის სათემო თვითმართველობებში დამთავრდა პოლონელების სრული დამარცხებით. უკრაინის პარტიებმა შეაგროვეს ხმების დიდი უმრავლესობა (ადს).

საკოსა და ვანცეტის დასაცავად

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. ნიუ-იორკში ერთი საათით ჩატარებულ იქნა საპროტესტო გაფიცვა საკოსა და ვანცეტის დასჯის წინააღმდეგ. გაიფიცა დაახლოებით ასი ათასამდე მუშა. გარდა ამისა, შესდგა მთელი რიგი ფართო მიტინგებისა.

სოციალისტებმა კომუნისტებს და მემარცხენე ფრთას არ მისცეს მიტინგებზე და დემონსტრაციებში ოფიციალურად მონაწილეობის მიღების უფლება. მიუხედავად ამისა მემარცხენეები შეუერთდენ ყველაზე დიდ დემონსტრაციას, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 25.000 მუშა. ტამპში (ფლორიდაში) სიგარების ფაბრიკების 16,000 მუშა მთელი დღის განმავლობაში გაფიცული იყო. (ადს).

დეპუტატთა პალატაში

დისციპლინარული ბათალიონები

პარიზი, 7 ივლისი. დეპუტატთა პალატამ 320 ხმით 197 წინააღმდეგ უარჰყო კომუნისტების წინადადება აფრიკის დისციპლინარულ ბათალიონების მოსპობის შესახებ. (ადს.

კომფრაქციის საარჩევნო პროექტი

პარიზი, 7 ივლისი. დეპუტატთა პალატის კომფრაქციამ შეიტანა პალატაში პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია საარჩევნო უფლების მინიჭება ქალებისთვის, ჯარისკაცებისთვის და ახალ გაზრდობისათვის, დაწყებული 18 წლიდან. (ადს).

ბოროდინის საქმე

პეკინი, 7 ივლისი. სასამართლოს უახლოესი სხდომა ბოროდინისა და სამი დიპლომატიური კურიერის საქმეზე დაინიშნა 19 ივლისისათვის.

ნაწილობრივი ამნისტიის მოლოდინში, გარჩეული იქნება საკითხი იმის შესახებ, თუ „რამდენად არიან ბრალდებულნი დამნაშავენი კომუნისტობაში“. (ადს).

დანციგის დელეგაციის დაბრუნება

დანციგი, 7 ივლისი. დაბრუნდა დელეგაცია, რომელმაც ინახულა საბჭოთა კავშირი. დელეგაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც მადლობას უხდის საბჭოთა კავშირის მთავრობასა და სამეურნეო ორგანიზაციებს სტუმართმოყვარეობისათვის.

დანციგის მთავრობის თავმჯდომარემ ზამმა საბჭოთა კავშირის კონსულს დანციგში კალინს მიმართა წერილით, რომელშიაც მადლობას უძღვნის იმ სტუმართმოყვარეობისა და დახმარებისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირში გამოიჩინეს დანციგის დელეგაციისადმი. (ადს).

კამათი რეიხსტაგში

ბერლინი, 7 ივლისი. რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიამ დღეს მოისმინა გერმანიის დელეგატის ბერნსტორფის მოხსენება განიარაღების საკითხის გარშემო ჟენევაში წარმოებული მოლაპარაკების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს მთავრობის წარმომადგენლებმა და კომუნისტ - დეპუტატებმა—შტეკერმა, რეინმაბენმა და სხვ.

შტრეზემანმა თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ ზოგიერთ გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები, თითქოს გერმანია აწარმოებდეს მოლაპარაკებას ან და მიეღწიოს კიდეც შეთანხმებისათვის გერმანიის შეიარაღების საკითხში, არ შეეფერება სიმართლეს. (ადს).

დემონსტრაცია ხაიფში

ანგორა, 7 ივლისი. ხაიფში გაიმართა მასიური დემონსტრაცია. დემონსტრაცია ჩატარდა ომის საწინააღმდეგო, ჩინეთის რევოლიუციისა და საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგებით.

დემონსტრანტებმა გაიარეს ინგლისის მთავრობის შენობის წინ. დემონსტრაციის გათავების შემდეგ პოლიციამ დააპატიმრა 40 მუშა. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ვეშაპელის მკვლელი გამართლებულია

პარიზი, 8 ივლისი. მერაბიშვილის გასამართლებაზე, რომელმაც მოკლა შარშან გაზეთ „ახალი საქართველოს“ რედაქტორი ვეშაპელი, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, სამოქალაქო მომჩივანის, ვეშაპელის ცოლის წარმომადგენლის, ტორრესის განცხადებამ. ტორრესმა განაცხადა, რომ მკვლელი, რომელიც თითქოს აღშფოთებულია ნაციონალური საქმისათვის ვეშაპელის „ღალატით“... (გამოტოვებულია). 1925 წლის თებერვალში ცდილობდა ნდობა დაემსახურებია საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და ამ მიზნით მოხსენებებს უგზავნიდა საბჭოთა საქართველოს ორგანოებს.

მერაბიშვილმა კი, თავის მხრით განაცხადა, რომ ის გზავნიდა საქართველოში არა მოხსენებებს, არამედ გამამხილებელ ცნობებს საზღვარგარეთელ საბჭოთა წარმომადგენლებზე, რომ ამ ცნობებით ევნო მათთვის.

მოწმედ გამოწვეულმა ბალმონტმა სთქვა, რომ ბრალდებულს ის არ სთვლის დამნაშავეთ, არამედ „შურის მაძიებლათ“. ტორრესი გამოვიდა პროტესტით მკვლელობის ასეთი გამართლების წინააღმდეგ. მაშინ თავმჯდომარემ საჭიროთ გაანთავისუფლა ბალმონტი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა მერაბიშვილი (ადს).

კლარა ცეტკინის იუბილეს ჩატარება აკრძალულია

ბერლინი, 8 ივლისი. ბავარიის პოლიციამ აკრძალა ნიურენბერგში კლარა ცეტკინის 70 წლის იუბილეს მოწყობა. მიუხედავათ ამისა, შესდგა კრება, მაგრამ ის დაშლილი იქნა პოლიციის გაძლიერებული რაზმის მიერ (ადს).

ხუთი ახალი საქმე „როტე ფანეს“ რედაქტორის წინააღმდეგ

ბერლინი, 8 ივლისი. „როტე ფანეს“ პასუხისმგებელი რედაქტორის წინააღმდეგ დაწყებულია ხუთი ახალი საქმე, რომლითაც ბრალდება სახელმწიფო ღალატი, შავი რეიხსვერის ფაშისტური ზრახვების გამომჟღავნებისათვის. (ადს).

ბრეტონელი მეთევზეების გაფიცვა

პარიზი, 8 ივლისი. დუარნენეზის მეთევზეებმა, მოულოდნელად გადასწყვიტეს გაფიცვის მოხსნა. ზოგიერთი სხვა ნავთსადგურის მეთევზეებმაც როდესაც გაიგეს ეს, შესწყვიტეს გაფიცვა.

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 7 ივლისი. თემთა პალატის წევრმა ტერტლიმ (მუშათა პარტიის დეპუტატი) შეიტანა შეკითხვა, წარმოადგენს თუ არა ნორვეგიის მთავრობა ერთად ერთ წყაროს, რომლის საშუალებით ღებულობს ამჟამად ცნობებს საბჭოთა კავშირიდან ინგლისის მთავრობა. ლოკერ ლემპსონმა უპასუხა: „ნორვეგიის მთავრობა ბრიტანეთის ინტერესების წარმომადგენელია რუსეთში და წარმოადგენს ერთად ერთ საინფორმაციო წყაროს“. პეილინგმა (მუშათა პარტია) კითხა, დასაშვებია თუ არა იმ შემთხვევაში, როდესაც შეწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობა, კონტრ-დაზვერვის გამოყენება ინფორმაციის მისაღებათ. შეკითხვა უპასუხოთ იქნა დატოვებული.

საბჭოთა კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფინეთში

მოსკოვი, 8 ივლისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ფინეთში დანიშნოს ამხ. ალექსანდროვსკი (ადს).

პარიზის კომუნის მონაწილე მოსკოვში

მოსკოვი, 8 ივლისი. მარსელიდან მოსკოვში ჩამოვიდა პარიზის კომუნის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, რემედასის საფრანგეთის სექციის ცეკას წევრი ანტუან ბე. ბე დაიბადა 1845 წელს. მიუხედავათ ღრმა მოხუცებულობისა, ის უდიდეს ინტერესს იჩენს პროლეტარული ბრძოლისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა ცხოვრების საკითხებისადმი (ადს).

ქარიშხალი

ლონდონი, 7 ივლისი. ინგლისის სამხრეთ და საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაპირებზე გადაიარა უძლიერესმა ქარიშხალმა. ინგლისში მოვიდა უნახავი სიძლიერის ნიაღვრები. ქარიშხალის დროს ადგილი ჰქონდა საშინელ ჭექა-ქუხილს. კენტის მახლობლად ზღვაში ჩაინგრა რამოდენიმე ასეულ ტონა წონის კლდე. (ადს)

ყარსის ექსპედიცია

ლენინგრადი, 8 ივლისი. ყარსის ექსპედიციის უფროსი ამხ. ევგონოვი იუწყება, რომ ექსპედიციისათვის უკვე მზადაა ნორვეგიის სამი საოკეანო გემი. წელს ექსპედიცია პირველად გაიტანს ობსკის ხე-ტყის მასალას. ინგლისთან ურთიერთობის ჩაშლას ექსპედიციის მუშაობაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. (ადს).

პატეკის განცხადება

ვარშავა, 8 ივლისი. ვარშავაში ჩამოსულმა პოლონეთის ელჩმა მოსკოვში პატეკმა გამოაქვეყნა გაზეთებში განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: „ვოიკოვის სიკვდილმა უმძიმესი შთაბეჭდილება დასტოვა საბჭოთა მთავრობასა და რუსულ საზოგადოებაზე. უნდა ვაღიარო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველნაირი ღონე იხმარა რომ აეცილებინა პოლონეთის საელჩოსათვის რაიმე უსიამოვნება აღშფოთებული მასების მხრივ, რომლებმაც მოაწყვეს მსვლელობები და მიტინგები. სიმართლეს არ შეეფერება ცნობა, თითქოს პოლონეთის მთავრობას ეთხოვოს საბჭოთა მთავრობისათვის პოლონეთის საელჩოს დაცვა. ვიმეორებ—ეს სრულებით არ იყო საჭირო.

უნდა ვაღიარო სიმართლე და ვთქვა, რომ მკვლელობის საკითხის გარშემო გამართულ მოლაპარაკების დროს არც ერთ მხარეს არ უხმარია მუქარა და არ ჰქონია აზრად შეიარაღებული კონფლიქტის შესაძლებლობა. ჩვენ ვცდილობდით ამ საკითხის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარებას, და ვაწარმოებთ კიდეც მშვიდობიან პოლიტიკას, რომელიც მიმართულია კეთილმეზობლური დამოკიდებულების შენარჩუნებისაკენ მომავალში. მოლაპარაკების შეწყვეტა საგარანტიო ხელშეკრულების დადების გარშემო დაკავშირებულია ვოიკოვის მკვლელობასთან. ინციდენტი სრული ლიკვიდაციის გზაზეა. მაგრამ ჯერ-ჯერობით არც ეს ინციდენტი და არც შეწყვეტილი მოლაპარაკება ამოწურული არ არის. ყოველი ამ საკითხთაგანი შეიცავს მრავალ სიძნელეს, მაგრამ არა იმისთანას, რომლის დაძლევაც არ შეიძლება. პოლონეთის პრესა დამშვიდებით უნდა ეპყრობოდეს ამ საკითხებს. მართალია, ორივე ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილების სხვადასხვაობის გამო, სავაჭრო მოლაპარაკება ხვდება მრავალ სიძნელეს, მაგრამ თუმცა ნელა, მაგრამ მაინც მუშავდება ამ სიძნელეების დაძლევის ფორმა. ელჩ ვოიკოვის მკვლელობის საკითხის მოწესრიგების შემდეგ, მე განზრახული მაქვს დაუყოვნებლივ განვაახლო მოლაპარაკება ჯერ საგარანტიო ხელშეკრულებისა, ხოლო შემდეგ სავაჭრო ხელშეკრულების გარშემო. არავითარმა უბედურმა, თუ გინდ უაღრესად არასასიამოვნო შემთხვევებმა ხელი არ უნდა შეუშალონ ორივე სახელმწიფოს სურვილს ურთიერთ დამოკიდებულების მოწესრიგებისას. ეს ჩემი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა ლიტვინოვსა და სტომონიაკოვთან გამართულ თათბირზე“ (ადს).

ინგლისის იმედი აქვთ

პარიზი, 7 ივლისი. „მატენ“-ი აქვეყნებს უკრაინელ კონტრ-რევოლიუციონერის ლევიცკის განცხადებას. ლევიცკიმ გაზეთის თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა:

„უკრაინა დაკავშირებულია თავის მეზობლებთან სხვადასხვა დამოკიდებულებით. უკრაინა მოწოდებულია გახდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ამა თუ იმ ფორმით. სკოროპადსკი, მიუხედავად გერმანიის ენერგიული მხარის დაჭერისა, არ არის პოპულიარული უკრაინაში.

გაზეთების ცნობები, თითქოს უთანხმოება გვქონდეს ინგლისთან, უსაფუძვლოა. ჩვენ განზრახული გვაქვს შევქმნათ 30.000 არმია კანადაში იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს წესრიგი სახელმწიფოში, რომელიც აღმოცენდება საბჭოთა წყობილების ნანგრევებზე.

ამ საქმეში ჩვენ იმედი გვაქვს ინგლისის ფინანსიური, მორალური და პოლიტიკური დახმარებისა“. (ადს).

კელოგის განცხადება

ვაშინგტონი, 7 ივლისი. კელოგმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, მოწინააღმდეგეთა არგუმენტაციის საპასუხოდ, საზღვაო შეიარაღებათა გაფართოებული პროგრამის შესახებ განაცხადა, რომ ინგლისის ფლოტი სჭარბობს ამერიკულს, შეერთებული შტატების როგორც საშინაო ისე საგარეო ვაჭრობა კი საჭიროებს დაცვის ისეთივე საშუალებებს, როგორც ინგლისის ვაჭრობა. (ადს).

საზღვაო ძლიერებისათვის

ვაშინგტონი, 7 ივლისი. სენატის საზღვაო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა საზოგადო კრებაზე, რომ შეერთებული შტატების საერთაშორისო მდგომარეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს საზღვაო ძლიერებასთან. (ადს.)

მემაღაროეთა გაფიცვა

ლონდონი, 7 ივლისი. ტალბოტის ნავთსადგურში გაიფიცა 1.100 მემაღაროე მუშა იმ მიზნით, რომ აიძულებიათ ერთი მემაღაროე, რომელიც არ იყო კავშირში, მომხრობოდა სამთა-მადნო მუშების ფედერაციას.

მაღაროს ორმა მუშამ ლინიტში განაცხადა, რომ თუ 14 დღის განმავლობაში კიდევ დარჩებიან სამუშაოზე ისეთი მემაღაროენი, რომლებიც არ შედიან კავშირში, გამოცხადებული იქნება გაფიცვა. (ადს).

აფეთქება ქარხანაში

პარიზი, 7 ივლისი. ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ არენდონკში, ტურნგუტის მახლობლად მოხდა აფეთქება დინამიტის ქარხანაში, მოკლულია 6 კაცი. (ადს).

ამერიკის ფაშისტები



მარცხნივ: ფაშისტურ ორგანიზაციის კუ-კლუქს-კლანის ბელადი დოქტორი ხირიან უესლი ევანსი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სინდიკატების ზრდა

მოსკოვი, 8 ივლისი. ს. ს. რ. კ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მოისმინა საგარეო სექციის მოხსენება სინდიკატების მოღვაწეობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული იყო სინდიკატების ზრდა, რომლებიც წარმოადგენენ მრეწველობის საგარეო ორგანოებს და ბაზრის მომწესრიგებელ იარაღს. სინდიკატების ბრუნვა, 750 მილ. მან. 1923-24 წ. გაიზარდა 3.174 მილ. მან. 1926-27 წ. ანუ 310 პროც. (ადს).

ამხ. კალინინი კისლოვოდსკში

პიატიგორსკი, 8 ივლისი. კისლოვოდსკში ჩავიდა ამხ. კალინინი. ამხ. კალინინმა ინახულა სტანიცა კისლოვოდსკაია, სადაც მას აღტაცებით შეხვდა სტანიცის ყაზახობა. ამხ. კალინინს თან ახლდა ამხ. ბუდიონი. ამხ. კალინინი არის სტანიცა კისლოვოდსკაიას საპატიო ყაზახი. სტანიცაში გაიმართა დიდი მიტინგი. (ადს)

ესკადრილია „საბჭოთა მემაღაროე"

მოსკოვი, 8 ივლისი. მემაღაროეთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები უკვე გამოეხმაურენ ცეკას მოწოდებას ესკადრილია „საბჭოთა მემაღაროე"-ს ასაგებ ფონდში თანხების შეტანის შესახებ. მემაღაროეთა სრულიად უკრაინის კომიტეტმა გადასდო 20.000 მანეთი, კრივოროგის და დონბასის მაღაროს კომიტეტებმა ას-ასი და მეტი მანეთი თითოეულმა. ჩრდილო-კავკასიის მემაღაროენი აგებენ თავის თვითმფრინავს. იაროსლავის ტორფზე მომუშავეებმა გადაწყვიტეს აგონ ორი აეროპლანი „ტორფიანიკი" და „ტორფიანიცა". (ადს)

თავდაცვის კვირეული

მოსკოვი, 8 ივლისი. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიერ მიღებულ ცნობების მიხედვით, საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში უკვე დაიწყო თავდაცვის კვირეული.

კვირეულის გატარების დროს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება გაგზავნის თვითმფრინავებს საჩვენებელ ფრენის მოსაწყობად ყაზანში, ვლადიმირში, კურსკში, ვორონეჟში და სხვა ქალაქებში. ლენინგრადში, თბილისში, მინსკში და სხვა მსხვილ ცენტრებზე მოეწყობა ჯგუფური ფრენა.

კვირეულის უკანასკნელ დღეს მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე მოხდება წითელ საჰაერო ფლოტისათვის მთელ რიგ თვითმფრინავების გადაცემა, რომლებიც აგებული იქნება მუშებისა და მოსამსახურეებისაგან შეწირული თანხებით. (ადს)

დავალიანების მოსპობა

ხარკოვი, 8 ივლისი. უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მოისპოს უკრაინის გლეხობის დავალიანება 1922-23 წ. სათესლე სესხზე. (ადს).

საბჭოთა პატარა თვითმფრინავი

მოსკოვი, 8 ივლისი. თავდაცვის კვირეულის დროს მოსკოვში მოხდება პირველ საბჭოთა პატარა თვითმფრინავის გამოცდა, რომლის კონსტრუქცია ეკუთვნის ავიაქიმის თანამშრომელ სმირნოვს.

წინასწარი გამოცდით მიღებულ იქნა ფრიად დამაკმაყოფილებელი შედეგები. (ადს)

ამხ. ტუროვის მკვლელების შეპყრობა

მოსკოვი, 7 ივლისი. 10 ივნისს საღამოთ, სოფელ დებროვსკის მახლობლად მოკლულ იქნა კომუნისტური აკადემიის სამეცნიერო თანამშრომელი ამხ. ტუროვი, რომელიც მოსკოვიდან თავის აგარაკში ბრუნდებოდა.

გაერთიანებული მთავარი პოლიტიკური სამმართველო იუწყება, რომ მის მიერ შეპყრობილია პროფესიონალი ბანდიტები **კუდინოვი** და კონინი, რომლებმაც აღიარეს მათ მიერ ამხ. ტუროვის მოკვლა გაძარცვის მიზნით. (ადს)

მოტოციკლეტების გადარბენა ნიჟნი-ნოვგოროდი — მოსკოვი — ლენინგრადი

ნიჟნი-ნოვგოროდი, 7 ივლისი. დაიწყო მოტოციკლეტების გადარბენა ნიჟნი ნოვგოროდი—მოსკოვი — ლენინგრადი. ნიჟნიდან მოტო-

შადრევანი გროზნოში

მოსკოვი, 7 ივლისი. 6 ივნისს გროზნოში ნავთის ახალ სარეწაოებზე ამოხეთქა ახალმა მძლავრმა შადრევანმა, რომელიც დღეში იძლევა 100.000 ფუთ ნავთს. (ადს)

დეპეშა „ამხანაგიდან"

მოსკოვი, 7 ივლისი. გემ „ამხანაგის" კაპიტანი ცრეიმანი იტყობინება, რომ 3 ივლისს ხომალდი ინგლისის ნაპირებიდან 300 მილის მანძილზე იყო და მიემართება ლენინგრადისაკენ. (ადს)

დახმარება უხანის დაჭრილებს

მოსკოვი, 7 ივლისი. ვორონეჟის პროფკავშირთა საბჭომ ესკადრილიის ასაგებად გადასდო 1000 მანეთი და 200 მანეთი უხანის დაჭრილ ჯარისკაცებისათვის დასახმარებლად. (ადს)

თბომავლის გამოცდა

მოსკოვი, 7 ივლისი. მოსკოვიდან ბაქოში გაიგზავნა გამოსაცდელად ორი თბომავალი. ეს თბომავლები საბჭოთა დაკვეთით აგებულია გერმანიაში. ამ თბომავლებს აქვთ ერთნაირი ძრავები (დიზელები), მაგრამ გადაცემის სხვადასხვა სისტემები: ელექტრიული და მექანიკური. (ადს)

დრუჟელოვსკის საქმე

მოსკოვი, 8 ივლისი. ს. ს. რ. კავშირის უზენაეს სასამართლოში დაიწყო დრუჟელოვსკის საქმის გარჩევა.

ბრალდებული შემოყავთ დარბაზში. გარეგნობით ის ძლიერ დამშვიდებულია. ნელ-ნელა ეწევა პაპიროსს და დროგამოშვებით სვამს წყალს. სხდომის გახსნის წინ რაღაცას ეკითხება დარაჯთა უფროსს და თავის დამცველს. დღის 11 საათზე შემოდიან მოსამართლეები და თავმჯდომარე სასამართლოს სხდომას გახსნილად აცხადებს. თავმჯდომარის კითხვებზე ბრალდებული უპასუხებს, რომ მისი სახელი და გვარია: სერგეი მიხეილისძე დრუჟელოვსკი, რომ ის ბოქაულის შვილია, დაიბადა 1894 წელს, საშუალო სწავლა-განათლება არ დაუმთავრებია და 1915 წელს დაასრულა მოსკოვის მეოთხე პრაპორშჩიკების სკოლა.

თავმჯდომარე აცხადებს ბრალდებულის შუამდგომლობას მისი დედისა და ძმის მოწმეებად გამოწვევის შესახებ. ბრალდებულის დედა ცხოვრობს ნოვოროსიისკის ახლოს, ძმა კი მისივე სიტყვით, იმყოფება მოსკოვში. სასამართლომ შეიწყნარა დრუჟელოვსკის შუამდგომლობა მისი ძმის კონსტანტინეს გამოწვევაზე.

შემდეგ სასამართლომ გამოაქვეყნა საბრალმდებლო დასკვნა. თავმჯდომარის კითხვაზე, სცნობს თუ არა დრუჟელოვსკი თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში, დრუჟელოვსკიმ მკაფიოდ უპასუხა: „კი, ვცნობ თავს დამნაშავედ". (ადს).

ციხეა თუ საპატიმრო სახლი

მოსკოვი, 7 ივლისი. დღევანდელი „პრავდა"-ს პოლიტიკურ მიმოხილვაში შემდეგი სათაურით მოთავსებულია შემდეგი შინაარსის წერილი:

„საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურმა საზოგადოებრიობამ გამოსთქვა თავისი ღრმა აღშფოთება იმის გამო, რომ ამხ. ვოიკოვის მკვლელს თეთრგვარდიელ კავერდას პოლონეთის სასამართლომ გამოუტანა რბილი განაჩენი. მაგრამ საქმე მარტო ამით არ თავდება. პოლონეთის მთავრობა ხელს უწყობს კონტრ-რევოლიუციონურ მკვლელს სხვა თეთრგვარდიელებთან კავშირის დაჭერის საქმეში. უკანასკნელი ცნობების თანახმად, პოლონეთის მთავრობამ ნება დართო კავერდას—ციხე მისთვის ოთახად გადაექცია და ენახა თეთრგვარდიელ ემიგრაციის წარმომადგენლები.

კავერდა ინახულა, მაგალითად, არციბაშევის ქვრივმა, რომლის ქმარმა სიკვდილის დროს დასტოვა „პოლიტიკური ანდერძი", რომელშიაც გამოსთქვამს უკიდურეს ზიზღს და მტრობას საბჭოთა კავშირისადმი და მოუწოდებს ყველას აქტიური ბრძოლა აწარმოონ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. იმავე „ანდერძში" არციბაშევი აცხადებს, რომ მონარქიული წესწყობილება სჯობია საბჭოთა წესწყობილებას.

კავერდასთან იყვნენ აგრეთვე „რუსთა კავშირის" თავმჯდომარე სემიონოვი და ცნობილი მონარქისტი პილოვცევი. მისი ნახვის უფლებას აძლევენ როგორც იმ თეთრგვარდიელებს, რომლებიც პოლონეთში ცხოვრობენ, აგრეთვე იმათაც, რომლებიც ამისათვის სხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან. კონტრ-რევოლიუციონურ მკვლელს სახავენ გმირად და ციხეს აქცევენ საპატიმრო სახლად, სადაც ის ხვდება მკვლელობის წამქეზებლებს. რუს-თეთრგვარდიელებს ამოძრავებენ, პოლონეთის მთავრობა კი ხელს უწყობს მათ, ნაძირალა კავერდა გახდა „ნაციონალური გმირი". ასეთი მოქმედებით სურს პოლონეთს დაუმტკიცოს საბჭოთა კავშირს თავისი „კეთილმეზობლური" განწყობილება" (ადს).

თურქმენისტანის სახელმწ. აპარატის რეორგანიზაცია

ასხაბადი, 7 ივლისი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის დარგში მუშაობის ვარაუდებთან დაკავშირებით, თურქმენისტანის სახკომსაბჭომ გამოაქვეყნა დეკრეტი სახელმწიფო აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ. სრულიად უქმდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, საგეგმო კომისიის დიდი და მცირე პრეზიდიუმები. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს კოლეგია და პრეზიდიუმი და სხვა ორგანოები. აპარატის ნაწილობრივი რეორგანიზაცია მოხდება აგრეთვე ოლქებშიაც. სახკომისარიატების ცენტრალურ დაწესებულებებში, რეორგანიზაციის გამო, შტატი მცირდება, 13 პროც. სამსახურიდან განთავისუფლებულ მუშაკებს შორის სახ. კომისარიატმა მისცა მთელი რიგი შეღავათები. (ადს)

ცენტროსოიუზის წარმომადგენლები ამხ. მიქოიანთან

მოსკოვი, 7 ივლისი. ს. ს. რ. კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატში ცენტროსოიუზის წარმომადგენლებმა ინახულეს ამხ. მიქოიანი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ქონდათ.

შემდეგ რა საუბრის შედეგებს ამხ. მიქოიანმა განაცხადა, რომ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია გაგრძელებულ იქნეს სახელმწიფო მრეწველობასა და კოოპერაციის შორის გენერალური ხელშეკრულებების დადების პრაქტიკა.

რაც შეეხება ურთიერთობას საგარეო ორგანიზაციებსა და კოოპერაციის შორის, სავსებით ცხადია ის თვალსაზრისი, რომ ამჟამად მთელი საბითუმო ვაჭრობის კოოპერატიული ქსელისათვის გადაცემა შეუძლებელია. (ადს)

პირველი სახელმწიფო სესხის ტირაჟი

ოდესა, 7 ივლისი. პირველი სახელმწიფო მოგებიანი სესხის ტირაჟის დროს 5.000 მან. მოგება ხვდა ობლიგაციებს: № 1.333.504, სერია პირველი, № 772.187, სერია მეცხრე, № 215.552 სერია მეცხრე, № 1.713.030, სერია მეშვიდე № 837,838, სერია მესამე, № 1.472.910, სერია პირველი, № 1.596.522, სერია პირველი, № 1.463.291, სერია მეორე.

10.000 მან. მოგება ხვდა ობლიგაციებს: № 1.107.126, სერია მეოთხე, № 553.475, სერია მეათე, № 1.273.981, სერია პირველი, № 1.614.630, სერია მეცხრე, № 74.652, სერია მეორე.

25.000 მან. მოგება ხვდა ობლიგაციებს: № 1.239.424, სერია შვიდი, № 1.194.399, სერია ოთხი. მოგება 50.000 მან. ხვდა ობლიგაციას №1.246.747, სერია სამი. 100.000 მან. მოგება ხვდა ობლიგაციას № 1.287.453, სერია რვა. (ადს)

ამხ. კლარა ცეტკინის წერილი

მოსკოვი, 8 ივლისი. წერილში, რომელიც კლარა ცეტკინმა გამოუგზავნა მის საპატივცემლოდ გამართულ საერთო საქალაქო კრებას, ნათქვამია: „გული მტკივა, რომ ავადმყოფობის გამო პირადად ვერ ვესწრები კრებას, რომ მადლობა გადაგიხადოთ ჩემდამი ასეთი ყურადღებისათვის. სულით და გულით გმადლობთ. ვთვლი მას იმ განუყრელი კავშირის გამოხატულებად, რომელიც არსებობს ჩემსა და თქვენს შორის. თქვენ პატივი ეცით არა მარტო ჩემს პიროვნებას, არამედ იმ დიად აღმაფრთოვანებელ იდეას, რომლისთვისაც სამსახურს მე ვთვლი არა დამსახურებად, რევოლიუციონური სოციალიზმის, იდეა არამედ მთელი ჩემი ცხოვრების უდიდეს ბედნიერებად. ეს არის—იდეა კომუნიზმის, რომელიც გვაერთიანებს ჩვენ, როგორც მებრძოლთ ახალ საზოგადოებრივ წყობილებისათვის, იმ წყობილებისათვის. რომელსაც მოაქვს კაცობრიობის განთავისუფლება. ამისკენ მისწრაფება, მუდამ მოქმედება და ბრძოლა — ასეთი იყო მთელი ჩემი ცხოვრების შინაარსი და მიზანი.

მე უნდა გიხდოდეთ თქვენ მადლობა, იმ რევოლიუციონურ მასებს, რომლებმაც პირველად ისტორიაში, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, გაბედეთ განახორციელებით თვალუწვდენ ქვეყანაში რევოლიუციის პროცესი და, სოციალიზმის იდეა, რომელიც აზრების მიუწვდენ სიმაღლეებიდან თქვენ ჩამოიყვანეთ ცოდვილ მიწაზე და მაღალი თეორია გარდაქმენით განმათავისუფლებელ საზოგადოებრივ პრაქტიკად.

მე ჩემი ცხოვრების უდიდეს ბედნიერებად ვთვლი იმ გარემოებას, რომ მსოფლიო იმპერიალისტური ომის მძიმე ისტორიულ წლებში, მეორე ინტერნაციონალის საზიზღარი ღალატის და საცოდავათ დაცემის წლებში, წილად მხვდა მოვსწრებოდი ისეთ მძლავრ ისტორიულ მოვლენებს, როგორც არის პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, პროლეტარიატის და გლეხობის რევოლიუციონური კავშირი და სოციალისტური მშენებლობის ურყევი წინსვლა, რაც საშინელ რისხვად ევლინება თავის არსებობისათვის დაჯინებით მებრძოლ მსოფლიო იმპერიალიზმს.

მოვიდა დრო, როდესაც საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ არმიასთან მთლიან ფრონტს შეჰკრავს არა მარტო მთელი ქვეყნის პროლეტარიატის რევოლიუციონური ავანგარდი კომუნისტურ პარტიათა სახით, არამედ მშრომელთა ვეებერთელა მასებიც კომპარტიის ხელმძღვანელობით. იქმნება საერთაშორისო რევოლიუციონური ფრონტი; ის გასწყვეტს იმ რკინის რგოლს, რომლის საშუალებით კაპიტალისტებს, ექსპლოატატორებს და მათ მთავრობებს სურთ ს. ს. რ. კავშირის, და მასთან ერთად სოციალიზმის პირველი მძლავრი ჩანასახის, „ჩახრჩობა". (ადს).

მაკ მანუსის საფლავზე

მოსკოვი, 7 ივლისი. 6 ივლისს მაკ მანუსის დასაფლავების შემდეგ მის საფლავთან გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგის ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბუხარინმა.

„რამდენადაც უფრო სწრაფად ვიზრდებით, სთქვა სხვათა შორის ამხ. ბუხარინმა,—იმდენად უფრო გააფთრებით მოაქვს იერიშები ინგლისის იმპერიალიზმს ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ რამდენად ამძაფრებს ის იერიშებს, რამდენად მეტი გააფთრებით უტევს თავისი ქვეყნის მუშათა კლასს, იმდენად უფრო და უფრო მტკიცე და გაბედულ ნაბიჯებს სდგამენ ინგლისის ნორჩი კომპარტიის ახალგაზრდა და ძველი პიონერები. **რამდენად უფრო გააფთრებით იბრძვის ინგლისის ბურჟუაზია, იმდენად უფრო ფართოდ შლის ფრთებს ინგლისის ნორჩი კომუნისტური მოძრაობა.**

მუშათა კლასის მოღალატეები ინგლისის პროფმოძრაობის რიგებიდან ცდილობენ არ შეუშვან კომუნისტები პროფკავშირებში. ისინი სცდებიან. ინგლისის ნორჩმა პიონერებმა გაარღვიეს იმპერიალიზმის ბლოკადა და ჩამოვიდნენ ჩვენთან საბჭოთა კავშირში. **ინგლისელი კომუნისტები შესძლებენ პროფკავშირებში შეჭრას და მათ დაპყრობას**, როგორც ეს შესძლო თავის დროზე ჩვენმა პარტიამ მეფის და მენშევიკების რუსეთში. **ისინი დაიპყრობენ ინგლისის პროლეტარიატის კლასიურ მოძრაობას.** ისინი, ეს ჩვენი ახალგაზრდა მეგობრები, მამები და შვილები, დაამხობენ ინგლისის იმპერიალიზმს". (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

ა.-კ. ჩაის მრეწველობის ხუთ წლიანი გეგმა

ხუთწლიანი გეგმაც (;: ტმზძჯ— კლბთ კლსას ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის ჩაის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით, უახლოეს ხუთ წლიწადში, 1928 წლიდან 1932 წლამდე, ამიერ-კავკასიაში განზრახულია 18.037 ჰექტარ ახალ ჩაის პლანტაციების ჩაყრა საგლეხო მეურნეობაში და 109 ჰექტარ სათესლე პლანტაციების მოწყობა.

ახალი ჩაის პლანტაციების სივრცის ზრდა ცალკე წლებში გამოიხატება შემდეგში: 1928 წელში ჩაყრილი იქნება 1.639 ჰექტარი ახალი პლანტაციები, 1929 წელში—2.773 ჰექტარი, 1930 წელში—3.825 ჰექტარი, 1931 წელში—4.374 და 1932 წელში—5.466 ჰექტარი; სულ ხუთი წლის განმავლობაში ჩაყრილი იქნება 18.037 ჰექტარი ახალი პლანტაციები.

ჩაის ფაბრიკების ქსელის გაფართოების გეგმა ითვალისწინებს 10 ახალი ფაბრიკის აგებას (არსებულ ფაბრიკებთან ერთად ხუთი წლ. ბოლოს იქნება 24 ფაბრიკა), რომლებიც გადაამუშავებენ 54.500.000 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლს.

ხარჯების და შემოსავლის ფინანსიური გეგმა დამტკიცებულია 44.249.744 მანეთის რაოდენობით.

ტყვიის მადანი

სოხუმში ჩავიდა გეოლოგი იგნენკო, რომელიც გამოწვეულია გეოლოგიური კვლევების საწარმოებლად ძიზრის მთაზე.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში გეოლოგ იგნენკომ განაცხადა შემდეგი: „წინა წლებში წარმოებულ კვლევა-ძიებით დადასტურებულია, რომ ძიზრის მთის ტყვია-თუთიის მადნის ბუდობები მდებარეობენ ხეთქილის დიდ ხაზზე, რომელიც დასავლეთ გუმისტიდან მიიმართება მდინარე ბზიბამდე. ხეთქილის მთელი ხაზი წარმოადგენს ტყვია-თუთია-სპილენძის მადნებით მდიდარ ადგილს.

მიმდინარე წელს განზრახულია ძიზრის მთის ბუდობების გამოკვლევა. გამოკვლევის შემდეგ ჩვენ ხელთ გვექნება მასალა, რომლის მიხედვით საშუალება გვექნება გამოვარკვიოთ ყველა იმ ბუდობების სამრეწველო მნიშვნელობა, რომელნიც ხეთქილის ხაზზე მდებარეობენ. იმ ცნობებით, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, ამ ხაზზე ჩვენ შეგვიძლია [illegible] ტყვიის მადნები, რომლებსაც თუთია არ ურევია. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან საბჭოთა კავშირს სრულიად არ მოეპოვება ტყვიის მადნები. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღების საგანი ხდება ძიზრის ტყვიის ბუდობები.

მიმდინარე წელს განზრახულია პატარ-პატარა მაღაროების გათხრით გამოვარკვიოთ ტყვიისა და ტყვია-თუთიის მადნების გავრცელების არე და მადნის საორიენტაციო მარაგი. წრევანდელი მუშაობით დამთავრდება აფხაზეთის ტყვია-თუთიის მადნების მთელი ხაზის გამოკვლევა. მუშაობა გაგრძელდება მიმდინარე წლის ოქტომბრამდე.

სამზადისი ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის

მოსკოვი, 8 ივლისი. კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად მომზადება, იუწყება, რომ დღესასწაულისთვის მოსამზადებელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს მუშების და გლეხების თვითმოქმედების მაქსიმალური განვითარების მიმართულებით და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართე წრეების მონაწილეობა დღესასწაულში.

უახლოესი რევოლიუციონური დღეები და ისეთი კამპანიები, როგორიც არის თავდაცვის კვირეული, უნდა იქნეს გამოყენებული ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის მომზადებისთვის. ამ მოსამზადებელ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოთა ორგანოებმა, სამეურნეო ორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა, კოოპერაციამ, კომკავშირმა, პიონერებმა, ქალთა განყოფილებებმა, წითელმა არმიამ და ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

ადგილობრივმა საიუბილეო კომისიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ცალკე წარმოების, პროფკავშირის, თემის, დაწესებულების და სხვა ადგილობრივ ორგანიზაციის ინიციატივის და შემოქმედებითი მოქმედების მაქსიმალურ გამომჟღავნებას ოქტომბრის რევოლიუციის იუბილეს მომზადებაში.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის იუბილეს ჩატარება სასურველია გაგრძელდეს 2 დღეს. პირველ დღეს, 7 ნოემბერს უნდა მოეწყოს ქალაქის და სოფლის მშრომელთა მასიური დემონსტრაციები. დღესასწაულის ჩატარების საუკეთესო ფორმად, 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად, უნდა ჩაითვალოს ახალი და განახლებული ფაბრიკა-ქარხნების ამუშავება, სხვადასხვაგვარი სამხანაგოების, ნადების და კოოპერატივების მოწყობა, კლუბების, სამკითხველოების, სკოლების, საბავშვო ბაღების, საავადმყოფოების, სასადილოების და სხვა კომუნალური დაწესებულებების გახსნა.

ვინაიდან იუბილისათვის სამზადისი თითქმის ყველგან არ სწარმოებს სათანადოთ, საჭიროა დარჩენილი დრო გამოყენებული იქნეს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს 10 წლის იუბილეს ჩატარება ისეთ ფორმებში, რომელიც შეეფერება პროლეტარული დიქტატურის ისტორიულ როლს (ადს).

ენის საკითხი უკრაინაში

ხარკოვი, 8 ივლისი. უკრაინის ცაკმა და სახკომსაბჭომ დაამტკიცეს ახალი დებულება ყველა ენების თანაბარუფლებიანობის უზრუნველყოფის და უკრაინის კულტურის განვითარებისათვის ხელშეწყობის შესახებ...(გამოქვეყნებულია).

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სახელმწიფოებრივ ორგანოებთან ურთიერთობაში ისარგებლოს მშობლიური ენით. ოფიციალურ ურთიერთობაში ძირითად ენად მიღებულია უკრაინული ენა; ეროვნულ-ადმინისტრატიულ ერთეულებში ოფიციალურად ითვლება იმ ეროვნების ენა, რომელიც რიცხვით სჭარბობს დანარჩენებს; სრულიად უკრაინის ცაკის, სახკომსაბჭოს, ცენტრალურ უწყების, დაწესებულებების, აღმასკომების და საბჭოების ყველა დეკრეტები, დადგენილებები და განკარგულებები უნდა გამოქვეყნდეს უკრაინულ და, გარდა ამისა, რუსულ ენაზე; ამასთანავე სურვილის მიხედვით შეიძლება დაერთოს პარალელური ტექსტი სხვა ენაზედაც. ყოველივე ურთიერთობა სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა შორის უნდა სწარმოებდეს უკრაინულ ენაზე. სასამართლოს წარმოება ყველა საქმეებზე უნდა სწარმოებდეს უკრაინულ ენაზე. იმ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დასაცავად, რომლებიც რომელიმე ადგილში შეადგენენ კომპაქტურ მასას, უნდა მოეწყოს ეროვნული სასამართლო კამერები.

განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელი უნდა აიგოს ისე, რომ ყოველი ეროვნების მოსახლეობას საშუალება ექნეს მიიღოს დაწყებითი განათლება მშობლიურ ენაზე. ყველა სკოლებში და საბავშვო სახლებში სავალდებულო საგნებად უნდა იქნეს უკრაინული ენა, უკრაინის ცოდნა და რუსული ენა.

სახელმწიფო ორგანოების ყველა მოსამსახურენი... (დამახინჯებულია).

დებულების წესების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით (ადს).

სათადარიგო მეთაურთა პროტესტი

მენშევიკ პროვოკატორების წინააღმდეგ

(ამხ. კახიანის მოხსენება სათადარიგო მეთაურთა კრებაზე)

გუშინ, საღამოს 7 საათზე, წითელი არმიის დაფლოტის სახლში შესდგა სათადარიგო მეთაურთა მრავალრიცხოვანი საერთო-საქალაქო კრება. სახლი ძლივს იტევდა მოსულ ხალხს.

კრების დღის წესრიგში დასმული იყო ამხ. **კახიანის** მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და ქართველი მენშევიკების მორიგი პროვოკაციის შესახებ.

კრებამ პრეზიდიუმში აირჩია **ვაშაკიძე, წულუკიძე, წერეთელი, შამშურინი, ართმელაძე, საყვარელიძე, ჟურული, აბალიშვილი** და **რცხილაძე**.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. **ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, ელიავა, ლევანდოვსკი, აღნიაშვილი** და **კახიანი**.

შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. **კახიანის** მოხსენება.

ამხ. კახიანმა თავის მოხსენება დაჰყო ოთხ ნაწილად. პირველ ნაწილში შეეხო ინგლისის კონსერვატიული მთავრობის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი, მეორე ნაწილში დაახასიათა ჩინეთის რევოლიუცია და მისი მამოძრავებელი ძალები, მესამე ნაწილში შეეხო საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობას და დასასრულ შეჩერდა ჟორდანიას და რამიშვილის სადირექტივო წერილებზე და იმ პროვოკაციაზე, რომელსაც მენშევიკები უმზადებენ ქართველ ხალხს.

კრებამ დიდის ყურადღებით მოისმინა ამხ. კახიანის ვრცელი და მეტად შინაარსიანი მოხსენება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ალ. ანდრონიკაშვილი.

— ჩვენ, სამხედრო პირებს,—ამბობს ორატორი,—კარგად გვესმის, რომ მშვიდობიანობას საფრთხე მოელის, და მოელის სწორედ მოუსვენარ ბურჟუაზიის ნაგაზების მხრიდან. საბჭოთა სისტემის დიდი უპირატესობა სხვა სისტემებთან შედარებით იმაშიაც გამოიხატება, რომ ჩვენ, სამხედრო ძალა, აღარ წარმოვადგენთ უგნო და შეუგნებელ იარაღს, როგორც ეს არის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. წითელი ჯარი დღეს კარგად ერკვევა პოლიტიკურ საკითხებში. მას შეგნებული აქვს ვისთვის იბრძვის და რატომ იბრძვის. ჩვენი სამხედრო ძალა არ წარმოადგენს ლორდებისა და გრაფების წრიდან გამოსულ თეთრ ხელთათმანიან ხალხის გროვას. იგი შესდგება დაკოჟრებულ ხელის მქონე მშრომელებისაგან, ისე, რომ ნუ ექნება ბურჟუაზიას იმედი ჩვენი ხელიდან ვინტოვკის გავარდნისა. თოფი მაგრად უჭირავს ხელში ჩვენს წითელ ჯარს და საჭიროების დროს კიდევაც შესაფერისად ამეტყველებს მას.

მე ვამბობ სად უნდა ვიყვეთ ჩვენ ამ დროს, სად უნდა დავდგეთ ჩვენ, თუ საჭიროებამ მოითხოვა? აქ ორი აზრი, ორი მიდგომა საკითხისადმი არ შეიძლება იყოს.

ჩვენი ადგილი წითელი ჯარია. ჩვენ დავდგებით საბჭოთა საქართველოს სადარაჯოზე, დავდგებით იმიტომ კი არა, რომ ჩვენ იმის რომანტიკოსები ვართ, არამედ დავდგებით იმიტომ, რომ ამას მოითხოვს საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესები.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, სწორედ სამშობლოს ეს სიყვარული გვიკარნახებს დაჟინებით, რომ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლება დავიცვათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ვიბრძოლოთ საბჭოთა წყობილებისათვის თავდადებით და თავგამეტებით.

ვამბობ, სწორედ საქართველოს ინტერესები გვიკარნახებსთქო ამას იმიტომ, რომ ჩვენ ბრმანი არა ვართ, ჩვენ კარგად ვხედავთ, თუ როგორ ჩქარის ტემპით სწარმოებს საქართველოს ეკონომიური აღორძინება, როგორი მასშტაბით მიმდინარეობს სამეურნეო აღმშენებლობა. ზაჰესის შუქი, რიონჰესი. მრავალი ფაბრიკა და ქარხანა, ზოგი უკვე აშენებული და ზოგიც კიდევ აგების პროცესში მყოფი—აი რას დავიცავთ ჩვენ, აი რას შეუნარჩუნებთ ჩვენ მშრომელ ხალხს, აი რას არ დავანებებთ გათავხედებულ ბურჟუაზიას და საზღვარგარეთ მოკალათებულ ჩვენებურ მენშევიკებსა და მათ თანამებრძოლებს. მთელი ძალღონით, არა შიშის გამო, არამედ გულწრფელად დავიცავთ ჩვენ საბჭოთა საქართველოს გარეშე შტაცებლებისაგან და შინაურ კონტრ-რევოლიუციისაგან.

ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნებულ ჟორდანია-რამიშვილის სადირექტივო წერილები დამადასტურებელია იმისა, თუ რა წუმპეში, აყროლებულ ტბაში შეიძლება ჩავარდეს სამშობლოდან გადახვეწილი, მშრომელ ხალხს მოშორებული ვაჟბატონები, რომლებიც მურიასავით შესცქერიან ბატონ ლორდებს პირში, აბა რა არის—იქნებ ნასუფრალი გადმოგვიგდოსო. ლაქიობა ეს მათი საქმეა. ამაში ჩვენ მათ არ შევეცილებით, მაგრამ ჩვენ გვამფოთებს და გვაღელვებს ეს, უკაცრავად პასუხია, სადირექტივო წერილი იმიტომ, რომ იგი საზიზღარი პროვოკაციაა ჩვენს, სამხედრო პირების წინააღმდეგ. მისი ერთად ერთი დანიშნულებაა სახელი გაგვიტეხოს ჩვენ, მხედრებს, ხელისუფლების თვალში.

მაგრამ მიზანს ვერ მიაღწევენ. ჩვენი ორიენტაცია, ვიმეორებ, ეს საბჭოთა ხელისუფლებაა. და თუ ვისმეს ამაში ეჭვი შესდიოდა წინეთ, ეჭვი აღარ უნდა შეეპაროს 24 წლის ავანტიურის შემდეგ, როცა წითელი მხედრობა თავის მთავრობას ამოუდგა გვერდში და სათანადოთ გაუმასპინძლდა მოღალატეებს, ხალხის ინტერესებით უსირცხვილოდ მოვაჭრეებს. თუ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი 1924 წელში, მით უფრო უიმედო და აქედანვე განწირულია ჩვენი მტრების ბნელი განზრახვები ეხლა.

დღეს, ჩვენს სახეში ხელისუფლებამ იგულვოს მხედართა რკინის ნებისყოფით შეკრული რაზმი, რომელიც წითელ დროშას არავის დაანებებს, ერთი წუთითაც არ დახრის მას ძირს და არ მისცემს ვინმეს ნებას ჯიჯგნოს საბჭოთა საქართველოს სხეული.

ჩვენ პირველ მოწოდებისთანავე, როგორც ერთი კაცი, ელვის სისწრაფით ჩავდგებით მებრძოლ წითელი ჯარის რიგებში და ღირსეულ პასუხს გავცემთ ყველას, ვინც მოინდომებს ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევას.

იშხნელი

— ქართულ მხედრობას არ შეუძლია თავისი აზრი არ გამოსთქვას იმ საზიზღარი პროვოკაციის შესახებ, რომელსაც საქართველოდან გაქცეული მენშევიკები უმზადებენ ჩვენს მშრომელ ხალხს.

სიყვარული მუშებისა და გლეხებისადმი გვაიძულებს ჩვენ გვერდში ამოუდგეთ საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან ერთად ვიბრძოლოთ მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს წითელ საქართველოს!

წულეისკირი

— ქართული მხედრობა ხედავს, თუ რა სწრაფი ტემპით იზრდება საქართველოს ეკონომიური და კულტურული ცხოვრება. ამ საერთო აღმშენებლობაში იზრდება და მტკიცდება ჩვენი წითელი არმია, მუშების და გლეხების მშვიდობიანი შრომის ერთგული დარაჯი.

აღმშენებლობის ამ საერთო ფერხულში ჩაბმული არიან მეთაურებიც. არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია დაგვაშოროს ჩვენ, ქართველი მეთაურები, ჩვენს საყვარელ წითელ არმიას.

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარ წითელ ლაშქარს!

გაუმარჯოს იმ მომენტს, როდესაც მუშები კაპიტალისტური ქვეყნის ნანგრევებზე ააშენებენ შრომის სამეფოს—სოციალიზმს!

შამშურინი

— ამ კრებაზე მონაწილეთ მრავალ ქარცეცხლში გაგვივლიათ. თქვენ მონაწილეობას იღებდით იმპერიალისტურ ომში, რომელსაც მოჰყვა დიდი რევოლიუცია. მას შემდეგ ათი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ჩვენის თვალით ვნახეთ, თუ რამდენის გაკეთება შეუძლია განთავისუფლებულ მუშათა კლასს.

მენშევიკების დროს ჩვენ არ ვიცნობდით საბჭოთა სისტემას, არ ვიცნობდით იმ წითელ არმიას, რომელმაც მოსპო მშრომელი ხალხის ყველა მტრები. იმ დროს ჩვენ გვეგონა, რომ წითელი არმია ბრბოს წარმოადგენდა, მაგრამ როდესაც მას შევხვდით ბათომში, დავრწმუნდით, რომ ის იყო რეგულიარული ჯარი გამსჭვალული რევოლიუციის დიდი იდეით.

დღეს ჩვენ ამ წითელი არმიის აღმშენებლობაში ვართ ჩაბმული. ჩვენი ჭაღარა მხედრები სათავეში უდგანან სამხედრო სკოლებს, სადაც იზრდებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის ახალი მეთაურები. მათი მუშაობის ნაყოფს დღეს ყველა ხედავს.

და დღეს როდესაც ჩვენ [illegible] უდიდეს აღმშენებლობას ვეწევით, საქართველოდან გაქცეული მენშევიკები [illegible] ახალ პროვოკაციას. მათ უნდათ [illegible] ჩამოაგდონ ჩვენსა და საბჭოთა ხელისუფლების შორის. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცნობთ იმ ვაჟბატონებს, რომლებიც ეხლა ბრძანებებს გზავნიან პარიზიდან. არც ერთი ჩვენგანი არ წამოეგება მათ ანკესზე, რადგან ჩვენ გულწრფელად დავდექით საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და ვიცავთ მშრომელი ხალხის ინტერესებს.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ გვერდში ამოუდგებით საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

პაიჭაძე

(წითელარმიელი)

— საქართველოდან გადახვეწილი ემიგრაცია მორიგი ავანტიურისათვის ემზადება, ამ შავბნელ საქმეში მათ უნდათ დაუყრდნონ ქართველ მეთაურებს და წითელარმიელებს. მაგრამ მე ვაცხადებ წითელ არმიელების სახელით, რომ არც ერთი წითელარმიელი არ წამოეგება მათ ანკესზე. მუშებისა და გლეხების წრიდან გამოსული წითელარმიელები გვერდში უდგანან თავის მთავრობას და მასთან ერთად იბრძოლებენ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მოინდომებს ჩვენი მშვიდობიანი შრომის დარღვევას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ძლევა-მოსილ წითელ არმიას!

ართმელაძე

— ამხანაგებო! ჟორდანია-რამიშვილის პროვოკაციულმა წერილებმა ჩრდილი ქვეშ დააყენა ჩვენი პიროვნება. ჩვენ ვალდებული ვართ ავიმაღლოთ ჩვენი ხმა ამ საზიზღარი პროვოკაციის წინააღმდეგ და განუცხადოთ ჩვენს მთავრობას, რომ ჩვენ მასთან ვართ და მასთან ხელიხელ ჩაკიდებული ვიბრძოლებთ მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ.

ვაშაკიძე

--- ჩვენ აქ ერთხმად უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ ყველანი საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე ვდგევართ და ვიცავთ მუშების და გლეხების ინტერესებს.

სიტყვების დასრულების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

თბილისში მცხოვრებ თადარიგში მყოფ უფროს შემადგენლობის საერთო კრება, მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საზღვარგარეთ გახიზნულ მენშევიკურ „მთავრობის" და ყოფ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადების ჟორდანიას და რამიშვილის მორიგ პროვოკაციის და ავანტიურის გამეორების ცდის შესახებ, აღშფოთებას და ზიზღს გამოსთქვამს მათ მიმართ და აცხადებს ყველას და მათ გასაგონათ, რომ ჩვენ ჩვენი ბედი სრულიად გულწრფელად დავუკავშირეთ არსებულ საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან ერთად ვართ ყოველგვარ გაჭირვებაში და ლხინში.

ჩვენთვის ნათელია განსხვავება ყოფილ მენშევიკურ მთავრობის და საბჭოთა ხელისუფლების შორის. წარსულში მენშევიკების ბატონობის დროს გაჩაღებული იყო ა. კ. ერთა შორის შუღლი მტრობა და სისხლის ღვრა, ეცემოდა ჩვენი კულტურა, დღეს საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი ერთა შორის ძმური განწყობილების, კულტურის აყვავების და ფართო აღმშენებლობის პოლიტიკა ყველასათვის და ჩვენთვისაც დასანახია.

დღეს, იცოდენ დავიწყებას მიცემულ გახრწნილი ემიგრაციის ბელადებმა, რომ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ვმუშაობთ კულტურულ და აღმშენებლობის ფრონტზე, ხოლო როდესაც საჭირო იქნება, ჩვენ შევავსებთ წითელ ლაშქრის რიგებს და წინ აღუდგებით ყოველგვარ პროვოკაციულ გამოსვლას.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას.

გაუმარჯოს ძლევა-მოსილ წითელ ლაშქარს. ზიზღი ავანტიურისტებს.

მსოფლიო ამბები და ქართველი ხალხი

6.

ამიერ - კავკასიის ხალხთა მშვიდობიანობის მიზეზები

ვიდრე ჩვენს კვლევა-ძიებას და ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ მოვლენების ანალიზს გავაგრძელებდეთ საჭიროდ მიმაჩნია აქ შევეხო ერთს შესანიშნავ ფაქტორს, რომელსაც ძალიან დიდი პოლიტიკური, ნაციონალური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს—მე ვგულისხმობ ამიერ-კავკასიაში დამკვიდრებულ მშვიდობიანობას, განსაკუთრებით ნაციონალურ მშვიდობიანობას და მინდა გამოვარკვიო ამ მოვლენის ძირითადი საზოგადოებრივი ფესვები.

საქართველოს სოციალ-დემოკრატები სწერენ ხოლმე ამიერ-კავკასიის ხალხთა ნაციონალურ ურთიერთობაზე და ამტკიცებენ, რომ ეს მშვიდობიანობა ბოლშევიკების მიერ **ძალით** არის დამყარებული. მუშას გასაქანი არ აქვს, მას არ შეუძლია თავისი კლასობრივი ინტერესები დაიცვას თავისუფლად, გამოაცხადოს გაფიცვა, მოახდინოს დემონსტრაცია. ერები ჩაკლულია, მათ ვერ გამოუხატავთ თავიანთი სულისკვეთება, დამკვიდრდა მონობა და ურდოების უღელი—აი დაახლოვებით ფილოსოფია იმ წერილის, რომელიც ნ. რამიშვილის მიერ მოთავსებულია „ბრძოლის" მე-18-ე ნომერში.

ერთი წუთითაც რომ დავეთანხმოთ ნოე რამიშვილს ყველა ამ მოვლენის **ძალით** ახსნაში, ჩვენთვის მაინც უფრო მისაღები იქნებოდა ასეთი ძალით დამყარებული მშვიდობიანობა ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის, ვიდრე ხალხების გარეგნული „დამოუკიდებლობა—თავისუფლება" და ამავე დროს მათში სისტემატიური აშკარა ომის და ბრძოლის წარმოება. ვიმეორებთ, ჩვენ უფრო გვირჩევნია „იძულებითი" მშვიდობიანობა, ვიდრე „ნებაყოფლობითი" ხოცვა-ჟლეტა.

მაგრამ თავი დავანებოთ ნ. რამიშვილის ბავშურ არგუმენტაციას და საკითხი განვიხილოთ უფრო სერიოზულად, ერთხელაც არის გავშიშვლოთ ეკონომიური საფუძვლები ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის დამკვიდრებულ მშვიდობიანობისა.

ისტორიულად ეს მოვლენა პირდაპირ გასაოცარი, შესანიშნავი და საკვირველია. ევროპას აქვს ჭრელი ეთნიური ტერიტორია, რომელსაც ბალკანეთი ეწოდება. მაგრამ ეს ბალკანეთი არის საუკუნოების განმავლობაში ომის და შუღლის დაუცხრომელი სარბიელი. ევროპის ყველა სახელმწიფოებმა მთელი საუკუნის განმავლობაში ვერ შესძლეს მარტო ბალკანეთის საკითხის მოგვარება და ევროპა ვერც ვერასოდეს მოაგვარებს ვერც ბალკანეთის საკითხს კერძოდ და ვერც ეროვნულ საკითხს საზოგადოდ.

პავლე მილიუკოვს რომ დაუჯეროთ ამიერ-კავკასია წარმოადგენს მეორე ბალკანეთს. ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს დავეთანხმოთ პავლე მილიუკოვს თავის დებულებაში, მაგრამ რად არ აკეთებს იგი აქედან სათანადო დასკვნებს. ევროპა, კულტურული ევროპა იძლევა თავის ბალკანეთში ომს, ხოლო „აზიური" კომუნისტური რუსეთი თავის „ბალკანეთში" მუდამ ძმობას და მშვიდობას.

ნუ თუ ამ მოვლენას არ უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება? მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ამიერ-კავკასია წარმოადგენდა ეროვნული შუღლის სარბიელს, რომელიც ნიკოლოზის რუსეთის დროს იხატებოდა სომეხ-თათართა სისტემატიურ ხოცვა-ჟლეტაში და ქართველ სომეხთა ურთიერთობის გამწვავებაში, ხოლო მენშევიკ-მუსავატელების და დაშნაკების დროს ეს გამოიხატა დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის პირდაპირ ომებში.

რა ასაზრდოებდა და რა საფუძვლები ჰქონდა ამ შუღლიანობას? ზერელე აზრით ჩვენ ეს უნდა მივაწეროთ მხოლოდ ხსენებული დროის მთავრობებს. ეს რამდენადმე მართალიც არის რა საკვირველია. უეჭველია, სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ნიკოლოზის მთავრობას, ხოლო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის დროის ომების პასუხისმგებლობა დაეკისრება ზემოხსენებულ მთავრობებს.

მაგრამ გარდა ამ წმინდა პოლიტიკურ მომენტისა, არსებობს ეკონომიური მომენტი, რომელსაც უაღრესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

პირველ ყოვლისა ამიერ-კავკასიის ერებს შორის სოციალურ და ეროვნულ ურთიერთობის გამწვავებას იწვევდა ევროპიული ფინანსიური იმპერიალისტური კაპიტალი ერთის მხრივ და რუსული ნაციონალისტური პოლიტიკა მეორეს მხრივ. ფინანსიურ კაპიტალს არ შეუძლია თავისი მიზნები განახორციელოს თუ ხალხი, რომლის გაფცქვნას ის იწყებს, წარმოების მხრივ მაღლა სდგას, ხოლო კულტურულად იგი განვითარებულია. ფინანსიურ კაპიტალს სურს მდიდარი მადანი, მაგრამ ბრმა ხალხი; სურს დაუშრეტელი წყაროები სიმდიდრის, მაგრამ ყრუ მუშა. ამიტომ ფინანსიური კაპიტალი ებრძვის საშინაო ეკონომიური ძალების აღდგენას—ერთის მხრივ, ხოლო განათლების გავრცელებას—მეორე მხრივ. ასეთს პირობებში ეროვნული შუღლი, ხოცვა-ჟლეტა, პოგრომი—ჩვეულებრივი ფორმაა ფინანსიურ კაპიტალის პერიოდში ქვეყნის სასიცოცხლო ძალების მოსასპობად, აღსაგავად, კულტურის ჩასაქრობად, ხალხის დასამონავებლად. რუსეთი თავისი თვითმპყრობელური მთავრობით პირნათლად ემსახურებოდა ევროპის ფინანსიურ კაპიტალს ამ მთავარ საქმეში და მაშინ, როცა მას არ ქონდა ომი, ის იწვევდა სამოქალაქო ომს და ხოცვა-ჟლეტას, არავინ არ ფიქრობდა შფოთზე და თავს ატეხდენ პოგრომს. ეს პოლიტიკა სტიქიაა ფინანსიური კაპიტალისა, რასაც ასე პირნათლად ატარებენ ევროპიელები აზიაში, ავსტრალიაში.

მაგრამ ამ უცხო კაპიტალისტური ელემენტის გარდა ეროვნული შუღლი ვითარდებოდა ჩვენში ადგილობრივი კაპიტალის მხრივაც. მოგეხსენებათ, რომ სომხური კაპიტალი საქართველოში და უმთავრესად თბილისში წარმოადგენდა სავაჭრო კაპიტალს, ხოლო აზერბეიჯანში სავაჭროსთან ერთად სამრეწველოსაც. სომეხ-თათართა და სომეხ-ქართველთა გამწვავებული მდგომარეობა უნდა აიხსნას აგრეთვე ხსენებულ კაპიტალისტურ ჯგუფების კონკურენციით ერთმანეთს შორის, რომელნიც თავიანთ კაპიტალისტურ ინტერესებს ხვევდნენ **ეროვნულ** ინტერესების სამოსელში.

საგულისხმიეროა, რომ ეროვნული შუღლის სარბიელი ჩვენში იყო უმთავრესად ქალაქები—თბილისი, ბაქო, განჯა. სოფელი ამ შუღლში არ იღებდა მონაწილეობას. აქედან აშკარაა, რომ ეროვნული შუღლის სათავე უმთავრესად მომდინარეობდა ქალაქის ბურჟუაზიიდან, კაპიტალისტური ჯგუფებიდან, მხოლოდ და მხოლოდ შეძლებულთა წრეებიდან. შიდა საქართველოში გამწვავებული ეროვნული ურთიერთობა არსებობდა ოსებსა და ქართველებს შორის, მაგრამ აქაც ამ ეროვნულ შუღლის სათავე თავად-აზნაურობაში იყო ჩამარხული და გამომდინარეობდა მიწად-მფლობელობის მდგომარეობიდან. ამავე დროს მეტად ართულებდა მდგომარეობას ამიერ-კავკასიაში თვითმპყრობელობის მიერ ხელოვნურად შექმნილი რუსული კოლონია—მოსახლეობა.

ეროვნულ შუღლის ამ გამომწვევ-მოსამზადებელ მიზეზებს და პროცესებს ევროპიული კაპიტალი, ნიკოლოზის მთავრობა და მთელი კაპიტალისტური და მიწადმფლობელობის სისტემა არა თუ არ ასუსტებდა, პირიქით, ხსენებულ შუღლს და ეროვნულ უთანხმოებას იგი აღრმავებდა, აფართოვებდა. ამიერ-კავკასიის „ბალკანეთი" მართლა საშინლად ემსგავსებოდა ევროპის ბალკანეთს, ჩვენ ორივე ადგილას ვხედავთ დაახლოვებით ერთგვარ მდგომარეობას, ერთგვარ მიზეზებს, ერთგვარსავე შედეგებს.

რა მდგომარეობა დამყარდა საბჭოთა წყობილების დამკვიდრებით ჩვენში?

საბჭოთა წყობილებამ ერთის ხელის დაკვრით მოსპო მთელი რიგი ხსენებულ მიზეზებისა და საფუძველი გამოაცალა ეროვნულ შუღლს ამიერ-კავკასიის ერებში.

ქალაქებში მოხდა სამრეწველო, სავაჭრო და საბანკო კაპიტალთან ერთად ყველა მნიშვნელოვან უძრავ ქონებათა მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია. ქალაქებში ყველაზე მეტად დაზარალდა სომხური კაპიტალი, სოფლად კი ბეგური და თავადური თათრულ-ქართული კაპიტალი. ევროპიული კაპიტალი მთელი თავისი აპარატით სრულიად იქნა აღგვილი, გამოცხადდა მთელი მიწა-წყლის ნაციონალიზაცია და ამგვარად მოისპო პირობა კოლონიების არსებობისა, მიწების ყიდვა-გაყიდვისა და ადგილობრივი მიწა-წყალის რომელიმე უცხო ელემენტის ხელში გადასვლისა.

ნუ თუ ყველასათვის თვალსაჩინო არ არის, რომ მთელი რიგი ამ ზომებისა თავისთავად ამორტიევებს და სწყვეტს ეროვნულ საკითხს, რომ იქმნება რეალური და ობიექტიური პირობები, როცა ეროვნული გადაგვარების საშუალებანი ისპობიან, როცა ტერიტორია ხდება ხელუხლებელი, როცა კაპიტალი ეროვნულ დარაზმულობის მიხედვით კი არ ექიშპება ერთი-მეორეს, არამედ მისი მთავარი ძარღვები მოქცეულია ერთი სახელმწიფოის ხელში და მისი მიზანი ხდება არა პოლიტიკური, არამედ წმინდა ტეხნიკური, საწარმოო.

ევროპიული ფინანსიური კაპიტალი, ძველი რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა, კერძო კაპიტალისტური ჯგუფი და მოუგვარებელი კაპიტალისტური ინტერესები—აი საფუძველი ეროვნული შუღლისა მთელს ამიერ-კავკასიაში. საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო ყველა ეს მიზეზები, პირობები და მათი მოსპობით მთელი ამიერ-კავკასიის ჰორიზონტი გაიწმინდა, ნათელი შეიქმნა, შეიქმნა რეალური ეკონომიური და ობიექტიური პირობები თავისუფალი ეროვნული განვითარებისა.

ჩვენ არ ვეხებით აქ ისეთ მნიშვნელოვან მომენტებს, როგორიცაა ეროვნული საკითხისათვის სასამართლოს საქმე, სკოლის, ჯანმრთელობის, ადმინისტრაციის, საერთო მართვა-გამგეობის. დღეს მთელს ამიერ-კავკასიაში არ არის არც ერთი კუთხე, სადაც გლეხს სასამართლოში არ ესმოდეს თავისი საკუთარი მშობლიური ენა, არ არის არც ერთი სკოლა, არც ერთი სამკითხველო, არც ერთი კლუბი, სადაც ქართველი არ ისმენდეს ქართულს, სომეხი სომხურს, აზერბეიჯანელი სპარსულ-თურქულს. დღეს არ არის არც ერთი კუთხე მთელს ამიერ-კავკასიაში, სადაც, როგორც საერთო წესი და მოვლენა, მთელს ადმინისტრატიულ აპარატში არ იყოს ადგილობრივი ხალხის შვილები გამოყენებული, სადაც მკვიდრთა ადათებს, ჩვეულებებს, წესებს ცხოვრებაში არ ატარებდეს ადგილობრივად მცხოვრები, ადგილობრივი ელემენტი.

ყველა ამის შემდეგ, ჩვენ გვინდა ვიკითხოთ: არის თუ არა ახლა ცხადი—რად დამყარებულა ამიერ-კავკასიაში მოსახლე ერებს შორის თანხმობა და სოლიდარობა და შეიძლება თუ არა ამიერ-კავკასიის ერთა შორის დამყარებული მშვიდობიანობა აიხსნას მხოლოდ „ძალადობით", ბრძანებით, ან „პოლიტიკური ზომებით, როგორც ამას ნ. რამიშვილი ამბობს.

დიახ, ამიერ-კავკასიის ერთა შორის ჩამოვარდნილ მშვიდობიანობას მეტად ღრმა ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური საფუძვლები აქვს. ეს მოგვარებული საფუძვლები ამიერ-კავკასიის ბალკანიზაციას სცვლის ამიერ-კავკასიის ძმური ფედერაციით. ევროპას შეუძლია ამიერ-კავკასიის მაგალითზე ისწავლოს ეროვნული საკითხის გადაჭრის საშუალებანი, მაგრამ იგი, ევროპა, განა ამას ისწავლის, მიიღებს და შეიგნებს?—რასაკვირველია, არა.

ევროპას აინტერესებს არა თანხმობა, არამედ შუღლი, ევროპას სწყურია სისხლი და ფული, ქონება და მოგება, მაგრამ არც სისხლის შესმა, არც ფულის მოგება, არც გამდიდრება არ შეიძლება მშვიდობიანობის გზით. ევროპიული კაპიტალიზმი წარმოიშვა, აღიზარდა, მომწიფდა სისხლში, ომში, შუღლში და მას ომისა და შუღლის გარეშე არსებობა არ შეუძლია.

საქართველოს მენშევიკებს სურთ, როგორც წესი და სისტემა, საქართველოში კაპიტალისტურ ევროპის შემოყვანა და არ უნდათ დაინახონ, რომ ეს იქნებოდა მთელი ამ.-კავკასიის ნამდვილი ბალკანიზაცია, ეს იქნებოდა დამყარებული მყუდროების მოსპობა, ეს იქნებოდა ახალი ხანა ეროვნული შუღლებისა ჩვენში.

საქართველოს სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ: ქართველი ხალხი არასოდეს არავის დაანებებს კაპიტალისტურ ევროპის გაბატონებას საქართველოში, თუნდაც კაპიტალისტურ ევროპას წინ უძღოდეს ნოე ჟორდანია „ვეფხის ტყაოსანით" და რაფიელ ინგილოს სიონის ტაძრის სურათით...

თედო ღლონტი.

პარტიული ცხოვრება

თბილისის კომიტეტის პლენუმის დადგენილება

სამხედრო თავდაცვის გაძლიერება

მოისმინა რა ამხ. შ. მახარაძის მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მდგომარეობის და მისი როლის შესახებ ქვეყნის თავდაცვის საქმეში, თბილისის კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს ზოგიერთ მიღწევებს საზოგადოების მიმდინარე წლის მუშაობაში, რომელთა გამო თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება გახდა საბჭოთა საზოგადოებრივობის მასიურ ორგანიზაციად.

ამასთან ერთად თბილისის კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მუშაობაში მთელ რიგ დეფექტებსაც:

1) არასაკმაო ყურადღება პარტიის, კომკავშირის და პროფესიონალურ ორგანიზაციების მხრივ თავდაცვა-ავიაქიმის ქვედა ქსელის უჯრედების მუშაობისადმი.

2) უჯრედის შინაგან და სასექციო მუშაობის სისუსტე.

3) თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის ქვედა ქსელის უჯრედებში კომფრაქციების არ არსებობა.

4) პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად საშუალებების და საჭირო ექსპონატების უქონლობა. (გაზის საწინააღმდეგო ნიღაბები, ამულიაჟები, მასალები სამოდელო წრეებისათვის, იარაღი, ვაზნები მსროლელთა წრეებისათვის).

5) საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მძიმე ფინანსიური მდგომარეობა, რაც არ იძლეოდა მუშაობის გაფართოების საშუალებას.

ვინაიდან საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავების გამო თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა დანარჩენ ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შედარებით—მომავალში მუშაობის გასაუმჯობესებლად თბილისის კომიტეტის პლენუმი იძლევა შემდეგ წინადადებებს:

1) პარტორგანიზაციებმა აწარმოონ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედების და უმაღლეს ორგანიზაციების მუშაობის სისტემატიური ხელმძღვანელობა. ამისათვის რეგულიარულად უნდა იქნეს მოსმენილი კომფრაქციათა მოხსენებები მათ მიერ წარმოებულ მუშაობის შესახებ.

2) რაიონულ და ქვედა ორგანიზაციათა ხელმძღვანელ შემადგენლობის გასაძლიერებლად პარტორგანიზაციებმა გადასინჯონ აღნიშნული შემადგენლობა მის შესავსებად ახალი მუშაკებით.

3) აუცილებლად ჩაითვალოს პროფკავშირების ყურადღების გაძლიერება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედებისადმი.

4) მიღებულ იქნას ზომები მუშაობის გამოსაცოცხლებლად და საზოგადოების წევრებში, და საერთოდ ორგანიზაციაში, საზოგადოებრივი დისციპლინის გასაძლიერებლად.

5) წინადადება მიეცეს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოების აქტივში სპეციალურ მუშაობის წარმოებას, მოაწყოს ამისათვის სპეციალური წრეები საზოგადოების ამოცანებსა და მიზნებთან დაკავშირებულ ცალკე პრობლემათა შესასწავლად (მტრის შეიარაღებული ძალის შესწავლა, ომი და ომის საშიშროება, ქიმიური ომი მოსავლის მავნებლებთან და სხ.).

6) საჭიროდ ჩაითვალოს საზოგადოების მუშაობაში მუშების (განსაკუთრებით ახალგაზრდობის და ქალების) ჩაბმა.

7) ჩაითვალოს გადაუდებელ ამოცანად თითოეულ რაიონში ავიო-ქიმიური რაზმის დაარსება.

8) ყურადღება მიექცეს თავდაცვის კვირეულის მასიურად ჩატარებას, თავდაცვის კვირეულის ერთ-ერთ ამოცანად ჩაითვალოს საშუალებათა შეგროვება ორი აეროპლანის ასაგებად „თბილისის პროლეტარიატი" და „საქართველოს პროფკავშირები".

9) ძირითადი თავისი ამოცანის—მშრომელ მასების გასამხედროების განსახორციელებლად თბილისის კომიტეტი აძლევს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას შემდეგ წინადადებებს:

ა) უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ მთელმა მშრომელმა მასებმა შეიგნონ კავშირის დაცვის ამოცანები და ამ დაცვაში პირადი მონაწილეობის საჭიროება.

ბ) დაჭერილ იქნას მჭიდრო კავშირი წითელ არმიასთან; რათა მუშები გაეცნონ სხვადასხვა ჯარების ყოფას და სწავლებას, მოწყობილ იქნას ექსკურსიები და დასწრება მანევრებზე, სროლაზე, ტაქტიკურ მეცადინეობაზე, ქიმიურ ხრჩოლებაზე და სხვ.

გ) უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ფართო მშრომელი მასები ელემენტარულად გაეცნონ სამხედრო საქმის საფუძვლებს; საამისო მეცადინეობა უნდა დაიწყოს სროლის პრაქტიკულად შესწავლით.

დ) მიღწეულ იქნას, რომ მშრომელებმა კონკრეტიულათ შეიგნონ ზურგის მნიშვნელობა მომავალ ომში, ის საფრთხე, რომელიც მოელის ამ ზურგს და თავდაცვის ფორმები.

ე) მუშაობა გასამხედროებისათვის პირველ რიგში უნდა სწარმოებდეს მუშურ ახალგაზრდობაში, მუშებში და შემდეგ უკვე მოსამსახურეებში.

ვ) დაჭერილ იქნას მჭიდრო კავშირი ყველა სასპორტო ორგანიზაციებთან (ფიზკულტურის საბჭოები, დინამო და სხვ.) მათი გასამხედროების მიზნით.

ზ) სამხედრო კუთხეებში ყურადღება მიექცეს ძირითად მასალის შერჩევას, რათა ეს მასალა შეეფერებოდეს მიმდინარე მომენტის ამოცანებს და აღნუსხავდეს მუშა-მოსამსახურეთა სამხედრო ცოდნის ხარისხს.

თ) შექმნილ იქნას სასროლ ტირების ქსელი პირველ რიგში თავდაცვა-ავიაქიმის რაიონულ ორგანიზაციებში და შეძლებისდაგვარად გაფართოებულ იქნას იგი; მიღებულ იქნას ზომები, რომ ასეთი ტირები თანდათანობით დაარსდეს ყველა კლუბებთან, მსხვილ წამოწყებებთან და დაწესებულებებთან.

ი) დაუყოვნებლივ მოეწყოს ტირებთან, კლუბებთან და წამოწყებებთან (სადაც მოწყობილი არაა) მსროლელთა წრეები, რისთვისაც თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმმა უზრუნველყოს ადგილები ინსტრუქტორებით და საჭირო სასწავლო ხელსაწყოებით.

კ) თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედებში ფართოდ იქნას ჩაბმული პარტიული და უპარტიო სათადარიგო უფროსი შემადგენლობა მათი ინსტრუქტორებად გამოყენების გზით.

ლ) ფართოდ და ვრცლად გაშუქდეს პრესაში თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მუშაობა, განსაკუთრებით ქვედა ორგანიზაციათა პრაქტიკული მიღწევები, ყოველ მხრივ შეეწყოს ხელი სამხედრო პრესის (გაზეთები, ჟურნალები, წიგნები) გავრცელებას მშრომელთა ფართო მასებში.

წინადადებანი საბინაო მშენებლობის შესახებ

1) თბილისის კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის საბინაო მეურნეობის ტეხნიკურ მდგომარეობის პირობებში, იმის გამო, რომ უკანასკნელ 12—13 წლის განმავლობაში არ ხდება საჭირო შეკეთება და საკმაო არაა საშუალებები ამ მეურნეობის ხელის შესაწყობად, ამჟამადაც გრძელდება საბინაო ფონდის ღირებულების დაცემა და ამ ფონდის შემცირება ბუნებრივი გაცვეთის გამო, რაც არ იფარება ახალი მშენებლობით.

2) ამის მიხედვით საბინაო კრიზისთან ბრძოლის ზომები უნდა წარიმართოს ორი ხაზით: ა) არსებულ საბინაო სივრცის დაცვა შემდგომი დანგრევისაგან და ბ) ახალ მშენებლობის განვითარება ქალაქის მშრომელ მასების საბინაო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3) თბილისის კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საბინაო ფონდის დასაცავად საჭიროა შემდეგი ღონისძიებანი:

ა) სახლის მმართველობებში საშუალებათა დაგროვების გაძლიერება არაწარმოებითი ხარჯების სასტიკი შემოკლების გზით, ხარჯებზე კონტროლის გაძლიერებით და სახლის მმართველობათა პასუხისმგებლობის გადიდებით.

ბ) უნდა დამუშავებულ იქნას საკითხი კონტროლის შესახებ კერძო სახლის მეპატრონეების მიერ. ბინის ქირის ხარჯვაზე. ეს აუცილებელია იმ მიზნით, რომ საშუალებები უპირველეს ყოვლისა იხარჯებოდეს საბინაო სივრცის დასაცავად.

გ) გაძლიერებული ბრძოლა ბინის ქირის დავალიანების წინააღმდეგ.

დ) სახლთმფლობელობათათვის გრძელვადიანი კრედიტის მიცემის გაძლიერება, სესხებზე სათანადო პროცენტის დაწესებით (არა უმეტეს 10 პროცენტისა).

ე) საბინაო საკითხის შესახებ არსებულ კანონების მტკიცე დაცვა (კერძო სახლებში აღმასკ. ფონდის მტკიცე დაცვა და სხვ.).

ვ) საბინაო სასამართლოთა მუშაობის გაუმჯობესება და საქმეების გარჩევის დაჩქარება; წვრილმანი საქმეების (ბინის ქირა, წვრილმ. საბინაო კონფლიქტები) გარჩევა უნდა ხდებოდეს სასამართლოს ბრძანების წესით.

ზ) საბიუჯეტო ასიგნობათა გაძლიერება არსებულ საბინაო სივრცის დასაცავად და აღსადგენად.

4) თბილისის კომიტეტს მიაჩნია რომ, მშენებლობის ცენტრალიზაციის და მისი რაციონალურად წარმოების მიზნით (სტანდარტი, საშუალებათა დაჯგუფება და სხვ.) და აგრეთვე მოსახლეობის საშუალებათა უფრო მეტად გამოსაყენებლად საჭიროა მომავალში აღებულ იქნას კურსი საბინაო კოოპერაციის როლის გაძლიერებისაკენ; ამისათვის საბინაო კოოპერაციას უნდა გადაეცეს აღმასკომის სპეციალური კრედიტები მუშათა მშენებლობისათვის, მრეწველობის მიერ მუშათა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდში დაგროვილი თანხები და ადგილობრივ ბიუჯეტის საშუალებანი გრძელვადიან საბანკო კრედიტის წესით.

5) ამასთანავე დაევალოს ხელშემწყობ კომიტეტს აღმასკომთან და საბინაო კავშირთან ერთად დაამუშაოს საკითხი სააღმშენებლო კოოპერაციაში მცირე ხელფასიან მუშების ჩაბმის შესახებ მათთვის უფრო შეღავათიან კრედიტების მიცემის გზით (გადახდის ვადის გაგრძელება, პროცენტის შემცირება 5-მდე. და სხვ.).

6) იღებს რა მხედველობაში საბინაო სივრცის ნგრევის გამო ყოველწლიურად წარმოშობილ დეფიციტს, რომელიც არ იფარება ახალი მშენებლობით, პლენუმი საჭიროდ სთვლის საშუალებათა გაძლიერებას ახალი მშენებლობისათვის; ამისათვის საჭიროა: ა) ქ. თბილისის სავაჭრო-სამრეწველო შემოსავლიდან პროცენტულ ანარიცხთა გაძლიერება; ბ) ახალ მშენებლობისათვის გამოყენება იმ საშუალებათა, რომლებიც შემოდიან საიპოტეკო დავალიანებით; გ) საბინაო ხარჯის კანონის მიერ დაწესებულ ნორმამდე გადიდება (ამჟამად 75 პროც.) მომავალ საბიუჯეტო წლიდან.

დ) სოციალურ დაზღვევის ანარიცხების 50 პროცენტის საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის დატოვება; ე) საბინაო მშენებლობისათვის საბიუჯეტო ასიგნობათა გადიდება.

7) საბინაო კავშირს, აღმასკომს და სხვა ორგანიზაციებს წინადადება მიეცეს მიიღონ შესაფერი ზომები მშენებლობის და სააღმშენებლო მასალების გასაიაფებლად და ორგანიზაციულ და დანართ ხარჯების შესამცირებლად.

8) დაევალოს მუშათა მშენებლობის ხელისშემწყობ კომიტეტს აღმასკომის, კოოპერატიულ და სავაჭრო სამრეწველო საშუალებათა და საბანკო კრედიტების დანიშნულებისამებრ ხარჯვაზე კონტროლის დაწესება.

9) დაევალოს აღმასკომს და საბინაო კავშირს თბილისის საბინაო მშენებლობის საორიენტაციო გეგმის შედგენა უახლოეს ხუთი წლისათვის.

დაწინაურებულთა შორის მუშაობა

საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების მიზნით პარტიამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუშათა დაწინაურების საქმეს. იშვიათია ისეთი მუშათა ორგანიზაცია, საიდანაც პროფკავშირს პარტიის ხელმძღვანელობით არ წამოეყენებინოს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ერთი ან ორი ამხანაგი. აგრეთვე დაწინაურებულნი ღარიბ გლეხობიდანაც.

მაგრამ დაწინაურების საქმე ამით ხომ არ დასრულებულა. მთავარი კიდევ წინ არის. ესაა მუშაობა დაწინაურებულთა შორის. რა გააკეთა ამ მხრივ ჩვენმა უჯრედმა.

აი საკითხი, რომლის დასმის ვადა უკვე დადგა, რადგან ბოლო დროს დაწინაურებული ამხანაგები ბევრ შემთხვევაში უკვე რამდენიმე თვეა მუშაობენ ახალ თანამდებობაზე. ამასთან ერთად ცოტა არ არიან ისეთებიც, რომელნიც უკვე წლობით მუშაობენ, როგორც დაწინაურებულები.

თავისთავად ცხადია, რომ დაწინაურებულ ამხანაგებს მრავალი საჭირ-ბოროტო პრაქტიკული საკითხები აქვთ. ზოგჯერ ისინი უძლურნი არიან, რომ ამ საკითხებზე პასუხი გასცენ. განსაკუთრებით ეძნელებათ ეს ახლად დაწინაურებულ ამხანაგებს. უჯრედმა სწორეთ აქ უნდა გამოიჩინოს ენერგია. მან უნდა შეუქმნას დაწინაურებულს ისეთი პირობები, რომ დაწინაურებულმა გაამართლოს მაზე დამყარებული იმედები.

რა არის ამისათვის საჭირო? მთავარია აქ გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარება, რასაც სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს. ამ მიზნით უნდა შეიქმნას დაწინაურებულ მუშებისა თუ გლეხების წრეები, რომელნიც დროგამოშვებით შეიკრიბებიან და იმსჯელებენ თითოეულისათვის საინტერესო საჭირბოროტო საკითხებზე.

გარდა ამისა, დაწინაურებულნი უნდა აკეთებდენ მოხსენებებს თავიანთ მუშაობის შესახებ უჯრედის საერთო კრებებზე. აქ კოლექტიურობით ის დიდ დახმარებას მიიღებს. სამწუხაროთ ასეთი პრაქტიკა ყველგან ერთნაირი ენერგიით არ ტარდება. პირიქით, არის შემთხვევები, როცა დაწინაურებული მოწყვეტილია მის კანდიდატურის წამომყენებელ პარტიულ თუ პროფესიონალურ ორგანიზაციას. ამას ის ხშირად [illegible]. მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მჭიდრო კავშირი პარტორგანიზაციასთან ნაყოფიერი მუშაობის ერთი ძირითადი პირობათაგანია. აქ უადგილოა მოუცლელობის მომიზეზება.

უჯრედებმა თავიანთ სამუშაო გეგმებში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაუთმონ დაწინაურებულთა შორის საკითხებს და მტკიცედ უნდა გაატარონ ისინი ცხოვრებაში.

ბ. ვ—ა.

ჩვენი მიღწევები და ნაკლოვანებანი

ბოლბის ხევი (სიღნაღის მაზრა)

სოფ. ბოლბის-ხევის კომუჯრედში ითვლება 22 წევრი. უჯრედის შემადგენლობა გლეხურია. სქესის მიხედვით სუყველა მამა კაცებია. აღნიშნული უჯრედის მუშაობა იმ ბოლო დროს საგრძნობლად გამოცოცხლდა. არსებობს აგიტპროპ კომისია, რომლის მუშაობაც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. აგიტ-პროპ კომისიის ინიციატივით და მისი ხელმძღვანელობით ადგილობრივ თემში ეწყობა მასიური ლიტერატურული გასამართლოება, რომლითაც გლეხობა კმაყოფილი რჩება, აგრეთვე აგიტ-პროპ კომისია უყურადღებოთ არ სტოვებს თვით განვითარების წრეს, რომელიც არსებობს უჯრედთან. ამ წრეში ხდება მე-15 პარტკონფერენციის დადგენილებათა შესწავლა და ირჩევა მიმდინარე პოლიტიკური საკითხები.

გარდა ამისა უჯრედი გაძლიერებულ და სწორ ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივ თემსაბჭოს, რომლის მუშაობაც გამოცოცხლებულია. საერთოდ უჯრედი აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფლის აღმშენებლობით საქმიანობაში. თავის მხრივ უჯრედს ჰყავს გამოყოფილი ამხანაგები წარმომადგენლებად სხვადასხვა ორგანიზაციებში. ასე მაგალითად უჯრედის წარმომადგენლებიც: ალ. კ. კ. უჯრედში, რევკომში, ქალთა ორგანიზაციაში, წერა-კითხვაში და სხვაგან. აღნიშნულ ორგანიზაციებზე მიმაგრებული ამხანაგები უწევენ მათ შესაფერ ხელმძღვანელობას.

მიღწევებთან ერთად საჭიროა აღინიშნოს ნაკლიც, რომელიც გამოიხატება შემდეგში: უჯრედში არ არის არც ერთი ქალი. უჯრედმა უნდა იზრუნოს ქალების მოსაზიდავად. გარდა ამისა უჯრედის წევრებს ნაკლებათ აქვთ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები.

ადგილობრივი ინტელიგენცია და მასწავლებლობა შესაფერად არ ღებულობს მონაწილეობას კულტურულ მუშაობაში. უჯრედმა უნდა მიიღოს ზომები ინტელიგენციის მოსაზიდათ და ყველა ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელათ.

შ. ჯაჯრიშვილი.

მუშათა ცხოვრება

წარმოებების დაცვისათვის

ფაბრიკა - ქარხნების დაცვას ამ ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, როგორც ხელისუფლების მიერ, ისე მუშების ფართო მასების მხრითაც. ეს ასეც უნდა იყოს. პროლეტარული სახელმწიფო იმიტომ კი არ აგებს უდიდეს ფაბრიკებსა და ქარხნებს, მსხვილ ელექტრო - სადგურებს, შრომელთა მასები იმიტომ კი არ ეწევიან უდიდეს სოციალისტურ აღშენებლობას, რომ რაიმე უბრალო შემთხვევით, ან ვინმე მოსყიდულის ხელმა რამოდენიმე წამში გაანადგუროს შრომელთა ოფლით შექმნილი სიმდიდრე.

უცხოეთის კაპიტალისტები დიდ იმედებს ამყარებენ საბჭოთა ხელისუფლების დაცემაზე ეკონომიური სიღატაკის გამო, მაგრამ, როგორც ვიცით, ამაში ისინი მოსტყუვდნენ. მათ დაუზარებლად პროლეტარულმა სახელმწიფომ შესძლო არამც თუ ძველის აღდგენა არამედ ბევრი ახალის შექმნაც. ასეთი დამარცხებით გაბრაზებული კაპიტალისტური ქვეყნები ცდილობენ იქედან უცხოეთში გადახვეწილი კონტრ-რევოლიუციონერების საშუალებით ააფეთქონ ჩვენი ფაბრიკა - ქარხნები და ამით ხელი შეგვიშალონ აღშენებლობაში. ეს, რასაკვირველია, განსაკუთრებულ სიფხიზლეს მოითხოვს. საჭიროა, რომ ფაბრიკა - ქარხნები და სხვა მსხვილი წარმოების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება შიექცეს.

გარდა ამისა, როგორც საჭიროა, ისე ვერ არის დაყენებული წარმოების დაცვის საქმე ხანძრის მხრივ. ზოგან კარგად ვერ არის მოწყობილი ხანძრის საწინააღმდეგო საშუალებანი. ადმინისტრაცია ხშირად სრულიად უბრალო სახანძრო მოწყობილობას არ იძენს. ამას მომჭირნეობის გატარებით ამართლებს იმ დროს, როდესაც შეიძლება ხანძარმა მილიონობით ქონება შეიწიროს, საჭიროა, რომ ყოველ ფაბრიკასა და ქარხანას ჰქონდეს ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობანი, რომ საჭირო შემთხვევაში თავიდან იქნეს აცილებული ხანძარი და აქედან გამოწვეული ზარალი.

გარდა ამისა, ფაბრიკა - ქარხნების ეზოში ხშირად შენდებით გარეშე მცხოვრებლები. ესეც ხელს უწყობს უბედურ შემთხვევებს. ფაბრიკა - ქარხნების ტერიტორია განთავისუფლებულ უნდა იქნეს გარეშე მობინადრეებისაგან. მათ სხვაგან უნდა მიეცეთ ბინები. საჭიროა ეს სხვადასხვა ზომები ჩვენი ფაბრიკა - ქარხნების დასაცავად მტკიცედ იქნეს გატარებული.

ამასთანავე, მუშათა მასები ყურადღებას უნდა აქცევდენ თავის წარმოების დაცვას. საწარმოო თათბირებზე უნდა ისმებოდეს ეს საკითხი. მუშკორმა ასეთი საშუალებით უნდა ამხილოს, თუ კარგად ვერ არის დაყენებული რომელიმე წარმოების დაცვის საქმე.

ა.

—:—

კიდევ შტატის შემცირების შესახებ

არის წარმოებები და დაწესებულებები, სადაც წელიწადში 2-3-ჯერ ხდება შტატის შემცირება. რა თქმა უნდა, არავინაა წინააღმდეგი, რომ მუშა - მოსამსახურეების შტატი შემცირდეს იქ, სადაც საჭიროა, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ რაციონალურად ასეთი შემცირება რკინის გზებზე არ ხდება, ამ შემთხვევით სარგებლობენ ზოგიერთი უფროსები და გადადიან პირადი სიმპატია - ანტიპატიაზე. არის მაგალითები, როდესაც შტატგარეშე მოახვედრეს რომელიმე მოსამსახურე, მაგრამ მის მაგიერ სხვა პირები მიიღეს. ბოლოს გამოდის ისე, რომ თუ შემცირდა ათი მოსამსახურე, მათ მაგიერ იქნა მიღებული 15-20 კაცი. არის ასეთი მაგალითიც, რომ უმიზეზოთ და უკანონოთ შემცირებული ან სჩივრებს საქმეს და სანამ მისი საქმე გაირჩევა, გადის 3-4 ან ხან მეტი თვეებიც, ბოლოს შემცირებული საქმეს იგებს, მას აბრუნებენ ძველ სამსახურში და გაცდენილ დროსაც უნაზღაურებენ ერთდროულად.

აი ცუტყუარი ფაქტებიც.

მიმოსვლის დარგში: 1) აზარაპეტიანი იქნა დათხოვნილი 1 ოქტომბერს 26 წ., უკან მიიღეს 1 მარტს 27 წელს და ჯამაგირი აუნაზღაურეს 250 მან., 2) კანაპას — 185 მან., 3) უთხილოვას — 185 მან., 4) სოკოლსკის — 250 მან.

კომერციული სამსახურიდან: 1) კიქნაძეს—210 მან., 2) სერეფიანს—246 მან., 3) ანდრონიკაშვილს — 188 მან., 4) ლაზარევს—100 მან., 5) სტამეკს 100 მან. და 6) ჩიჩავას—500 მან.

მარტო ორმა დარგმა გადაიხადა 2224 მან თუ მივიღებთ მხედველობაში დანარჩენ სხვა დარგებს, ეს ციფრები უნდა გავამრავლოთ ათჯერ და როგორ ტარდება შტატის შემცირება და რა ეკონომია ცხოვრებაში რკინის გზაზე.

ასეთი უგეგმო და უთავბოლო შემცირებით რკინის გზას კი არ შეუმცირდა ხარჯი, პირიქით, ორმაგად დაუჯდა ერთი და იგივე მოსამსახურეები უთავბოლობის გამო.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს საოლქო პროფკავშირმა, რკინის გზის კომიტეტმა და ადგილკომებმა და შტატის შემცირება და გადიდება რაციონალურად გადაჭრან.

მუშკორი ძია-ლევან.

ავაცილეთ უბედურება

ხრამის ხიდთან არის მოწყობილი კარიერი, საიდანაც ეზიდებიან რკინის გზის საჭიროებისათვის ქვიშას და ბალასტს და ყოველდღიურად 18-20 ვაგონს ლიანდაგებს აყრიან. ეს კარიერი ისე ცუდათაა მოწყობილი, რომ ყოველ აქ შესვლაში განსაცდელი მოელის როგორც ორთქლმავალს, აგრეთვე მათზე მომუშავეებს. 14 ივლისს ორთქლმავალი № 2 ჩავარდა და ტენდერის უკანა ღერძები დაუშავდა და მეორე დღეს იქნა ჩამოტანილი თბ. საყუდში შესაკეთებლად; 16 ივნისს გაიგზავნა ორთქლმავალი, № 4394, რომლის გავლის დროსაც შპალები დამტვრა და ორთქლმავალი შეკეთების შემდეგ ძლივს გამოიყვანეს. ამით კი სად. მულაგერში სახალხო მატარებელი დააკვეს 35 წუთ., თუმცა ამის წინეთ კომისია გაიგზავნა ლენინაკანის ხაზზე ბერიძის ხელმძღვანელობით, მაგრამ მათ აზრადაც არ მოსვლიათ ამ კარიერის გასინჯვა.

კარგი იქნებოდა რკინის გზის ადმინისტრაცია ამ კარიერს გააკეთებდეს და მოსალოდნელ უბედურ შემთხვევას აცილებდეს მომავლისათვის.

მუშკორი შავხოშვილი.

—:—

დაგვიფარეთ მტვერიდან

მეოთხე სამილიციო რაიონში მუხრანის და ვანქის ქუჩის კუთხეში არსებობს შეშის საწყობი რომელიც ეკუთვნის ვაჭარ ბაბაიანს. იქვე იყიდება ნახშირი და კირი, რომელთა მტვერიდან ახლო-მახლო მდებარე სახლების მდგმურებს საშუალება არა აქვთ სუფთა ჰაერით ისარგებლონ. მთელი დღის განმავლობაში მდგმურები იძულებულნი არიან ფანჯრებგამოკეტილ ოთახში დარჩნენ.

ხანძრის მხრივ მდგომარეობა ძალიან სახიფათოა, რადგან ასეთ პატარა ადგილზე ხშირად აწყვია 10-15 საჟენიანი შეშა, რომლის სიმაღლე ორსართულიან სახლის ფანჯრებს აღწევს. შეშა და კირი სახლების კედლებთან აწყვია და ხელს უწყობს ოთახების სინესტეს.

ხანძრის დროს ძალიან ძნელია სახლებთან მიახლოვება, რადგან კირის, შეშის და კედლებს შორის გასავალი არ არის და ვანქის ქუჩის სივიწროვეც ხელს უშლის სახლთან მეხანძრეების მიახლოვებას.

საწყობის გარშემო მდებარე სახლებში უმრავლესობა მუშები ცხოვრობენ, რომლებიც იხრჩობიან ნახშირის და კირის მტვერით და ჯანმრთელობა საბოლოოდ უზიანდებათ; იქვეა მახლობლად ფურნე, რომელშიაც მტვერი უხვად შედის და პურს აფუჭებს.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და შეშის საწყობი გადატანილ იქნეს უფრო შესაფერ ადგილზე, და მუშებს საშუალება მიეცეს სუფთა ჰაერით ისარგებლონ.

კ—ში.

საყურადღებო წვრილმანი

— **გათამამდა.** თბილისის რკინის გზის კლინიკის საექიმო ამბულატორიაში მსახურობს რეგისტრატორი ქალი ვინმე ჯორბენაძე, რომელიც უდიერად ეპყრობა ავადმყოფებს, 7 ივლისს მან ერთი ამბავი დაწია ავადმყოფებს.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება.

ი-კარ-ძე.

— **ვინ აღაგმავს თავხედ კახეთელიძეს.** გიგაშვილის შესახვევი № 12 არის პატარა ფლიგელი, რომელიც უჭირავს ორ უმწეო პროლეტარიის წევრ - ქალებს. ეს ფიგელი შეიძინა ვიღაც ამბაკო კახეთელიძემ, რომელიც საშინლად ავიწროვებს ზემოხსენებულ მდგმურებს იმ მოსაზრებით, რომ აიძულოს ისინი ბინა დაცალონ. დილის 6 საათიდან კარებს უბრახუნებს, ყვირის, ილანძღება და ემუქრება იქ მყოფთ. კარგი იქნება მეორე მილიციის უფროსს გვიხსნას კახეთელიძისაგან და დაგვეფაროს მისგან. მეტი მოთმენა აღარ შეგვიძლია.

ა.

—:—

მუშათა ქრონიკა

1000 მან. დახმარებლად. საქ. ფოსტელ მუშათა კავშირის ც. გ. ზემოთ ნაგვების მოსაწყობად გაიღო ერთდროული დახმარების სახით 500 მანეთი და ამავე კავშირის ფიზკულტურის წრეებისათვის — 500 მანეთი.

— **პროფკურსების გახსნა.** სასოფლო - სატყეო და ტყის მუშაკთა კავშირის ც. გ. პრეზიდიუმმა აუცილებელ საჭიროდ სცნო ახლო მომავალში ორთვიანი პროფკურსების გახსნა.

— **პროფმუშაობის გამოკვლევა.** მედსანშრომის კავშირის ც. გ. პრეზიდიუმის მიერ ამხ. ა. დოლუბაძეს დაევალა დუშეთის მაზრაში პროფმუშაობის გამოკვლევა.

— **კავშირიდან გამორიცხვა.** მელითონეთა კავშირის ც. გ. პრეზიდიუმმა კავშირის წევრთა რიგებიდან გამორიცხა მოქალაქე სხირტლაძე.

— **კომისიის გამოყოფა** სახალხო შეერთების კავშ. ც. გ. მიერ გამოყოფილია კომისია ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად.

— **ადგილკომის დაარსება ქუთაისში.** მკერავთა კავშირის ც. გ. დაარსა ქ. ქუთაისში (მკერავთათვის) ახალი ადგილკომი.

თავდაცვის კვირეულისათვის

მსროლელთა რაზმის შეჯიბრში

10, 11 და 12 ივლისს, რუსთაველის პროსპექტზე ყოფ. სამხედრო სობორის ეზოში ეწყობა შეჯიბრი სროლაში. სროლაზე დაუშვებენ ქალაქში მცხოვრებ თავდაცვა-ავიაქიმის წევრების საუკეთესო მსროლელებს. ამასთანავე მოეწყობა ყველასათვის ხელმისაწვდომი ტირი, სადაც შეეძლებათ მოქალაქეებს სროლა წვრილ ყალიბიან თოფებიდან.

სროლა 10 ივლისს დაიწყება დილის 9 საათიდან, ხოლო 11 და 12 ივლისს დღის 4 საათიდან.

ქვე-კომისიის სხდომა

14 ივლისს საღამოს 6 საათზე წ. ა. ფ. ს.-ში (საზამთრო შენობა ავიაქიმრაზმებთან და სანიტარულ რაზმებთან ერთად მოწვეულთა საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ქვე-კომისიის სხდომა.

სხდომაზე ამხ. ლ. აბაშიძე გააკეთებს მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობისა და თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანების შესახებ, ხოლო ამხ. დურიხანოვი თბილისის საჩვენებელ საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ჩატარების გეგმის შესახებ.

რადიო - აპარატის გადაცემა

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს ადგილკომმა საბჭოთა და ვაჭრო მუშაკთა პროფკავშირს გადასცა თავდაცვის ფონდის გაძლიერებლად ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო - აპარატი.

მუშათა კლუბებში

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა მუშათა კლუბების გამგეების თათბირი, რომელმაც დაადგინა თავდაცვის კვირეულის განმავლობაში, 10-დან 17 ივლისამდე, მუშათა კლუბებში გაიმართოს საღამოები, ლექციები და ფასიანი ხეირნობა, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარდეს თავდაცვის ფონდის გაძლიერებას.

მასალები მომხსენებლებისათვის

ა. კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმი თავდაცვის კვირეულისათვის მომხსენებლებს სახელმძღვანელოდ მიუთითებს შემდეგ მასალებზე: 1) თავდაცვა-ავიაქიმის პირველი საკავშირო ყრილობა ა) მასალების კრებული, ბ) მასალები მომხსენებელთათვის მასიურ კრებაზე ავიაქიმის და თავდაცვის საზოგადოებების გაერთიანებისა და თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანების შესახებ. გ) „პრავდა", „კრასნაია ზვეზდა". ნომრები 18-დან 30 იანვრამდე. 2) ამხ. ვოროშილოვის სიტყვა მეოთხე საკავშირო საბჭოების ყრილობაზე („პრავდა"), 3) ამხ. რიკოვის სიტყვა მოსკოვის საბჭოს პლენუმზე („პრავდა" ა. წ. 2 ივნისის), 4) კომინტერნის აღმასკომის პლენუმის რეზოლიუციები: ა) თეზისები ომისა და მისი საშიშროების შესახებ („პრავდა" ა. წ. 4 ვნისის, ბ) კომინტერნის აღმასკომის პლენუმის რეზოლიუცია ჩინეთის საკითხის შესახებ („პრავდა" ა. წ. 31 მაისის). 5) ამხ. რიაჟვი „სოციალისტური აღმშენებლობა" 6) მარეცკი—„მომავალი ომი და საერთაშორისო ბოლშევიზმი" 7) თავდაცვა-ავიაქიმის წევრის სახსოვარი შვებულებაში წასულ მუშას. 8) „ს. ს. რ. კ. თავდაცვის ხელშემწყობი საზოგადოება".

გარდა ამისა მომხსენებლებს შეუძლიათ ისარგებლონ მთელ რიგ სახელმძღვანელო წერილებით, რომლებიც დაბეჭდილია „პრავდა", „კრასნაია ზვეზდა", ჟურნალ „ავიაცია და ქიმია", „ვოენი ვესტნიკ" და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

მასალები მაზრებს

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა მაზრებს დაუგზავნა თავდაცვის კვირეულის შესახებ ლიტერატურა, პლაკატები, მოწოდებები, ლოზუნგები და სხვა საჭირო მასალები.

„კრასნაია ზვეზდა"-ს სპეციალური

თავდაცვის კვირეულისათვის ცენტრალური სამხედრო გაზეთ „კრასნაია ზვეზდა"-ს რედაქციამ გამოუშვა სპეციალური ნომერი.

აბრეშუმის სახვევი ქარხანა ოზურგეთში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ოზურგეთი, 8 ივლისი. ხვალ, 9 ივლისს, ოზურგეთში მოხდება მეორე აბრეშუმის სახვევი ფაბრიკის საძირკველის ჩაყრა. ახალი ფაბრიკა ორჯელ დიდი იქნება ვიდრე პირველი. პირველ ფაბრიკაში დადგმულია 72 გობი. ახალში კი 144 იქნება. სამუშაოთა დასაწყებათ ყველა წინასწარი მუშაობები ჩატარებულია, მომარაგებულია საჭირო სამშენებლო მასალა. პირველ რიგში აგებული იქნება ფაბრიკის ცენტრალური ნაწილი და ერთი კორპუსი, სადაც დადგმული იქნება 72 გობი. ფაბრიკა იქნება დამთავრებული ექვს თვეში. მთელი მუშაობა 640.000 მანეთამდე ჯდება. ახალი ფაბრიკის აგების დასრულების შემდეგ ორივე ფაბრიკაში სამუშაოს იშოვნის — 1.500 გლეხი. საძირკვლის ჩაყრის ზეიმზე მოწვეულია გლეხობა გურიის ყველა კუთხეებიდან. სამუშაოთა მწარმოებლად დანიშნულია ტექნიკოსი სოსო ჩიკოგიძე. ახალი აბრეშუმის სახვევი ფაბრიკის საძირკვლის ჩაყრასთან ერთად, მუშაობა დაიწყება ახალი ელექტრო - სადგურის ასაგებად. სადგურში დადგმული იქნება ოთხი დიზელი, 3 მათგანი 235 ცხ. ძალიანი; რაც სავსებით დააკმაყოფილებს ფაბრიკების მოთხოვნილებას. უკანასკნელი კი 150 ცხ. ძალიანი იქნება და დააკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილებას. დიზელები უკვე ჩამოტანილია.

საქართველოს ცაკში

გზის გასაკეთებლად

სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფ. გუშინ სურებ-ჩოხატაურის სამშენ. გზის გაყვანის საჭიროებაზე მოსახმარად ოზურგეთში გადაუგზავნა სამი (3.000 მ.) ათასი მანეთი.

დახმარება გლეხის სახლს

ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ გლეხის სახლის საჭიროებაზე მოსახმარათ ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს დახმარებით გაუგზავნა სამასი (300) მან.

გაცემული პენსიების რაოდენობა

ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ თავის სამმართველოდან გაძლიერებული პენსიების სახით დამსახურებულ რევოლიუციონერებს და საზოგადო მოღვაწეებს გასულ თვეში (ივნისში) დაურიგა 7.975 მანეთი, ჩვეულებრივი პენსიების სახით კი იმავე თვეში განყოფილებამ დაურიგა შრომის და ომის ინვალიდებს 3.300 მ. ივნისში განყოფ. საინვალიდო სახლების შესანახად თბილისში დახარჯა 2.215 მანეთი. ამ ცნობაში არ შედის განყოფილებიდან გასული თვის განმავლობაში ერთდროული დახმარებების სახით გაცემული თანხები.

ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობა

ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო ამიერ - კავკასიის საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით, ხუთი წლის განმავლობაში მელიორაციაზე დახარჯული იქნება 73.300.000 მანეთი.

ამიერ - კავკასიის სოფლის მეურნეობაში, სატყეო და წყალთა დარგში ხუთი წლის განმავლობაში დახარჯული იქნება 324.586.000 მანეთი; აქედან ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 27.523.000 მანეთი, საბჭოთა კავშირის ბიუჯეტიდან — 61.360.000 მანეთი; ადგილობრივი ბიუჯეტიდან — 1.053.000 მანეთი; გრძელვადიანი კრედიტი — 68.683.000 მანეთი, მოკლევადიანი კრედიტი — 5.500.000 მანეთი, წარმოების და კოოპერაციის თანხები— 13.776.000 მანეთი და მოსახლეობის საშუალებები — 56.691.000 მანეთი.

მრეწველობის დარგში ხუთი წლის განმავლობაში დახარჯულ იქნება 137.904.000 მანეთი. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფარული უნდა იქნეს 105.952.000 მანეთი და მრეწველობის თანხებიდან 31.952.000 მანეთი.

პერსპექტიული გეგმა ელექტროფიკაციის დარგში ხუთი წლის განმავლობაში ითვალისწინებს 100.197.000 მანეთის დახარჯვას.

ტრანსპორტის დარგში დახარჯული იქნება: შოსეინდაგო გზებზე — 65 მილიონი მანეთი. ამიერ - კავკასიის ნავთსადენებზე—21.430.000 მანეთი, შინაური წყლების გზებზე — 4 მილიონი მანეთი, ახალი რკინის გზების გასაყვანად 113.430.000 მანეთი.

აუცილებლად იქნა ცნობილი ხუთი წლის განმავლობაში შავი-ზღვის და ჯულფა - ბაქოს რკინის გზის დამთავრება.

აღმშენებლობის დარგში დახარჯული იქნება: სანიტარულ - საექიმო მშენებლობაზე—29 მილიონი მანეთი, საკურორტო მშენებლობაზე—15 მილიონი მანეთი, კომუნალური აღმშენებლობაზე — 79 მილიონი მანეთი, საბინაო აღმშენებლობაზე — 185 მილიონი მანეთი.

ამასთანავე მიღებული იქნება დადგენილება, რომ მეთამბაქოების დარგში აღებული იქნეს ისეთი გეზი, რომ მეთამბაქოება გახდეს საექსპორტო მეურნეობათ, მეაბრეშუმეობის დარგში კი მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ ხუთი წლის ბოლოს აბრეშუმის მთელი პროდუქცია მოხმარდეს ამიერ - კავკასიის აბრეშუმის მრეწველობის საჭიროებას.

პატარა ფელეტონი

ჩინური ინფორმაცია

კაცი დავბერდი, კეფაზე
ვიგრძენი „რეფორმაცია",
მაინც ვერა გზით გავიგე
ჩინური ინფორმაცია.
დეპეშა მოსდევს დეპეშას,
ამბავი კიდევ ამბავსა:
ვილაცა მახეს ამზადებს,
ვილაცას მახეს აბამსა.
ჩენ-ჩუოუ, ჩენ-ჩის ებრძვისო,
სუნ-ჩუან-ფანიც უტევსო,
ჩუე-ჩი- უ-ჩენის ჯარებს
კია-ხა-ხოშის უწევსო.
ჩუოუ-ჩენ-შენი ხე-ხი-ნანს,
დაეცა გაო-დუნშიო,
ჩენ მთავარსარდლობს, კუ-კანი
თავხედობს ხე-ხა-ხუნშიო.
იან-სუს გუბერნატორი
გადადგა სამხრეთისკენო,
და პროვინცია შენ-შუნიც
მიიწევს კიდევ თვისკენო.
ჩია-ჩა-კა-ჩი, კაო-დო
ჩე-ჩუოუ, ჩი-ჩუ, ხუ-ნანო...

მოდი გაიგე: ვინ მირბის
და ვინ ვის მისდევს უკანო.
მოდი გაიგე, თუ ვარგხარ:
რა არის მაბა-ჩენიო,
(ისეთი გითხრა სიტყვები,
რომ პირი დაგაბჩენიო).
სწერენ: ხუ-ნანში ხანმინი
იმარჯვებს ჩუოუ-ჩენზეო,
მოდი გაიგე: ჩვენია
თუ კბილს ილესავს ჩვენზეო.
სწერენ: აჯანყდენ ერთად
კი-აო-ჩოუს ჯარები,
გაიგე:—პროვინციაა
თუ გენერლების გვარები?!
გინდათ იცოდეთ ჩინეთის
როდის გაიგებთ საკითხებს?
როდის დააღწევს თავს იგი
გენერლებს, წუწკებს და ვირთხებს?
როცა მშრომელთა ლაშქარი
კისერს მოუგრეხს ჩი-ჩენებს
მაშინ ჩინეთიც გარკვევით
თავის ძმურ სახეს გვიჩვენებს!

ხოზიკა.

ქრონიკა

აკადემიკ ფ. ლევინსონ-ლისენგის ჩამოსვლა

მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა სამეცნიერო აკადემიის გეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე და აკადემიის გეოლოგიური მუზეუმის დირექტორი ფ. ლევინსონ-ლესინგი.

აკადემიკი ფ. ლევინსონ-ლესინგი სამეცნიერო აკადემიის ამ.-კავკასიის ექსპედიციის ხელმძღვანელია.

ტკეჩების გაყიდვა საზღვარ-გარედ

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ პარიზის სავაჭრო წარმომადგენლობის საშუალებით საფრანგეთის ფირმა „პასკალ და კოუელ"-ს მიჰყიდა ლენქორანში დამზადებულ 400.000 ცალი მუხის ტკეჩები.

აზერბაიჯანის სატყეო ტრესტს წინადადება მიეცა ტკეჩების აღნიშნული რაოდენობა გადაგზავნოს ბათომში.

სახ. უნივერსიტეტის მუშაკთა ექსკურსია ჩრდილოეთ კავკასიაში

დღეს საქართველოს სამხედრო გზით ჩრდილოეთ-კავკასიაში მიემგზავრება უნივერსიტეტის მეცნიერულ ძალთა ექსკურსია 30 კაცის შემადგენლობით.

ექსკურსია მოწყობილია უნივერსიტეტის ადგილკომის მიერ, მას ხელმძღვანელობს ამხ. ცინცაძე. ექსკურსიის მონაწილენი დაწვრილებით გაეცნობიან ჩრდილოეთ-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლების მდგომარეობას და მათ მუშაობას.

თბილისის აღმასკომში

◆ **ბაზრის მოწყობა.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა ახლო ხანში შეუდგეს ქალაქის ცენტრალური ბაზრის კეთილმოწყობას. ბაზარში ააგებენ ახალ ფარდულებს და გაიყვანენ წყალსადენს.

◆ **ჯანმრთელობის განყოფილების** მიერ გაწეული ხარჯების დასაფარავად აღმასკომმა გადასდო 197.000 მან.

◆ **სულით ავადმყოფთა მკურნალობა.** თბილისის აღმასკომმა დაავალა ჯანმრთ. განყოფილებას შეუდგეს სულით ავადმყოფთა სამკურნალოს მოწყობის შესწავლას.

◆ **დიდუბის კეთილმოწყობა.** აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ დაადგინა შეუდგეს დიდუბის კეთილმოწყობას. ამ მიზნით გადაწყვეტილია მოშანდონ დიდუბეში და გერმანელთა ახალშენში სარწყავი არხი, რომელიც აქაობებს დიდუბის ზოგიერთ ადგილებს.

◆ **სამონტაჟო სახელოსნო.** აღმასკომის დადგენილების თანახმად, დაწყებულია დიდი სამონტაჟო სახელოსნოს მოწყობა ქარხანა „თემქასთან".

◆ **ამბულატორიის შეკეთება.** თბილისის აღმასკომმა დაავალა უძრ. ქონ. სამმართველოს შეუდგეს ცენტრალური ამბულატორიის შენობის შეკეთებას.

შრომის კომისარიატში

◆ **სავაჭროების გაღება-დაკეტვა.** შრომის სახალხო კომისარიატში გამომუშავებულია ახალი წესები სავაჭროებისა და სახელოსნოების გაღება-დაკეტვის შესახებ.

ზოგიერთ სახელოსნოებში (საპარიკმახეროები და სხ.) სამუშაო დრო გაგძელებულია საღამოობით.

◆ **„ქართული მარგანეცის"** მუშებისათვის შრომის კომისარიატმა გამოიმუშავა სპეცტანსაცმელის ფორმები და ნიმუშები.

◆ **სანიტარული ზედამხედველობა.** შრომის კომისარიატმა დაავალა დასავლეთ საქართველოს სანიტ. ინსპექტორს თვალყური ადევნოს ჭიათურის მაღაროებში მუშაობის სპეცტანსამოსის მიწოდებლობის გამორკვევის მიზნით.

◆ **უმუშევართა კოლექტივი.** შრომის კომისარიატმა დაამტკიცა უმუშევარ მკერავთა ახალი კოლექტივი, რომელშიაც შედის 100 უმუშევარი მკერავი.

რესპ. სოცდაზღვევის სამმართველოს და თბილისის დამზღვევ სალაროს გაერთიანება

რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველოში და თბილისის დამზღვევ სალაროში მოხდა რეორგანიზაცია; ეს ორი დაწესებულება გაერთიანებული იქნა ერთ დაწესებულებაში სრულიად საქართველოს სოციალური დაზღვევის კომიტეტის სახით.

გაერთიანებული დაწესებულება მოთავსებულია ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩაზე № 2 (1-ლი სართული, მეორე შესავალი).

თბილისის დამზღვევი კასის ოპერაციები დროებით სწარმოებს ძველ ბინაზე (ვოლოდარსკის ქ. № 3).

ჯანსახკომში

◆ **5 წლიანი გეგმები.** ჯანსახკომმა მოსთხოვა ყველა მაზრების ჯანმრთელობის განყოფილებებს დაამუშაონ და 15 ივლისისათვის კომისარიატში წარმოადგინონ თავიანთი მუშაობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმები.

◆ **ექიმების თათბირი.** თელავში 9 ივლისს მოწვეულია მაზრის ექიმთა თათბირი, რომელსადაც დაესწრება ჯანსახკომის წარმომადგენელი.

◆ **პრაქტიკანტი სტუდენტები.** ჯანსახკომმა მოიწვია 24 პრაქტიკანტი - სტუდენტი საავადმყოფოებთან შვებულებაში წასულ საშუალო მედპერსონალის შესაცვლელად.

◆ **თათბირის მოწვევა.** ახლო ხანში ჯანსახკომში გაიმართება თათბირი საპროტეზო საკითხებზე.

საკურორტო სეზონი

◆ **ფიზკულტურის მოედნები.** კურორტთა სამმართველოს ინიციატივით, ბორჯომში და აბასთუმანში გახსნილია ფიზკულტურის მოედნები, სადაც ვარჯიშობენ ავადმყოფი მოაგარაკეები.

◆ **სიმფონიური ორკესტრები.** ამ ჟამად ბორჯომში უკრავს ქართული სიმფონიური ორკესტრი ი. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. ასეთივე ორკესტრი უკრავს აბასთუმანშიც.

◆ **წყალტუბოში.** წყალტუბოში დასრულდა ახალი საბაზანო შენობის აგება.

◆ **ბორჯომის წყალი.** მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში 100 პროცენტით მოიმატა ბორჯომის წყალის გაზიდვამ.

სხვადასხვა

◆ **სინათლე ბოძებზე.** კერძო ბოძებზე ზაპასის სინათლის გაყვანა უკვე დასრულებულია ქალაქის ცენტრალურ რაიონებში.

◆ **მისალმება ოზურგეთის აღმასკომს.** ს. მ. უ. საბჭომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ოზურგეთის სამაზრო აღმასკომს აბრეშუმის სახვევი ქარხნის საფუძვლის ჩაყრის გამო.

◆ **ტუბ. დისპანსერი.** დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილება იტყობინება, რომ 13 ივლისიდან დროებით დაიხურება დაზღვეულთა ტუბდისპანსერი. დისპანსერი ხელახლა გაიხსნება 28 აგვისტოს.

შემთხვევები

ვისია ოქროს საათი?

სისხლის სამართლის მილიცია იტყობინება, რომ დაპატიმრებულ პეტრე დიმიტრაძე-სპარულოვს აღმოაჩნდა ნაქურდალი ოქროს საათი, რომლის პატრონის ვინაობაც გამოურკვეველია.

საათის პატრონს სთხოვენ შეიაროს სის. სამ. მილიციაში ოთახი № 8.

◆ **ჯიბგირის დაპატიმრება.** გუშინ ჯიბგირებმა გაქურდეს ბოდბისხევიდან ჩამოსული გლეხი სანდრო შაუტაშვილი. გლეხმა დაიჭირა ჯიბგირი სწორედ იმ დროს, როდესაც მან ჯიბიდან ამოაცალა 100 მანეთი.

ჯიბგირი მიკირტიჩ ბარსეგოვი დაპატიმრებულია.

ავაშენოთ თვითმფრინავი



ამხ. მიხა თურქიას გამოწვევით შემომაქვს აეროპლან „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი.

გამია ორახელაშვილი.

—:—

ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე ქ. მ. დივიზიის საარტილერიო ლეგიონის უფ.-პოლიტ. და წითელ არმიელთა შემადგენლობას შემოაქვს ორას ორმოცდაექვსი (246) მან. 40 კაპ. თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაგებათ და იწვევს 1-ლ ქ. მ. დივიზიის საარტილერიო ლეგიონის შემადგენლობას დაკლოფის ქარხანა „ინტერნაციონალი"-ს მუშა - მოსამსახურეებს.

ლეგიონის სამხკორი **ბერიძე.**

—:—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ამხ. ცირა გოგნიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ცირეკიძე რაულ, შ. ცოტაძე, გ. ჯიმშელეიშვილი, მ. ქუთათელაძე, შ. ჰიჰინაძე, შ. ლეჟავა, კ. მაიოროვი, შ. ნაკაიძე, გვირია შალვა.

ა. სნიგროვსკი.

—:—

ამხ. დიმიტრი ლოლობერიძის გამოძახილით შემომაქვს თვითმფრინავთა ფონდის გასაძლიერებლად 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს რაჭის მაზრიდან:

მესხი ვლადიმერ, სიმონ ჰელიძე, ჰელიძე გრიშა, ჯაფარიძე გრიშა, კანდიდ გობეჯიშვილს, ვასილ კობერიძეს, ამბროსი გამყრელიძეს, ბაგრატ კეროსელიძეს, ილია ყურაშვილს, ალექსანდრე ქელიძეს, გოცირიძე სიმონ, ილიკო კბილაძეს, პროკოფი თავდუმაძეს, პროკოფი ვაჩნაძეს, გაბო აბუაიძეს, სიმონ ბაქრაძეს (ექიმი), ირაკლი კობახიძეს, არტემ კეროსელიძეს, ლონგინოზ ქასხარაშვილი, ნინო გურგენიძე (ლენ. მაზრ.), პარმენ დვალი, ნიკოლოზ ჩალაძე, იუსტინე იაგორაშვილს.

იასონ მახალდიანი.

—:—

თანახმად ბიკტორ ტალიკაძის გამოწვევისა შემომაქვს ჩემი წვლილი სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

იონა ავალიანი, გრიგოლ რაფაელოვი, სტეფანე ტერ - ასატუროვი, მიხეილ მოშიაშვილი, სამუელ ხანამიროვი, გრიგოლ ოგანეზოვი, ვართან დიდოსიანცი, ლადო აწყარუნაწვილი, სამუელ ხოშელიძე, ვალოდია ჩიგოგიძე, კონსტანტინე თოფურიძე, გიორგი ჯანელიძე, გიორგი პიტავა, ევტიხი ჯანელიძე, ივანე ჯანელიძე, ნიკოლოზ ტელიჩკო, ნიკიტა ქუნთელია, სიმონ გიგინეიშვილი, თამარა ჩიგოგიძე, თამარა გრიგოლია, სალომეა ჩიგოგიძე.

ლავრენტ მაქსიმეს ძე რუხაძე.

—:—

თანახმად ბიქტორ ავთანდილის ძე ტალიკაძის გამოწვევისა შემომაქვს ჩემი წვლილი სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

სურამიძე პ., ბერელაშვილი (შინავაჭრობის კომისარიატის რწმუნებული) ზაქრიძე დ. ს. კასპიდის ზ. დ., კონგალიდის ა. პ., გვახარია ნ. მიქაძე ალექსანდრე, მირაკოვი სერ., ჯგიტი ჩიჩავა ამროსი ნემსაძე, მიხა ძიძიგური.

ედუარდ ვლადიმერის ძე დუხტანი.

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად 2 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ი. ბრეგვაძეს, (ბათუმი), თედო კორსაველს, სერგო ცხოვრებაშვილს, გიორგი კალმახელიძეს, ლ. რუხაძეს, მასწავლ. ნ. მგელაძეს, მასწ. სანდრო დუვიძეს, მასწავლ. ს. ლორთქიფანიძეს, ლ. ლალიაშვილს, ლ. აზრუმელაშვილს, მაზნიაშვილს, მასწ. გაბო ნათიაშვილს, ათ. ჩხეტიანს და მიხო კუხალეიშვილს.

შ. მიქელოვი.

—:—

ამხ. რაისა სტურუას გამოწვევით შემომაქვს აეროპლანის ასაგებ ფონდში ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხ.: სოფიო ლოლობერიძეს, სანდრო ქავჟარიას, კლავდია პეტრეს ასულ ლალიაშვილს, შუშანიკ ქართველიშვილს.

ნ. მიქელაძისა.

ამხ. გერშონ მეგრელიშვილის გამოწვევის თანახმად შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ექვთიმე კოკიელოვს, ლიზა ანდრიაძეს, ალეპი მესხს, ვერა ქაცარავას, ექ. მიხეილ თავდიდიშვილს, იაშა ნიკოლაძეს, სოლომონ იაშვილს, დავიდ აჯეიაშვილს, იეხისკიელ ჯინჯიხაშვილს, შალომ კობოშვილს, თამარა მოძღვრიშვილს, დავიდ იოსებაშვილს, მეირ წითლიშვილს, ილია ადამიძეს, სერგო თაბაგარს, გიორგი სადალოშვილს, ლიუბა გოცირიძეს, გიორგი გორდეზიანს, კაპიტონ ბაქრაძეს, ბესარიონ ულენტს, ევდოკიმე ენუქიძეს კალე ცქიტიშვილს, გრიშა შავიშვილს, სიმონ ხუნდაძეს, ნინო მგელაძეს, სერგო ამაღლობელს, კონსტანტინე კაპანელს, გ. მუშიშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს, შალვა დიდიანს, ობოლ მუშას, ია ეკალაძეს, გრიშა ჯაფარიძეს, სეზმან ერთაწმინდელს, იონა ვაკელს, ხარიტონ ვარდოშვილს, პეტრე სამსონიძეს, კირილე კალაძეს, ლავრენტი ძიძიგურს, ილიკო ქარცივაძეს, ერთერ ნამთალოვს, იოსებ მოშიაშვილს, სოლომონ ციციაშვილს, აბრამ ელიგულაშვილს, გაბრიელ კაკიტელაშვილს, არონ მინოვიჩს, შალიკო ბინიაშვილს, მიშა ხეჟიაშვილს ელიკო მამაცაშვილს, ქეთო ჩილაშვილს, ილია სვანიძეს, მარგო შენგელიას, მიშა კერესელიძეს, საშა ცინცაძეს, კოლია გიგინეიშვილს, გრიშა კვაჟაძეს, გრიშა ჟუჟუნაძეს, ჯანსუღ ფურცელაძეს, ვარლამ რობაქიძეს, იასონ ფარულავას, ელიზბარ ჩხიკვაძეს, სიმონ კაპანაძეს, ალექსი გიორგაძეს, სანდრო ცინცაძეს, კოტე ერქომაიშვილს, მიშა ჭანიშვილს, ვასილ ჩანტლაძეს, ლევან კობიაშვილს, ნიკუშა გამრეკელს და გრიშა გოგობერიძეს, აკაკი მენაბდეს, გრიშა სარჯველაძეს.

ზერცელ გააზოვი.

—:—

ამხ. ი. მესხის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

იაკობ ვარძელს, ალექსანდრე კაჭარავას, მამია თოლორდავას, რომან შომახიას, ანდრო გასიევს ლადო გაგნიძეს, ელისაბედ მონასელიძეს, თედორე დოლიძეს, გიორგი საყვარელიძეს, კირილე ბესელიას, ირაკლი კუპრაშვილს, ლადო კიკაბიძეს, ლავრენტი ჯანჯღავას, სერგო მესარქიშვილს, მაკარ ბედიას, მიხეილ კაკულიას, პავლე ბაურკაძეს. სოსო ხარაბაძეს, რაჟდენ ჯღამაძეს, ალექსანდრე საჯაიას, ბეჟიკო რაფავას, აკაკი კაჭარავას. ნადია გაბარიას, ბეგი ბერიას. იასონ მუჯირის.

ხინა სოხელია.

დღეს შემოვიდა 274 მან. 40 კ.
სულ დღევანდლამდე შემოვიდა 2.018 მან. და 88 კაპ.
შემოწირულება მიიღება „კომუნისტის" კანტორაში — რუსთაველის პროსპ. 34, დილის 9 საათიდან შუადღის 4 საათამდე

სამეცნიერო ექსპედიცია ზემო-აჭარაში

გუშინ ზემო აჭარისაკენ გაემგზავრა სამკურნალ - სამეცნიერო ექსპედიცია ჩიყვისა, ჩიყვიანობის და ქირურგიული ტუბერკულოზის შესასწავლად.

ექსპედიციის შემადგენლობა: მკურნალნი ი. ასლანიშვილი (ექსპედიციის უფროსი), დ. ბერეჟიანი (დოსტაქარი), გ. გოგოლაძე (სისხლის მკვლევარი), ა. რუხაძე (ნევროპათოლოგი); სტუდენტები მეექვსე კურსელნი: გ. ინასარიძე და თ. მდივანი: სამჭეო ნაწილის გამგე ვ. თულაშვილი და ერთი მეეზოური აჭარელი.

საერთო დირექტივები ექსპედიციას ეძლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკის გამგე პროფესორ ალექსანდრე მაჭავარიანისაგან.

ექსპედიციის სვლაგეზი: ბათომი, აჭარისწყალი, ქედა, ხულო, ღორჯომი, ბადიშის გადასავალი, ბახმარო, მდ. სუფსას ხეობა (სოფლებით: ზემოთავსურები, შუა სურები, დიდი ვანი), ჩოხატაური, საჯავახო.

წამლეული მასალა ექსპედიციას ეძლევა აჭარისტანის ჯანსახკომისარიატისაგან, საქართველოს ჯანსახკომისარიატის სანეპიდგანყოფილებისაგან და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისაგან.

ექსპედიციას აწყობს აჭარისტანის ჯანსახკომისარიატი, რომელმაც ამ საქმისათვის გადასდო 1.500 მანეთი, მხოლოდ ექსპედიციის გასაძლიერებლად საქართველოს მკურნალთა მეხუთე სამეცნიერო კონგრესის მომწვევ საორგანიზაციო ბიუროს თხოვნით, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო 1000 მანეთი.

გავლით სოფლისკენ

— ჩვენ სოფელს მაინც ატყვია ცხრაას ხუთის კვალი, ტყუილა არ ჩაუვლია მამაჩემის სიკვდილს.

— გახსოვს მამაშენი?

— არა, სადან მემახსოვრება, მე მაშინ ერთი თვის ვყოფილვარ, დედაჩემს ბევრი უბედურება გამოუვლია მისი სიკვდილის შემდეგ. ჩვენ აქ ერთი წვერძალლი ხუცესი გვყავდა — ის იყო საშინლად გადაკიდებული ჩვენზე; სადაც კი გაფაჩუნდებოდა რამე, მაშინათვე ჩვენ უნდა დაგვსხმოდენ თავზე. კვირე ერთი იყო და ის სულ აყროლებული სამჯერ მაინც ჩაითოხარიკებდა ჭიათურაში თავის ჯგორით.

— სად არის ეხლა ის ხუცესი?

— სად არის და საიქიოს, მიუსვლელ ადგილას! ჩაძაღლეს!

— როდის?

კაი ხანია მას უკან, მგონია იმ წელიწადს იყო დიდი ომი რომ დაიწყეს. ჩვენ სოფელში რამდენიმე გადავარდნილი რაზმელები იყვნენ; ცხრაას ხუთიდან ინახავდენ თავს, ესენი დახვდენ გზაში და გამოუყვანეს წირვა. ზედ იმ ალაგზე აუგეს წესი, სადაც მამაჩემი მოჰკლეს კაზაკებმა. ღამე იყო, მოდიოდა თურმე, ჭიათურიდან. ალბათ, საკაიკაცოთ არ წავიდოდა. ზედ ქაღალდიც ქე დაადვეს გულზე: — ჩვენი მოკლულია სხვას არავის დაამბრალოთო.

გავიარე იმ ალაგებზე, სადაც ბევრჯერ გამივლია უწინ.

— ეს ჩვენი კუთხეა!

— ვისი?

— „კომსომოლების", აქვე ვართ ბარე 15 ბიჭი.

— შენც ხარ კომკავშირელი?

— აბა, სად ვიქნები, მამა - ჩემის შვილი რომ მაგისთანებს გამოვაკლდე, მერე ვისლა უნდა შევხედო პირში?

— კლუბი გქონიათ, პატარა კია, მგონი.

— არა, კლუბი ვინ მოგვცა; სკოლის შენობა იყო, ეხლა სკოლისათვის ახალი სახლი ააშენა სოფელმა, ამ სახლში კი მასწავლებელი ცხოვრობს და ეს ერთი ოთახი იმან დაგვითმო.

— ემადლიერებით მაგ თქვენ მასწავლებელს?

— როდია დასამდურებელი კაცი. უპარტიო კაცის პირობაზე, უკეთესი იშვიათია. ხშირად გვესწრება ხოლმე, გვიკითხავს წიგნებს, ჩვენც, როცა რამეს ვერ გავიგებთ, შევეკითხებით— გვიხსნის, აი დღეს საღამოსაც შეპირებულია, უნდა მოვიდეს პროლეტარული პოეზიის შესახებ წაგვიკითხავს, აგვიხსნის.

— სხვა რა გაქვთ კიდევ სოფელში?

— რა გვაქვს კიდევ, ომ, ის გვაქვს სამკითხველო!

— ქოხ -სამკითხველო გაუსწორე მე.

აგრე ქე უძახიან, მაგრამ ქოხი კი არა მშვენიერი ოდაა, ისეთი კარგი ნეტავი სხვა რამე გვქონდეს. ჩვენი სოფლის თავადიშვილი ბრძანდებოდა შიგ და, ცოტა არ იყოს „უზრდელათ" მოვიქეცით.

— როგორ?

— რავა და საჯალაბო სახლი რომ ჰქონდა იქ გადაუნაცვლეთ ბინა, იმ ოდაში კი ისეთი სამკითხველო მოვაწყვეთ, რომ შენი მოწონებული.

— დაიარება ხალხი სამკითხველოში?

— კი. ერთხანს მარტო ახალგაზრდების მეტი არავინ ეკარებოდა, მაგრამ ეხლა დიდებმაც გატეხეს ჩხირი; აღარც ისინი ერიდებიან.

— კითხვა რომ არ იცის, ისეთები თუ გყავთ?

არიან, რავა არა, მაგრამ იმათთვის ცალკე ოთახი გვაქვს, იქ ერთი ჩვენი კომსომოლისტი გვყავს დაყენებული, ის უკითხავს ხოლმე.

გზას მოვუყვებით და ამ ლაპარაკში კიდევაც მივადექით ამ „ქოხ - სამკითხველოს".

მართლაც კარგი „ქოხი" ყოფილა: წაბლის ხის ფიცარი ასე საგულდაგულოთ არის ჩაჭედილი ერთმანეთში, რომ თოფის ტყვია ვერ შეახანს შიგ. შენობა ერთი სართულიანია, მაგრამ ძირს ქვითკირის სარდაფი აქვს გამოშენებული, წინ გრძელი აივანი. სახლი კრამიტით არის დახურული, ეზოში ორი ძირი კაკალი დგას ისეთი ფრთებ გაშლილი, რომ მგონია ასი კაცის სუფრა რომ გაშალო, დაეტევამათ ჩრდილში.

აქეთაც გამივლია ხოლმე, მაგრამ ყოველთვის მორიდებითა და სიფრთხილით, მისი პატრონი მართლაც რომ „კარგი" თავადიშვილი იყო.

„კარგი", ესე - იგი შეძლებული, დიდი მამულის პატრონი. მისას ისე სუფრა არ გაიშლებოდა, რომ ერთი ჩაფობით ღვინო მაინც არ დაელეულიყო და ერთი დეკეული მაინც არ დაეკლათ. მაზრის უფროსი, ბოქაული ყოველთვის მისი სტუმარი იყვნენ.

1905 წლის შემოდგომაზე მოძრაობა ისე მომძლავრდა, რომ ჩვენ სრულებით ალარავის ვერიდებოდით.

აშკარათ, დღე — შუაგულ ვმართავდით ხოლმე კრებებს. მაზრის პოლიციის მოხელეები თავ - ჩაქინდრული, იმედ დაკარგული, ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებოდენ ხოლმე, ისიც იმისათვის, რომ „ხატზე შემოეფიცათ" რომ ისინი მუდამ ხალხის და „ახალთაობის" მომხრე იყვნენ.

საცოდავი სანახავი იყვნენ მაშინ ეს უპატრონოთ დარჩენილი თავადები და აზნაურები.

ეს იმ დროს იყო...

სადღაც, მახლობელ სოფლიდან მოვდიოდი, ზალიკა მაშინ სხვა ამხანაგებთან იყო, მე მარტო მოვაბიჯებდი. გზა კარგად ვიცოდი, ერთხელ და ორჯერ არ გამივლია ამ გზაზე.

— ყმაწვილო, ერთი პატარა ხანს მომითმინეთ!

მივიხედე, სრულებით არ მოველოდი ამ ეზოს გარემოდან ნაცნობი ვინმეს გამოხმაურებას.

„რიკულებიანი" ალაყაფის კარების წინ დაბალ ჯდომელ სკამიდან წამოდგა ის... ის თვითონ ძველი თავადი, აქაური გლეხების რისხვა, და შეჩვენება.

გავჩერდი, ჭიშკარი იქვე გზის პირას იყო.

მივესალმე, წამოდგა.

— დამდევით ერთი იმდენი პატივი, დაჰკარგუნეთ მოხუცი ადამიანისათვის რამოდენიმე წუთი.

თავადი ისეთი იყო, რასაც ჩვენში „ჭარმაგ" მოხუცს ეტყვიან.

ძელი ჭაღარა, თითქმის მთლად გათეთრებული წვერი, შეკრული წარბები თითქოს ხანავრმად ფარავდენ თვალის უბეს, ფართე გაშლილი სახე — ეს მოხუცი სასიამოვნო შესახედავი იქნებოდა, რომ ეს გრძელი მოკაუჭებული ცხვირი არ აუშნოებდეს მის სახეს. გრძლათ მოქნილ, წვეტიანი ღარებით — ეს ცხვირი რაღაც განსაკუთრებულ იერს აძლევდა მის სახეს.

— აი ასეთები იყვნენ. ალბათ, ისინი, ვინც კევრში აბამდენ გლეხებს. სიმტკიცე, სიმკაცრე, გულცივი და შეუბრალებელი.

— რა გნებავთ, მიბრძანეთ! გამახსენდა რომ ჩოხა და ახალუხის შუა რევოლვერი მაქვს ჩამოკიდებული, უნებლიეთ ხელი იქითკენ წავიღე, მაგრამ თვითონ გამეცინა — რისი მაქნისია იარაღი, ან რა საჭიროა!

— მობრძანდით აქეთ, ჩამოჯექით ჯერ მაინც ადრეა.

— დასაჯდომათ როდი მცალია, მეჩქარება.

— არა, მე არც ისე დიდი დროს წაგართმევთ.

ხმა არა აქვს სასიამოვნო, თითქოს ყელზე ნახველი ადგია და ლაპარაკს უშლის. შილიფაა, უბრალო სადა წელ - ღია ჩოხა ახალუხზე გადაცმული.

— მინდოდა თქვენთვის მეკითხა ამ ახალი თაობის შესახებ.

— მიბრძანეთ.

— თქვენ თვითონ მიბრძანეთ და გამაგებიეთ, ვერ გამიგია ამ დღევანდელი წუთისოფლის ამბავი.

— მაინც რა?

— აი ის, რომ ამ ახალ თაობას ვერ აქვს კარგი გზა.გაგონილი, თქვენი ჭირიმე, მე ამ მოხუცებულ ადამიანს ამ სიბერის დროს აღარც მოსამსახურე დამიყენეს, აღარც ყანა დამიმუშავეს. გზაში რომ შემხვდება ჩემი ნაყმევი გლეხები სალამს აღარ კადრულობენ. შეიძლება ასეთი საქციელი, ასეთი მოქცევა?!

იმ დროს მართლაც ასე იცოდნენ, ვისაც ბოიკოტს გამოუცხადებდენ — მისთვის აღარც სალამს იმეტებდენ, არც სამუშაოდ ეკარებოდენ და მოსამსახურის დაყენების უფლებასაც აღარ აძლევდენ.

ასეთი იყო იმ დროის წესი.

მაგრამ მას ბოიკოტი გამოცხადებული არ ჰქონია.

მინდოდა მეკითხა, მაგრამ თვითონ დამასწრო.

— არა, ის არ იფიქრო, ვითომ ჩემი მეზობლები მე რამეს მემდუროდენ. ახლა მოექცათ მხარი რაღაც, ისიც სხვების ჩაგონებით, თორემ გლეხებს მე თვალში რომ ჩავარდნოდი, ხელს არ მოისვამდენ...

— თქვენ ვინმეს განუცხადეთ მაგ თქვენი ამბავი?

— ვის განუცხადო წესის და სამართლის გამჩენი ეხლა, ვინ არის!

— აი თქვენი კუთხის ასის - თავს, მაგალითად.

— არა, ბატონო, არ მითქვამს და არც ვეტყვი, რომ უთხრა რა გამოვა? ჩვენი კუთხის გლეხების ამბავი რავა არ ვიცი, რა სამართალი და რა კანონი უნდა დამიწეროს მე ჩემმა ნაყმევმა?

— ბატონ - ყმობა აღარ გახლავს, ყმა და ბატონი ეხლა თანასწორებია!

— არაა, ბატონო, თანასწორი და ვერც იქნება!

— არის და იქნება კიდევაც.

— დამიჯერე, შვილო. ჩემ ჭაღარას დაუჯერე, ტყუილა - უბრალოთ იფუჭებთ თავს და გვარიშვილობას.. მე კითხვა და ჩაძიება არ მინდა, რომ შევხედავ კაციშვილს მაშინათვე შევატყობ კეთილი - შობილის შვილია, თუ გლეხის. ეხლა მე რომ გელაპარაკები ჩემ გასაჭირს, მე მაგას მათქმევინებდი, რომ არ გატყობდე?

— რას მატყობთ?

— იმას, რომ შენ უბრალო კაცის შვილი არა ხარ!

—ჰო, მართალია, მამაჩემის გვარი აზნაურობის სიაში სწერია, მერე რა?

— რა, შვილო, და ის, რომ სისხლი სისხლს არ დაკარგავს, სისხლი სისხლს იცნობს.

— კეთილი, მაგრამ ჩვენ ამ საქმეზე დავა თუ დავიწყეთ დიდ ხანს ვერ გავათავებთ, მე კი მეჩქარება.

— კეთილშობილმა კაციშვილმა ზრდილობა არ უნდა დაკარგო...

— უკაცრავად გახლავართ, მაგრამ... გამაგებინეთ რა გნებავთ.

ძნელია ამ მოხუცთან ლაპარაკი, ის, თითქოს სადღაც ყოფილა ისეთ ადგილას დამალული, რომ მთელი ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში მას დროთა ბრუნვის სიო არ მიჰკარებია.

— რა უნდა მინდოდეს, შე, კაი კაცო, შენი კარგად ყოფნა. ის მინდა, რომ ამ გლეხკაცობას ნუ დაგვაჯდენთ თავზე.

— გმადლობთ. მე მაგის შეპირებას ვერ მოგცემთ.

კვარა, სჯობს მოვშორდე, გული არ ცკი მოგივა მის ლაპარაკზე, ის ყრუა — მას ამ დროის არაფერი ესმის ის ბრმაა, ის ვერაფერს ხედავს, ვერას ამჩნევს. მაგრამ მინდა ეს მოხუცი დავინახო განრისხებული. მინდა ვიცოდე, თუ რა იყო ბატონი — უწინდელ ბატონყმობის დროინდელი ბატონი ყმისათვის.

— თქვენ, ბატონო და თავადო, ბრმა ხართ, გესმით ბრმა, თქვენ ვერაფერს ამჩნევთ და ვერც შეამჩნევთ — ამაშია თქვენი უბედურება, —რომ ადამიანი ყველა თანასწორია, რომ თვით ის ბუნებით, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი არაა ის კანონის მიხედვით. კანონი ადამიანის დაწერილია. დღემდე თქვენ და თქვენიანები სწერდენ კანონებს, მაგრამ ჩქარა კანონს ის გლეხები დაგიწერენ — თქვენი ნაყმევი გლეხები. ღმერთს ევედრეთ, რომ თქვენ ამ დროს არ მოესწროთ, თორემ სასტიკი იქნება ეს კანონი თქვენთვის...

სიტყვამ გადამიყოლია, შევხედე...

მე სავსებით მიმიღწევია მიზნისათვის.

წარბები ზევით აწეული; მოსჩანს ჭროლა თვალები. შუბლზე ნაოჭი შეჰკვრია, თვალის კაკლები ერთ წერტილზე გაყინულა, ცხვირის წვეტიანი ხაზები გაშლილა, ჩემ წინ მოხუცი კი არ სდგას, მას ეს 50 წელი თითქოს ჩამოშორებია — საშინელია ეს სახე. ასეთი იყო, ალბათ, ის განრისხებული... ეს უფრო ქორს გავს. იმ ქორს ფრთა გაშლილი რომ დასცქერის დედამიწას და უცბად შეკრული კუშტათ დაეშვება ხოლმე ძირს..,

— ქორია, ქორი, მას ცოცხალი სისხლი სწყურია, მაგრამ ამ ქორს რომ ფრთები ჩამოყრილი აქვს და ძირს წიწილებიც აღარსად სჩანს, „წიწილები" წამოიზარდენ და არწივის ფრთებს ისხამენ. ეს ქორი უფრო ჭოტს ჰგავს.

საბრალოა უფრო, ვიდრე საზიზღარი.

ერთხელ კიდევ შევხედე, დავუკვირდი და გულიანათ გავიცინე.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ...

— ვერ დაგირჩათ მგონი დიდი მადლიერი.

ივანე მელაპარაკება. ივანე ამ სოფლის ასისთავია. არ ვიცი, საიდან მოჰკრა ყური ამ ჩვენ საიფს.

— რა ვუყოთ, მაგ წარსულისაკენ იყურება, ჩვენ მომავლისაკენ ვეწევით ამ ცხოვრებას.

— შეჭამოს მაგის ხორცი ძაღლებმა, კარგი მაგას არაფერი ჰქონდეს დათესილი.

ეს უწინ იყო...

ეხლა მე ზალიკო —პროლეტარის ვაჟს მივყვები. მომაგონდა მაშინდელი სურათი.

— ცოცხალია ძველი თავადი?

— არა, აგერ ამას წინად მოკვდა, მაგრამ რაღას გავდა იმისი სიცოცხლე, ჭკუაზე შერყეული იყო. ბოლო დროს მაინც სულ უცნაურს რაღაცას ლაპარაკობდა.

— ხომ არ გაგიგონია, რა ჰქნა, როდესაც რეაქცია დადგა 1905 წლის შემდეგ.

— იზამდა რამეს, მაგრამ, ალბათ, მაშინაც აღარ იყო სრულ ჭკუაზე. აქ უყვარდა ხოლმე ჭიშკარის წინ დაჯდომა და თავისთვის პუტუნობდა.

— დარჩა ვინმე?

— როგორ არა, მაგის ჩამომავლობაში ხალხს რა გადააწყობს? შვილები ბევრი ჰყავდა, ერთი სადღაც მგონი თქვენთან არის.

— სად ჩვენთან?

— თქვენთან, თბილისში... რაღაცას შავი ქვის საქმეზე მსახურობს. მეორე აქ ცხოვრობდა, ოცდა ოთხში რომ ამბები მოგვიწყვეს, ის იყო პირველი კაცი: ჯარასავით დატრიალდა, მანამდე ქე იყო სადღაც გაჩუმებული. გავიხედეთ და ჭიათურაში რომ ამბავი შეიქნა, გადაუკიდია მაუზერის თოფი, აუყოლებია ახლო კუთხის რაც ავარა ხალხი იყო და დაიწყო კომუნისტების ოჯახებში თარეში — ერთი კომსომოლი ბიჭი გვყავდა, ჩემი კბილა იყო, გზაში შეეფეთებოდა—მოჰკლა.

ბიჭი გვყავდა, ჩემი კბილა იყო, გზაში შეეფეთე-

— მერე თქვენ — თქვენ რა უქენით?

— რას ვუზამდით? იტრიალა ორ დღეს, მერე გაქრა, ვერ მოვიკიდეთ ხელი. ერთი გზობა გვითხრეს ქალაქშიაო, მაშინათვე ვაფრინეთ კაცი, მაგრამ ვერ მივაკვლიეთ. ეხლა ალბათ იქ იქნება.

— სად?

— სადა, სადაც ყველა არიან თავმოყრილი.

— სად არიან, შენ როგორ გგონია?

— პარიზში!

ცოცხალი ბიჭი დარჩენია ზალიკას, ვაჰ, ერთი ჩვენში „პროლეტარიც" ეხლა აქ მყავდეს.

— ჩემი შვილი ნამდვილი პროლეტარი იქნება, მე ჯერ კიდევ ეს კერძო საკუთრების ქარები მიდგია გვერდებშიო, იტყოდა ხოლმე ის.

— თქვენ თუ გაქვთ რამე.

— სახლს მკითხავთ?

— ჰო, სახლი, კარი, ის მამიშენის ქოხი, ალბათ, დასწვეს მაშინ ხომ?

— რასაკვირველია, ის მაშინათვე დასწვეს. დედაჩემმა საწყალმა ბავშვები ვინ სად გადახიზნა და ვინ სად. ოღონდ ჩემი შელევა ვერ მოახერხა —ძუძუს ვწოვდი მაშინ. ჩემი ძმები და დები თითქმის ყველა დაიხოცა სხვის კარზე ერთი უფროსი ძმა მყავს — ქალაქში მუშაობს ტრამვაიზე. არაფერი არ გვქონია აგერ აქამდე, ეს ერთი წელიწადია ჩვენი ბიჭები მომეხმარენ, ხის მასალა უფასოთ მომცეს სახელმწიფო ტყიდან, დანარჩენი მე ძმამ ცოტა ფული წამომაშველა და როგორც იქნა მოვაფოჩხე. ჯერ აგერ შევიდეთ, სამკითხველო ვნახოთ და მერე გაჩვენებთ, დედაჩემი ცოცხალია, რავარი გეხარდება თქვენი ნახვა!

„ქოხ" - სამკითხველოში ხალხი მართლა ბლომად დაგვიხვდა.

გრძელი ფართე დარბაზი, შიგა და შიგ რამოდენიმე ალაგას პატარა ოჩაფეხა სტოლები დგას. არის გაზეთები, გაზეთები ბლომათაა მაგრამ სტოლებთან დასაჯდომი არ უდგათ. შემოსულა ხალხი უბნე - უბნე სდგას და თვითეული ჯგუფი თავ - თავისათ კითხულობს.

კედელზე გრძლათ გაყოლებით გავლებულია ქაღალდის ლენტი: „ჩვენი ბელადები და ხელმძღვანელები". ლენტის გასწვრივ უფრო დაბლა ჩამოკიდებულია რამოდენიმე სურათი, ჩარჩოში მხოლოდ ერთი სურათია ჩასმული.

ბედი აქვს ჩვენ დათიკო კანდელაკს, ჩარჩო მხოლოდ იმას რგებია, დანარჩენები ისე პირდაპირაა „მიჭედილი" კედელზე. დათიკოც მორცხვად გამოიყურება ჩარჩოდან თითქოს ბოდიშს იხდის — უკაცრავად ჯერ აგრე ბრძანდებოდეთ, შემდეგ ვნახოთ რა იქნებაო.

ლიბკნეხტი და ლიუქსემბურგი განცალკევებულათ არის — მოშორებით, ორთავე სურათი ირიბულათაა დაახლოვებული ერთმანეთთან. ქვევით წარწერა: „პროლეტარიატისათვის თავდადებულნი".

— ლი-ლიბ-კნეხ-ტი, ამოითვალა ერთმა შუახნის გლეხმა, ყალიონი გამოიღო პირიდან იქვე გააპურჭყა".

— შეხედე, ალბათ ფრანცუზია, ვიღაცაა, იქაც ყოფილა „ახალი თაობის ხალხი".

— ახალთაობის ხალხი ახლა ყველგანაა, ისე კი აღარაა ცხრაას ხუთში რომ იყო, თორემ აქნამდი ასჯერ გაგვგუდავდენ, აღარ გახსოვს, მაშინ რა დღე დაგვადგა?

— ვითომ ფრანცუზია, იქნება ჩვენებურია? ეს მეორე ვინღაა? ჰო, ჰო, ქალია, ეს ქე ვიცი, მარა გვარი ამოიკითხე.

— მე რომ გამართული კითხვა ვიცი, კოწია შენ გაზრდას (ზალიკას ბიჭს თურმე კოწია რქმევია, ხელად გავიგონე პირველად) ვინ არის ქალი?

— მაგ ქალი კომუნისტკაა, მოკლეს.

— კი მაგრამ გვარი, რა გვარია.

— გვარი ლიუქსემბურგი, გერმანელია—ისიცა და ისიც.

— ჰო, არ გამიკვირდა, ფრანცუზიაო, რომ ამბობდი, ფრანცუზი „ახალთაობაში" რავა გაერევა?

— რაო, რატომაც არ გაერევა.

— რავა და ერთი არმინახავს, ადამიანო, და ასი მაგ ფრანცუზები ჭიათურაში? უწინაზე მთლად სავსე იყო ქოსა - ტყუილა ხალხია, ბაყაყებს ჭამენ. ესენი რა ხალხიაო, რავა თქვი?

— გერმანელი.

— გერმანელი სადაური ხალხია?

— ნემეცი.

— ომ, ნემეცები სხვა ხალხია, უფრო დინჯი, მაგენიც ბევრი იყო ჭიათურაში უწინ, ახლა ყველა გადაწყდა.

— ახლა ბევრია გრანიცის ხალხი ჭიათურაში.

— კი, მაგრამ ეგ სულ სხვაა, მაგენი ამერიკელები ყოფილან, მაგათი მნახველი არა ვარ—პირველად ვხედავ.

— ხალხი ყველა ერთია, კომუნისტური პარტია ყველგან არსებობს და ყველგან იბრძვიან ბურჟუაზიის დასამხობათ, დაბეჩავებულთ უხსნის კოწია.

— აგრემც კარგი დაგემართოს.

— ეს სურათები როდი გვქონდა, სულ ორი სამი დღეა,რაც ჩამოვკიდეთ, მიტომაა, რომ ესევა ხალხი. კარგია, ნეტავი მეტი მოგვცა, ხალხს აინტერესებს, მეუბნება კოწია.

ერთ კედელზე საკუთრათ ჰკიდია (არა მიჭედილია) „კომუნიზმისათვის მებრძოლნი" — „მეორე თაობა".

აქ ბევრი ხალხია თავმოყრილი. ერთ „კომსომოლას" „ტაბურეტკა სკამი" უშოვია, ზედ შემდგარა და უკითხავს.

— აფრასიონ მერკვილაძე.

— ომ, აბა, აქ ჩვენში არ მოკლეს, შეახმა მის მკვლელებს ხელი.

— არც შეახმა და არც არაფერი, აგერ დასეირნობენ თურმე გოლოვინსკის გულვარზე (ალბად, იმას გულისხმობს, რასაც თბილისში რუსთაველის გამზირს უძახიან).

— მერე, მერე რომელია, მაგ ულაშებიანი, რომ უხატია იქით გვერდში.

— შამშე ლეჟავა, ამოიკითხა კომსომოლმა.

— რომელი? შამშე?! ლეჟავა?!

— ჰო, კაცო, შამშე ლეჟავა.

იმ კედელზე რომაა, ვერ უყურებ. კომსომოლა მარდათ კითხულობს გვარებს... ხალხი ქვევიდან ეხმაურება.

— ალბათ დახოცილებია მაგ დახატული, ცოცხლები როდი უნდა იყოს ვინმე.

— მერე ე ჩვენები რომ არავინ არის? ჩვენში, რომ ხალხი დახოცეს ხაზახმა — რუსებმა, ისინი რომ არ არიან?

— რა ვიცი, თუ არის ქე კითხულობ და თქვენ თვითონ უფრო არ იცით?

— აბა, ახლა ჩვენში რამდენი კაცი კაზაკებს შემოაკვდა ხელში, იმას ვინ დახატავდა.

— შენ რას ამბობ ადამიანო, ზალიკა, ამ კოწიას მამა არ იყო, დაკლეს საცოდავი. ისიც რომ გახსენებოდა ვინმეს, ღმერთი უწყენდა?..

სიმწრის ოფლში ვიწურები... კიდევ რამოდენიმე სურათი და ჩვენ სახელსა და გვარსაც ამოიკითხავენ...

ვაი ამისთანა გინდა ცოცხლებში და გინდა მკვდრებში გარევას. უსაშველოდ ვაგინებ გუნებაში ბარონ ბიბინეიშვილს და სევასტი თალაკვაძეს — იმათ შეგვძინეს ეს „მებრძოლების" სურათი...

— იქნებ ვერავინ მიცნოს. ძველი აღარავის ახსოვს. ეს სურათიც მე იხე მგავს, როგორც ყიზილბაშების ყეინს, მაგრამ... მაინც რა საჭირო იყო, ვინ გამოაწვია, ვინ დაავალა ამ სიის შედგენა. ან და მართლაც რომ სთქვას კაცმა, რატომ მე და თუნდა შამშე ლეჟავა უნდა ვიყოთ იქ წამოსკუპებული და აი ის ზალიკა არ უნდა იყოს და რამდენი ასეთი ზალიკაა მოკლული, ნაწამები.

— ეს რა „მახლობელთა" და „რჩეულთა" ნაკლებია?

ბარონი ამ სურათებით გამდიდრებას (საკუთარ ჯიბისას კი არა რასაკვირველია, — რევოლიუციის მუზეუმის) მოელოდა, სევასტი თალაკვაძე, ალბათ, ისტორიკოსის სახელის დამკვიდრებას!

დაუმშვენდათ ცხვირ - პირი, დამშვენებული საქმე იმათ გააკეთეს!

ვეღარ მოვიცადე კოწიას ხელი ვსტაცე და გარეთ გამოვექანე.

შევიარე ისევ ჩემ ნაცნობ მასწავლებელთან.

— რას შვრები სიმონ?

— რას ვიზამ, პროლეტარულ პოეზიას ვეცნობი ერთი ახალგაზრდა პოეტის ნაწარმოებით. საღამოზე ჩვენ კომკავშირელებთან საუბარი მაქვს დანიშნული პროლეტარული პოეზიის შესახებ, მის „შემოქმედების" ზანდუკს ვათვალიერებ.

— კარგი საქმეა, ჩვენ პოეტები ბლომათ გვყავს, მაგრამ პროლეტარული მწერლები და პოეტები არც იმდენი, კარგი იქნება რომ გააცნობდე სანიმუშოდ თუნდა რომელიმე მათგანს.

— შენ როგორ მირჩევ, ეს ზანდუკი ივარგებს?

— ომ, ასე ვთქვათ, ოღონდ არჩევით, მაგ ზანდუკში როგორც თვითონ — ავტორი, რომელსაც ალბათ ამდენი გსმენია და გაგიგონია...

— შენ არ მომიკვდე არაფერი არ მსმენია.

— მაგ შენს თავ დააბრალე.

— კეთილი, მერე?

— მერე და აიეს,, მაჩვენე (ხელი დაუდევი ერთ ალაგზე) — ავტორი თვითონ ამბობს რომ ერთ დროს მაგ ყოფილა შეპყრობილი ე. წ. „პესიმიზმით, ეროტიზმით, რომანტიზმით".

— კაი, ნუ ხუმრობ, თუ კაცი ხარ!

— კი არ ვხუმრობ მართალს გეუბნები, აი წაიკითხე.

წაიკითხა, არ ეპაშნიკა. წიგნი გამომართვა.

„ეს არის ჩემი გული, ჩემი სული, ჩემი აღფრთოვანება და ვისაც უნდა გამეცნოს, მე ამით გამეცნობა".

— ხომ უყურებ მაგ ზანდუკში ნაირ - ნაირი საქონელი. ზოგი გამოგადგება, ზოგის რა მოგახსენო.

— კი ბატონო, მაგრამ მაგ ყმაწვილი რატომ ფიქრობს, რომ მე მაინცა და მაინც მაინტერესებს როდის და როგორ იყო მაგ ეროტიზმის კლანჭებით აღფრთოვანებული. ეროტიზმი ულაყების პოეზიაა. პროლეტარულ პოეზიასთან მაგას რა ხელი აქვს.

— წაიკითხე, შე მამაცხონებულო, და გაიგებ. პროლეტარული პოეტიც ხორცშესხმული ადამიანი არის ან და იყო. ალბათ მის ცხოვრებაში ეროტიზმით აღტაცება შემდეგ „გარემოების საყვირი გახდა და ეხლა კიდევაც არის" „ცხოვრების თანამგზავრი".

— შენი ჭირიმე, თავი დამანებე, რა ხუმრობის გუნებაზე ხარ, მაგის დამწერი შეიძლება დიდი პოეტი იყოს, მაგრამ მისი გაცნობა ასე პირწმინდათ, რომ არაფერში მესაჭიროება...

წიგნი გამომართვა ჩაუჯდა და დაუწყო ფურცვლა.

— დაუგდე, დაუგდე ყური.

„ეს მითხრა... ჩემმა სახემ იგრძნო სუნთქვა.
ცხელი სუნთქვა...
„გადაეკვრა ბაგეს ბაგე... კონამ შორსშორს
გაიხულვა...
„და არ მახსოვს შემდეგ რა ვქენ... სად
ვიყავ... ან რას ვშობოდი?".

ერთი მიკითხეთ, ბატონო, ამ ყმაწვილს დაუწყია ისეთი კოცნა, რომ თურმე ზუილი გაჰქონდა, შემდეგ თვითონაც აღარ ახსოვს, სად ყოფილა და რა უქნია. მე კი აქ სოფლის მასწავლებელმა—უნდა ვიკითხო ეს მისი „აღფრთოვანება", ამაში ფული უნდა ვიხადო და ჩვენ კომკავშირელებს ამ მაგალითებზე უნდა აუხსნა პროლეტარული პოეზიის აზრი, შინაარსი, მიმართულება?!

— ნურც მაგრე აითვალისწუნებ, მაგ ლექსებში კარგიც ბევრია.

— კი შენი ჭირიმე, მაგრამ ეს კარგი მიჩვენე და ეს გლახა ან შენთვის—შენრომ ავტორი ხარ, შენთვის რა სასახელოა, ან ჩემთვის რა სასარგებლოა?

კიდევ ერთ ხანს ფურცლა სიმონმა ეს წიგნი, ერთი ორი კიდევ რაღაც წამოიძახა. მერე უცბად ადგა.

— მე ერთ საათს ამ ჩვენ ბიჭებთან საუბარი მაქვს დანიშნული იქ წავალ—შენ აქ მოისვენე, საღამო თავისუფალი მაქვს, ბევრს რამეს გეტყვი, სანამ აქედან გაგიშობდე.

მისალმებულიყო, როცა სიმონი დაბრუნდა უკან.—გადავრჩი, როგორც იქნა ხლაფორთს. იმ ოხრებს თვითონაც კი არ უშოვიათ სწორეთ ეს წიგნი?! ბარე ორი ისეთი ადგილები ამომიკითხეს, რომ ცოტა არ იყოს, ნერწყვი გამიშრა პირში, ველარაფერი ვერ უთხარი.

— ღმერთო მომკალი, ხომ მოგკალი უმშელათ, ახლავე ერთ წამს მოვაწყობ ყველაფერს—სიმონმა ქუდი დაიხურა, გარეთ გავარდა, ეხლავე მოვალო მომაძახა კარებიდან.

— ეხლა ეს მითხარი, სიმონ ცოლს რატომ არ თხოულობ, შევეკითხე როცა უკან დაბრუნდა.

— რასო, ცოლსო?

— ჰო, ცოლს! ასე მარტოხელა დაბერდები, ავათ რომ გახდე წყალის მომწოდებელი აღავინ გეყოლება.

— ადამიანო, ცოლი კი არა, თავი ვერ მირჩენია, ცოლშვილის რჩენას მეხუმრები შენ?

— ხუმრობა რას შქვია, მართალს ვამბობ.

— და თუ ამბობ, გლახათ გიფიქრია.

— მასწავლებლის მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის ისეთი, რომ ცოლზე და ოჯახზე იფიქროს.

— რავა დავიჯერო, იმდენათ მაინც არ გაუმჯობესდა თქვენი მდგომარეობა, რომ...

— ოღონდაც! მე კარგი ხნის მასწავლებელი ვარ... მტრისას უწინ ჩვენ რომ დღეში ვიყავით. ფული ხომ ახლაც არ გვაქვს ბევრი და უწინაც სულ არაფერი გვქონდა, მარა რა შედარებაა? მე ეხლა ამ ჩვენ სოფელში პირველი კაცი ვარ, თუკი არ დავიზარებ, რასაც მე ერთ წელიწადს აქ გავაკეთებ, იქ თქვენ ათ წელიწადს ვერ იზამთ.

მერე როგორ უნდა დაიზარო ეხლა აქ მუშაობა?

მე მარტო სკოლაზე კი არ ვლაპარაკობ: სკოლა—სკოლაა, მარა ახლა მთელი ეს სოფელი ჩემი სკოლაა. მარტო ეს კომკავშირლებთან რომ ვმუშაობ, პირდაპირ მეც ჩემი თავი ჭაბუკი მგონია. რა ცნობის მოყვარეობაა, რა წყურვილია სწავლის! ამას მოვესწრებოდი, რავა მეგონა, ერთი ამბავი უნდა გითხრა ჩემი მასწავლებლობიდან.

ახალი გათავებული მქონდა სემინარია, იქ ხომ იცი, სწავლა სახელმწიფო ხარჯზე იყო, მაგრამ სამაგიეროთ რამოდენიმე წელიწადს აუცილებლათ მასწავლებლათ უნდა გემსახურნა და სადაც გიკრავდენ თავს—უარს ვერ იტყოდი.

გავათავე თუ არა სემინარია, გამამწესეს ერთ ისეთ დალუპულ ალაგას, რომ ციმბირი თუ სადმე, სწორეთ ის იყო.

მივედი, ცალ ჯიბეში პროკლამაციები მიწყვია, მეორეში... მეორეში არაფერი, მქონდა იქნება დახეული ცხვირსახოცი, მეტი რა მექნებოდა.

დავუკვირდი სოფლის ცხოვრებას—ეს 1904 წლის მიწურულში იყო.

სოფლათ მოძრაობა ჯერ სულაც არ იყო, ან და სხვაგან თუ იყო რამე, თორემ იქ ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა.

კუთხე შემხვდა ისეთი, რომ, თურმე, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ აქ არაფერი გარყეულა.

— „ბატონი"—„ბატონის თავი მიცოცხლოს ღმერთმა".

ეს გესმის სულ.

გაიარა დრომ, ვხედავ და რას ვხედავ, თურმე, ჩვენი ბატონი ისე სოფლის გოგოს, თუ კი მოეწონა, არ გაუშვებს რომ სახახლეში არ დაიბაროს... რისთვის დაიბარებს, ხომ იცი!

მომეკიდა ცეცხლი.

დავიწყე ხმამაღლა ლაპარაკი.

სწორეთ იმ დროს, მგონია, ერთი კამათი იყო გამართული ჩვენ გაზეთებში, ერთი წყება ხალხი ამტკიცებდა საქართველოში ბატონ-ყმობა, კი არა პატრონ-ყმობა იყოო.

პატრონი მოვალე იყო ეზრუნა თავის ყმების კეთილდღეობაზე და სხვა—რაღაც იმას ჰგავდა, რომ ყმები იყვნენ თითქოს ბატონები, ბატონები კი ყმების მოსამსახურე.

ეს, ბატონო, გაზეთებში; იქ რაღაც ძველ ქაღალდებს ჰქექავენ, აქ კი, მე ამ სოფელში ჩემი თვალით ვხედავ ყოველიფერ უბედურებას. პირდაპირ შიშველი „პირველი ღამის უფლება" თუ გნებავთ ესაა!

დავწერე და გადავგზავნე წერილი ერთ გაზეთში, ვუცდი, არ შეგჭამოს ჭირმა, ვინ გიბეჭდავს?

დავწერე ხელმეორეთ, ეხლა სხვა გაზეთში გადავგზავნე—იქაც მიაფუჩეჩეს.

ამასობაში, ვხედავ, რომ უწინ რომ ხალხი პატივს მცემდა, უხაროდა ჩემი ნახვა, ჩემთან გამოლაპარაკება, ეხლა ყველა პირს მარიდებს.

გაიარა ცოტა ხანმა, ერთ გლეხ-კაცის ქალზე ვიყავი გარიგებული: პურს მიცხობდა, ქვილი ჩემი იყო, გამოცხობაში ფულს ვაძლევდი, მოდის ერთ საღამოს ეს ქალი და მეუბნება.

— შენი ჭირიმე, საწყენად არ დაგრჩეს, მაგრამ შემდეგისათვის პური სხვას გამოაცხობიეო.

ვის რას გამოაცხობინებ? თურმე, ამ დედაკაცს ბატონი თავზე დაადგა.

— ვაი შენ დღეს, თუ იმისთვის ან გამოგიცხოვა, ან ნამცხვარი მიგიტანიაო.

ცოტა-ოდენი ქვილი ნაყიდი დამესწრო: გავიჭირვე—თვითონ ვაცხვე, შემდეგ ესეც გამომელია. მთელ იმ კუთხეში არც ერთი საწვრილმანო დუქანიც არ იყო.

რა უყო, ვატყობ, რომ პირდაპირ უნდა მოვკვდე სიმშილით, გამიჭირდა—გავაგზავნე „სტოროჟი", ვერაფერი ვიშოვეთ, ხელცარიელი დაბრუნდა.

ალბათ, ისიც დაშინებული იყო.

წავედი მე თვითონ—არაფერმა კაცმა პურის ერთი ნატეხი არ მომყიდა.

ერთ გლეხს პურში ოქროს ხუთ მანეთიანს ვაძლევ, ვერ გაბედა აღება, პურიც არ მომცა.

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდი.

ორი დღის უჭმელი ვარ, ფეხზე ვეღარ ვდგევარ...

ბოლოს ერთი მადლიანი დედაკაცი გამომიჩნდა, ღამე მოკრძალებით ქურდულათ მომიტანა კალთის ქვეშ ამოფარებული ერთი სამიოდე თორნეული და ნახევარი წველა ყველი.

იმისაგან გავიგე ყველაფერი.

საქმე ისე იყო, რომ იქ ბატონი უსათუოთ ფეხს ამიდგამდა, სიმშილით რომ ვერაფერი დაეკლოთ, ტყვიით მომკლავდენ.

მეც ავდექი და წამოვედი. აი ეს იყო ცუდი დრო თორემ ეხლა—ეხლა თუ ერთი ვინმეს კი აქვს რამე ამ სოფელში, მეც მაქვს...

პ. მ. საყვარელიძე.

ხელოვნება

სათეატრო შენობები სოფლად

ბაღდათი

დაბა ბაღდათში აღმასკომი აშენებს დიდ დარბაზს თეატრისათვის. შენობის ტეხნიკური გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილია. დამზადებულია აგრეთვე ხე-ტყის მასალა, რომელიც აღმასკომმა შეღავათიან ფასებში შეიძინა გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტისაგან. ადგილობრივ აგურხნებს დაკვეთილი აქვთ 20 ათასი ცალი აგური. გამომუშავებული ხარჯთ-აღრიცხვით თეატრის შენობის აგება ჯდება 10 ათასი მანეთი. შენობის აგება უკვე დაიწყო და განზრახულია დამთავრდეს ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთავისთვის.

ახალქალაქი

დამთავრდა სათეატრო შენობის აგება ახალქალაქში, რომელსაც დღემდე არ ჰქონდა საგანგებო შენობა თეატრისათვის. შენობა ააგო სამაზრო აღმასკომმა. ახალი თეატრი იტევს 500-ზე მეტ მსმენელს. შემოდგომიდან განზრახულია მოეწყოს სცენის მოყვარეთა მუდმივი დასი სომხურ, ქართულ, თათრულ წარმოდგენების გასამართავად.

დროგამოშვებით ამავე შენობაში გაიმართება ლექცია მოხსენებები სხვადასხვა თემაზე.

ვასო ურუშაძე—დამსახურებული არტისტი

ბათომის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორის მსახიობ ვასილ ლუკასძე ურუშაძეს მისი ოცდაათი წლის სასცენო მოღვაწეობის გამო განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ე. ახვლედიანის გამოფენა.** კვირას, 10 ივლისს დაიხურება მხატვარ ელენე ახვლედიანის სურათების გამოფენა. გამოფენას სულ დასწრებია 2.000 მნახველი.

◆ **წითელი თეატრის შეკეთება.** თბილისის წითელი თეატრის შესაკეთებლათ ქალაქის აღმასკომის მიერ გადადებულია 15.000 მანეთი.

◆ **იუმორის საღამო.** დღეს საღამოს, მუშათა ახალ კლუბში გაიმართება ჰიუმორის დიდი საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის მუსიკალური სატირის თეატრი.

დღეს კინოებში

◆ **მინიონი**—ქალი პროვინციიდან.
◆ **ეთერი**—გრაფი კალიოსტრო.
◆ **აპოლო**—შეიხი.
◆ **დარბაზი**—სასტუმროების ქალი.

შრომის კოლექტივები

შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულმა ქალთა შორის უმუშევრობასთან მებრძოლმა კომისიამ გამოიმუშავა გეგმა უმუშევარ ქალების შორის კოლექტივებში ჩაბმის შესახებ.

სექციის ინიციატივით ამ დღეებში სახალხო ქ. № 5 გაიხსნა ქრა - კერვის სახელოსნო, რომელშიაც უკვე მუშაობს 10 უმუშევარი ქალი.

გარდა ამისა სექციას განზრახული აქვს გახსნას მთელი რიგი ახალი სახელოსნოები.

ზუგდიდი—ჯვარი

ქაღალდის ქარხნის აგების დაწყებასთან დაკავშირებით სოფ. ჯვარში (ზუგდიდის მაზრა) გადაწყვეტილია გადაგზავნილი იქნეს რკინის გზა. რკინის გზის შტო დაიწყება ქალ. ზუგდიდიდან და მისი სიგრძე იქნება 38 კილომეტრი.

საქ. ს. მ. უ. ს. აღნიშნული რკ: გზის გაყვანის საკითხში შეუთანხმდა შავი ზღვის რკ. გზის სამუშაოთა სამმართველოსთან, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ამ გზის გაყვანასაც შეთანხმების ძალით რკ. გზის გასაყვანათ საჭირო ყოველგვარ მასალებს იძლევა ქაღალდის ქარხნის სააღმშენებლო კომიტეტი. გზა იქნება ფართო ლიანდაგიანი და საჭირო საგამოკვლევო სამუშაოები დაიწყება 1-ლი ავგუსტოდან. გარდა სააღმშენებლო მასალებისა, ახალი გზის გასაყვანად გადადებულია 1.357.560 მანეთი.

რკინის გზის გაყვანა სოფ. ჯვარამდე უნდა დასრულდეს მომავალი წლის ივნისისათვის; მოძრაობა კი უნდა დაიწყოს 1928 წლის სექტემბრიდან.

სასამართლო

ბანდიტის გასამართლება

ვ. გორდაძის საქმე

მოწმეების დაკითხვა

სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა. დაკითხულ იქნა ოცამდე მოწმე. მოგვყავს იმ მთავარ მოწმეების ჩვენებები, რომლებიც ნათელს ჰფენენ როგორც ამაშუკელის მოკვლის სურათს, ისე ბრალდებულ გორდაძის სხვა დანარჩენ „საგმირო საქმეებს“.

მოწმე ეფ. ბებურიშვილი

ეფემია ბებურიშვილი იმ სახლის დიასახლისია, სადაც ქეიფის დროს გორდაძემ მოჰკლა თავისი ხელქვეითი თანამშრომელი ამაშუკელი. ის არის მკვლელობის უშუალო მოწამე.

მოწმე აჩვენებს შემდეგს: როცა გორდაძემ ჩაის ჭიქით უკანასკნელი სადღეგრძელო მიიღო, სტუმრები აიშალენ სუფრიდან. ამაშუკელს უნდოდა რევოლვერის გასროლა, მაგრამ ამას გორდაძე არ ანებებდა. ყველანი მივედით და ვაწყნარებდით ამაშუკელს, გორდაძემ იარაღი გამოართვა მას და გადასცა იქვე მყოფ თავის თანამშრომელ ქალს სოფიო ელიაშვილს. შემდეგ გორდაძემ ამაშუკელს უკანვე დაუბრუნა რევოლვერი, მათ შორის კიდევ გრძელდებოდა დავა იარაღის გარშემო. მე ჩავდექი შუაში და ვაწყნარებდი ორივეს. ამაშუკელმა რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო. მე მიუახლოვდი ამაშუკელს და გულზე ხელი დავადე. ამ დროს გავარდა რევოლვერი. ტყვია მომხვდა თითზე, დამიზიანა თითი; შემდეგ დავინახე, რომ ამაშუკელი მკვდარი დაეცა. პირადათ მას, ამბობს მოწმე, გული წაუვიდა და დაეცა.

მოწმის ეს ჩვენება აბათილებს ბრალდებულის განცხადებას, თითქოს მკვლელობა მან ჩაიდინა თავდაცვის მიზნით.

მოწმე ამილახვარი

ამილახვარი (მეეტლეა), დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ სცემა მას გორდაძემ იმისათვის, რომ მან როსკიპ ქალის წინააღმდეგ საჩივარი აღძრა კომისრის წინაშე.

მოწმე აჩვენებს: კომისრის განკარგულებით (იმ დროს მე-10-ე უბნის უფროსი იყო ქუთათელაძე) მე მილიციელის თანხლებით დაპატიმრებული მოვიყვანე ერთი როსკიპი ქალი, რომელმაც მთელი ექვსი საათის განმავლობაში მატარებინა თავი ეტლით სხვადასხვა რესტორანებში და ერთი კაპეიკი არ გადამიხადა.

კომისარიატში რომ მივედი, იქ გორდაძე დამხვდა. მან ქალი შეიყვანა თავის კაბინეტში და როცა მე შევედი და საქმის ვითარებას ვაცნობდი, მან დამიწყო ყვირილი, გამარტყა სახეში, გამომაგდო გარეთ და ბრძანება გასცა, რომ სარდაფში ჩავეგდე. მე დავიწყე ყვირილი: „რაჰომ, რა დავაშავე? ჩემი რომ იყოს ეტლი, კიდევ გაუძლებ ზარალს, მაგრამ მე „ხაზეინს“ საიდან გადაუხადო, ჩემი ჯამაგირით ხომ ვერ დავფარავ მეთქი.

მე ჩამაგდეს სარდაფში, სადაც ათიოდე პატიმარი იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ჩამოვარდა სარდაფში გორდაძე და როცა მე, ნაცემი და უდანაშაულოდ დასჯილი, ვყვიროდი, მომვარდა და დამიწყო ცემა. მცემა იმდენი, რომ მე ვასისხლიანებული დავეცი პირქვე.

ამ მხეცობამ ააღელვა იქვე მყოფი პატიმრები. მათაც ასტეხეს ყვირილი. გავიდა დრო. ღამით გორდაძის განკარგულებით ყველა პატიმრები გაანთავისუფლეს და დამტოვეს მარტო მე.

მოწმე ქეიშვილი.

მოქ. ქეიშვილი ვ. გორდაძის ყოფილი უფროსი თანამშრომელია. ის გორდაძის შესახებ აჩვენებს შემდეგს:

— იმ ღამეს, როცა მეეტლეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გორდაძემ, მე კომისარიატში არ ვყოფილვარ. მეორე დღეს, როცა მორიგეობა ჩავიბარე, გავიგე ეს ამბავი. წავედი საპატიმრო ოთახში და გამოვკითხე ამილახვარს მისი დაპატიმრების მიზეზი, ამილახვარს გალახულობა ემჩნეოდა. ძალიან დაქანცული იყო, სახეზე სისხლის ლაქები ეტყობოდა.

შემდეგ მოწმე ეხება გორდაძის დამოკიდებულებას ხევსურიანის ქალთან და აცხადებს: ღამის 12 საათი იქნებოდა, რომ გორდაძემ მოიყვანა კომისარიატში გლეხი ქალი გვარად ხევსურიანი და ბრძანება გასცა, რომ ქალი მოეთავსებიათ სამორიგეო ოთახის პირდაპირ მდებარე ოთახში გორდაძემ დასძინა, რომ არავის გაებედნა ქალისთვის შეურაცხყოფის მიყენება. მთელი ათი დღის განმავლობაში ხევსურიანის ქალი ცხოვრობდა კომისარიატის ბინაზე. შემდეგ გორდაძემ კომისარიატის ერთ-ერთი თანამშრომლის თანხლებით ეს ქალი გაგზავნა სასტუმრო „არარატ“-ში და იქ მოათავსა.

თანამშრომლები ძალიან გაკვირვებული იყვნენ ამ ამბით. „არარატის“ პატრონი მე ერთხელ გზაში შეხვდა და მიამბო, რომ ხევსურიანის ქალი სცხოვრობდა მის სასტუმროში, მასთან ხშირად დადიოდა, მარდაძე და რამოდენიმე საათობით რჩებოდა. ჩემს შეკითხვაზე, თუ ვინ გაისტუმრა ოთახის ქირა, სასტუმროს პატრონმა მიპასუხა, რომ არავის არ გაუსტუმრებიაო.

როცა კომისარიატში შევეკითხებოდით ქალს, თუ სანამდე უნდა დარჩეს ის ბინათ კომისარიატის შენობაში, ის გვიპასუხებდა: „ჩემი საჩივარი გადაცემული აქვს გორდაძეს და, სანამ ის ამ საქმეს არ მოაგვარებს, აქ უნდა ვიქნე, როგორც უბინაო და ღარიბი გლეხის ქალიო“.

თავმჯდომარე:—რითი შეგიძლიათ დაადასტუროთ, რომ ვ. გორდაძე როსკიპ ქალებთან იჭერდა კავშირს?

მოწმე ქეიშვილი:—ხშირი იყო შემთხვევა, როცა ქუჩაში გორდაძის განკარგულებით აპატიმრებდენ როსკიპ ქალებს. ზოგჯერ 10—15-დე მიჰყავდათ ერთად, ასეთი ქალები კომისარიატში. გორდაძე მათ შორის ახდენდა არჩევანს, ზოგს გადაგზავნიდა საპყრობილეში, ზოგს გაანთავისუფლებდა და ზოგს შეიხმობდა მასთან რამოდენიმე ხნით.

გარდა ამისა,—აცხადებს მოწმე—ერთმა ქალმა, რომელიც გორდაძის კაბინეტიდან გამოვიდა, მიამბო მე, რომ გორდაძემ მასთან კაბინეტში სქესობრივი კავშირი დაიჭირა.

შემდეგ მოწმე ლაპარაკობს, რომ გორდაძის ხშირად უთქვამს მასთან და დანარჩენ თანამშრომლებთან, რომ მას უყვარს ქალებთან არანორმალურ ფორმებში სქესობრივი კავშირის დაჭერა.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

პედაგოგიური კურსები

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების გამოანგარიშებით, საყოველთაო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით საჭირო იქნება 10.000 მომზადებული მასწავლებელი.

საყოველთაო სწავლების შემოღების ვადით განსაზღვრულია მახლობელი 5 წლის ბოლო. განათლების განყოფილება აქედანვე შეუდგა შესაფერ თადარიგს და გადასწყვიტა მომავალი სამოსწავლო წლიდან პედაგოგიურ კურსებათ გადააკეთოს მე-8, 9, 14, 72 და მე-86 შრომის სკოლები.

გარდა ამისა პედაგოგიურ სასწავლებლებათ გადაკეთებული იქნება დუშეთისა და აბულაღის საბავშო სახლებთან არსებული სკოლები.

ამასთანავე თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს გადააკეთოს კოოპერატიულ კურსებათ მე-4 მე-32 და მე-82 შრომის სკოლები.

რკინის გზებზე

თბომავლის ცდები

7 ივლისს მოსკოვიდან ბაქოში და უკან გაგზავნილია გამოსაცდელად ორი თბომავალი.

თბომავლები მიჰყვებიან ერთმანეთს დატვირთული ვაგონების შემადგენლობით. ბაქომდე თბომავლებს მიჰყავთ 850 ტონის სიმძიმის მატარებლები, ხოლო ბაქოდან დაბრუნებისას წაიყვანენ კაზანტცევის მუხრუჭებით მოწყობილ ნავთის სამარშრუტო მატარებლებს; თითოეული მათგანის წონა იქნება არა ნაკლები 1000 ტონისა.

ახალი მატარებლები

15 ივლისიდან თბილის - ქუთაისის შუა ინიშნება ყოველდღიური მატარებელი.

მატარებელი უქმე დღეებში

15 ივლისიდან თბილის - კარაკლისის შუა ინიშნება ახალი მატარებელი, რომელიც ივლის უქმე და მის წინა დღეებში.

სამხედრო სკოლებში მიღების წესი

1. განცხადებები სამხედრო სკოლებში შესვლის შესახებ გამგზავნ კომისიების მიერ მიიღება თვით სკოლაში შესვლის მსურველებისაგან ან იმ პარტიულ, კომკავშირულ, პროფესიონალურ, ორგანიზაციებისაგან და სამოქალაქო სასწავლებლებისაგან, რომლებიც თავიანთი წრიდან გამოყოფენ სამხედრო სკოლაში შესვლის მსურველებს.

2. უფასო მივლინებათა განაწილება სწარმოებს გამგზავნი კომისიის შეხედულებით, მაგრამ მხოლოდ იმ კანდიდატებს შორის, რომლებიც საექიმო შემოწმებით ცნობილი არიან ვარგისად მუშურ - გლეხური წითელი არმიის სამწყობრო სამსახურისათვის და სამხედრო სკოლებში სწავლებისათვის და აკმაყოფილებენ მიღების ყველა მოთხოვნილებებს უკლებლივ.

3. გამგზავნი კომისიების მიერ მივლინებულთა საექიმო შემოწმება სწარმოებს განსაკუთრებული საექიმო კომისიებში ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებთან (ტერსამმართველოებთან) ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისა და სამხედრო - სასანიტარო სამმართველოს განსაკუთრებულ მითითებათა თანახმად.

4. საექიმო შემოწმების წარმოების წესი და დრო საექიმო კომისიებში ინიშნება გამგზავნი კომისიების შეთანხმებით შესაფერ სამხედრო კომისარიატებთან (ტერსამმართველოებთან).

5. მისაღები გამოცდები სამხედრო სკოლებში სწარმოებს 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე.

6. სკოლებში აღნიშნულ ვადებზე უფრო ადრე მივლინება და აგრეთვე დაგვიანება — დაუშვებელია.

7. სკოლაში შესვლის თვითეულ მსურველს სკოლაში მისვლის დროს თან უნდა ქონდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დოკუმენტი, რომელიც არკვევს სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულებას;

ბ) მოწმობა საექიმო შემოწმების შესახებ საექიმო - საკონტროლო კომისიის დასკვნითურთ ფიზიკური განვითარების მდგომარეობაზე (ცნობები სიმაღლეზე, წონაზე, მკერდის მოცულობაზე, გულის - სისხლის მილების, და ნერვიული სისტემის მდგომარეობაზე) და სამხედრო სამსახურისათვის ვარგისობის შესახებ.

გ) ცნობა სასპორტო ორგანიზაციიდან (თუ სკოლაში შესვლის მსურველი ასეთ ორგანიზაციაში იყო) მიღწევებზე: 1) ფიზიკურ ვარჯიშობათა და სპორტის სხვადასხვა დარგში; 2) სასროლო საქმეში;

დ) მოწმობა განათლების შესახებ (თუ ასეთი აქვს).

8. გამოცდა აუცილებლად სავალდებულოა სკოლაში შესვლის თვითეული მსურველისათვის. გამოცდები შესდგება საექიმო შემოწმებასა, პოლიტიკურ (სამანდატო) კომისიის შემოწმებისა და სასწავლო გამოცდებისაგან.

შენიშვნა: სკოლაში შესვლის მსურველთ, რომლებიც სათანადო ცოდნის უქონლობის გამო, არ იქნენ მიღებული მათ მიერ არჩეულ სპეციალურ სკოლაში, უფლება აქვთ გამოცხადდენ მისაღებად ქვეითი ჯარის ან კავალერიის სხვა სკოლაში მიმღები კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც მსურველს აძლევს ამის შესახებ ცნობას.

9. სამგზავრო დოკუმენტებს სამხედრო სკოლებში გამოცდებზე გამოსაცხადებლათ კანდიდატები, რომლებიც იგზავნებიან სამხედრო უწყების უფასო მივლინებით, ღებულობენ საცხოვრებელ ადგილთან მახლობელ ტერსამმართველოებში (სამხედრო კომისარიატებში) თანახმად გამგზავნი კომისიების მათდამი მიმართვისა, სამხედრო სკოლებში შესვლის ყველა მსურველი, როგორც უფასოდ მივლინებულთ. ისე მათ გარეშე, ენახებათ სამსახური ცნობამდე ძათი სკოლაში მიღების შესახებ. ან სკოლაში მიუღებლობის გამო უკანვე დაბრუნებამდე (საფუძველი — ს. ს. რ. კ. შრომის სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია 28-IX — 25 წ. № 248-18 მუხ. 11, გამოქვეყნებული ს. ს. რ. კ. შრომის სახალხო კომისარიატის უწყებებში № 37-38 1925 წ.)

11. მისაღებ გამოცდების დროს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულ ყველა კანდიდატებს ეძლევა უფასო ბინა, ხოლო პირველ შესაძლებლობისთანავე სკოლების მიერ ეწყობა მათი კვება მინიმალურ ფასებში.

სკოლაში მიუღებლობის შემთხვევაში უფასო დოკუმენტი უკანვე მგზავრობისათვის სკოლის მიერ ეძლევა მხოლოდ იმათ ვინც მისაღებ გამოცდებზე ჩამოვიდა უფასო მივლინებით.

12. უფასოდ მივლინებულ კანდიდატის უარი გამოცდების ჩაბარებაზე ან სკოლაში შესვლაზე უკარგავს მას უფლებას უფასოდ უკანვე გამგზავრებას და გახდება საფუძვლად საქმის აღძვრისათვის, რომ გადახდეს მას სასამართლოს წესით მისი მგზავრობაზე დახარჯული საშუალებები.

13. რომელთაც სამხედრო სკოლებში გამგზავნ კომისიებისა და ორგანიზაციების გარეშე სურთ შესვლა, ისინი ამის შესახებ განცხადებებს აძლევენ მათ მიერ უშუალოდ არჩეულ სკოლას და მისაღებ გამოცდებზე მიდიან საკუთარი ხარჯით.

ამ შემთხვევაში, გარდა იმ დოკუმენტებისა, რომლებიც ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლშია ჩამოთვლილი, ისინი სკოლას უდგენენ ცნობას იმის შესახებ, რომ არ ყოფილა მიცემული სასამართლოს პასუხისმგებლობაში და პარტიულ, კომკავშირულ ან პროფესიონალურ ორგანიზაციის რეკომენდაციას ან ს. კ. პ. (ბ) ორი წევრის რეკომენდაციას, დამოწმებულს სათანადოდ. იმ ადგილებში მცხოვრებ გლეხებისათვის, სადაც არაა არც პარტიული, არც კომკავშირული და არც პროფესიონალური ორგანიზაცია, საჭიროა სოფლის საბჭოს ან თემაღმასკომის რეკომენდაცია.

14. ყველა იმ საკითხების შესახებ, რომელიც შეეხება სამხედრო სკოლებში შესვლის მსურველთა შერჩევას და სამხ. სკოლების შევსებას პარტიული. კომკავშირული და პროფესიონალური ორგანიზაციები ეკითხებიან გამგზავნ კომისიებს, ხოლო ეს უკანასკნელნი სამხედრო სასწავლებლების სამმართველოს.

15. ცნობად ცხადდება, რომ თუ 1905 წ. დაბადებულ მოქალაქეთა ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადა მიმდინარე წელს ხვდება სამხედრო სკოლების შევსების ვადას, ამ უკანასკნელებში გაწვეულთა მიღება იწარმოებს შემდეგ საფუძვლებზე:

ა) ისინი, რომლებიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში არიან მიღებული, მაგრამ დაინიშნება ტერნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ან სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვში და სამხედრო სამსახურს ასრულებენ არასამწყობრო წესით, სამხედრო სკოლებში მიიღებიან საერთო წესით არა გასაწვევ კონტინგენტის მოქალაქეებთან ერთად.

ბ) მიღებულნი და დანიშნულნი მუშურ-გლეხური წითელი არმიის საკადრო შემადგენლობაში, მიმდინარე წელს სამხედრო სკოლებში მიღებულნი არ იქნებიან.

გ) იმ შემთხვევაში, როცა გაწვევის დრო ხვდება სამხედრო სკოლებში მიღების დროს, გაწვეულნი ვალდებული არიან პირველ რიგში გამოცხადდენ გასაწვევ კომისიაში;

დ) თუ სამხედრო სკოლებში მიღების დრო წინ უსწრებს გაწვეულის გამოცხადების ვადას გასაწვევ კომისიაში — სამხედრო სკოლის კურსანტთა რიცხვში ჩარიცხვის შემთხვევაში გაწვეული თავისუფლდება გასაწვევ კომისიაში გამოცხადებისაგან.

16. მისაღებ გამოცდების დაწვრილებითი პროგრამები მოთავსებულია წიგნში — „როგორ შეუძლია მუშა და გლეხს გახდეს მეთაური“ (გამოც. „ვოენნი ვესტნიკ“-ის 1927 წ.) რომელიც დაბეჭდვის შემდეგ დაეგზავნება გამგზავნ კომისიებს და გამოვა გასაყიდათ.

ფიზკულტურა

შეჯიბრი ტენისში

ამიერ - კავკასიის ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა მიმდინარე წლის 10 სექტემბერს თბილისში, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ტენის მოედანზე (პლეხანოვის პრ.) ჩატაროს ამიერ - კავკასიის პირველი შეჯიბრი ტენისში.

პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ამიერ - კავკასიის ყველა რესპუბლიკები. თითეული რესპუბლიკა შეჯიბრზე გამოგზავნის 4 მამაკაცს და 2 ქალს.

წყლის სპორტი

ზაჰესში წყლის სადგურის საზეიმო გახსნაში, რომელიც შესდგება კვირას 10 ივლისს. მონაწილეობას მიიღებენ აჭარისტანის მცურავები.

აჭარისტანის პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ზეიმზე გზავნის მოტორიან ნავებს და მცურავთა გუნდს.

ამას გარდა, საქართველოს პროფსაბჭომ ფიზკულტურის წრეებიდან გამოჰყო 25 მცურავი ცურვაში შეჯიბრის გასამართავად.

სადგურის გახსნის დღეს ტბაზე მოეწყობა ექსკურსანტების სეირნობა მოტორიანი და ჩვეულებრივი ნავებით.

რადიო-გადაცემა

დღეს, საღამოს 7 საათიდან პროფკავშირთა საბჭოს არსებული რადიო - მოყვარულთა წრე აწყობს გადაცემას შემდეგ თემაზე:

1) თავდაცვის კვირეულის ამოცანები და მისი ჩატარების გეგმა — ქართულად და რუსულად. საღამოს. 7 საათიდან — 7—40 წ-მდე.
2) ავიაქიმის მიერ ორგანიზაცია: საპლანერო წრეების და სამოდელო გუნდებისა — რუსულ ენაზე, საღ. 7—40-დან 8—10-მდე.
3) ა. კ. ტელეგრაფის სააგენტოს ინფორმაცია 8—10-დან 8—20-მდე.

დასასრულ კონცერტი ან ტრანსლიაცია 8--20-დან — 11 საათამდე.

შრომის ბირჟაში

მუშა ხელის მოთხოვნილება

დღეს 9 ივლისს, შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშაკთა 1-ლი სექცია: ილია კვიტელიძეს, ლიუსია ბახლევანოვს. ალექსანდრე შაბამოვს, ალექსანდრე გავრილუნკო, სერგო ეკრუზიანი.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: შალვა ოქრუაშვილს, ისმაილ ხეცურიანს, პეტრე კოზლოვს, ნინო კორბელაძეს, კლეოპატრა შავდიას და ნინო წერეთელს.

შავ მუშათა მე-3 სექცია: ნინო გრიგორიანცს, იოსებ კარაპეტიანს, ალექსანდრე გოგიაშვილს, ივანე მამაჯანაშვილს, გარეგინ მუთადოვს.

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მე-3 რაიკომი** იუწყება, რომ შაბათს, 9 ივლისს დილის 10 საათზე მე-3 რაიკომის შენობაში **შესდგება მე-3 რაიკომის ორგთათბირი.**

ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ 9 ივლისს. საღამოს 6 საათზე რაიონულ კომიტეტის შენობაში **მოწვეულია ქალთა ორგანიზაციების თათბირი** ქალთა კომისიების თანდასწრებით.

ქალთა ორგანიზაციების და ქალთა კომისიების გამოცხადება სავალდებულოა.

---

10 ივლისს მოხდება ამხ.

ნ. დ. როსტომოვის

დაკრძალვა.

გამოსვენება დილის 11 საათზე—ველიამინოვის ქ. 24. 1—1 ნ. 1426

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი გალინა ერმინეს ასული, სიმონ გიორგის-ძე და პატარა ნათელიკო კახნიაშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მამა, მეორესი ტკბილი სიმამრი და მესამესი საყვარელი ბაბუა

ერმინე ლაზარეს-ძე
კვინიკაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ზესტაფონში კვირას ა-წ. 10 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზე. 1—1 3269

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი მეუღლე სოფიო ბესარიონის ასული, შვილები მარიამი, ნიკოლოზი მეუღლე მარგარიტათი და ლუბა; ძმა ვლადიმერი; რძლები ანნა, ოლინკა და ვერა; ძმის შვილები ვასიკო, ტატიანა და თამარა კვინიკაძეები; დები მინადორა კისკეიძისა, ნატალია კახნიაშვილისა და ანასტასია ამილახვარისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი, ძვირფასი და დაუვიწყარი

ერმინე ლაზარეს-ძე კვინიკაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ზესტაფონში კვირას ა-წ. 10 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზე. 2—1 3270

ღრმად დამწუხრებულნი ამხანაგების და მეგობრების ჯგუფი (ქ. გორში) აუწყებენ ყველა მეგობრებს და ნაცნობ ნათესავებს, რომ ა-წ. სამშაბათს, 5 ივლისს, დილის 9 ს. მდინარე მტკვარში ტრაგიკულად დაიღუპა ძვირფასი მეგობარი, ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-2-რე კურსის სტუდენტი

მიხეილ (მიშა) გიორგის-ძე
გებიაშვილი

დაკრძალვა მოხდება ქ. გორში 9 ივლისს, 3 საათზე, გამოსვენება საკუთარ სახლიდგან (ცხაკაიას შესახვევი № 7. 1—1 3276

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ლუკა მარკოზის-ძე ქოიავა თავის ცოლშვილით, იოგანე ვასილის ასული ქოიავა, შვილები: აკაკი, თამარა და თინა ქოიავები და ვანიჩკა მამფორია ვაუწყებთ ნაცნობ—მეგობრებს ძვირფასი მამიდაშვილის

ნადია (ნადუშას) ჭავჭანიძის ასული
მაჭარაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალ. ხონში, კვირას 10 ივლისს. 1—1 3277

ღრმად მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ნინო პატარა შვილებით შოთა და ზეინაბით; მშობლები მაშო და ტატო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უძვირფასესი

ალექსანდრე ანტონის-ძე
ეპიტაშვილის

გარდაცვალებიდან ერთი წლის აღსანიშნავად პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას 10 ივლისს, დღის 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე. 1—1 3267

რესპუბლიკის სოციალურ დაზღვევის სამმართველოში,

რომელიც მოთავსებული იყო ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქ. № 30 მე-3 სართულზე

და თბილისის დამზღვევ სალაროში,

რომელიც მოთავსებული იყო ვოლოდარსკის ქუჩ. № 3,

— მოხდა რეორგანიზაცია. —

აღნიშნულ ორ დაწესებულებების ნაცვლად დაარსებულია

სრულიად საქართვ. სოციალური დაზღვევის კომიტეტი,

რომელიც ამ ჟამად მოთავსებულია ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩ. № 2,
1-ლი სართული მე-2-ე შესავალი.

სახელმწიფო, საზოგადო, კოოპერატიულ, სამეურნეო ორგანოებმა და კერძო პირებმა, სოციალური დაზღვევის ყველა საკითხების შესახებ, შემდეგში უნდა მიმართონ ზემოხსენებულ დაწესებულებას.

თბილისის დამზღვევი სალაროს ოპერაციები დროებით სწარმოებს ძველ ბინაზე ვოლოდარსკის ქ. № 3 და მათი შეწყვეტის შესახებ გამოცხადებული იქნება დამატებით,

1—1 ნ. 1436. **სრულიად საქართველოს სოციალური დაზღვევის კომიტეტი.**

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში. (გაგრძელება № 19).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	საწარმოოს საგანი	ძირითადი თანხა	საწარმ. სარეწაო მოწ. ხარ.
512	18 ივნისი 27წ.	ზუგდიდის მომხ. კოოპ. „ახალი გზა“	ქ. ზუგდიდი მახარაძის ქ. № 31	ფართლეულობით და წვრილმ. ვაჭრობა	28380 მ.	მე-4
513	„	სვანეთის სატყ. განყოფილება	სვანეთი-მესტია ზუგდიდ-სენაკის ქ. № 16	ხე-ტყის ექსპლოატაცია.	ძირითადი თანხა არ აქვს	მე 6
514	„	დარჩელის მომხ. საზ. „ლამპარი“	ს. დარჩელი ზუგდიდის მაზრა	ფართლეულით და სხვა ვაჭრ.	27469 მ.	მე-5
515	„	ჯაბუა პლატონ იას-ძე	ზუგდიდი ცხაკაიას ქ. № 12	სასადილო	800 „	მე-4
516	„	ფარცვანია პორფილე იოსების-ძე	ზუგდიდი წერეთლის ქ. № 1	„	600 „	„
517	„	ჯანაშია მიშა ახალიას-ძე	ზუგდიდი მახარაძის ქ. № 125	„	500 „	„
518	„	ბუაძე ბიქტორ პეტრეს-ძე	ზუგდიდი სენაკის ქ. №	„	500 „	„
519	„	სიჭინავა ილიკო ლუკას-ძე	ზუგდიდი ცხაკაიას ქ. № 32	„	500 „	„
520	„	თოლორაია ნიკო მაქსის-ძე	ზუგდიდი ცხაკაიას ქ. № 32	„	500 „	„
521	„	შურღაია თადეოზ ლუკას-ძე	ზუგდიდი ცხაკაიას ქ. № 5	„	600 „	„
522	„	ლაშხია მელიტონ სესიას-ძე	ზუგდიდი მახარაძის ქ. № 12	„	600 მ.	„
523	„	ლუკავა კოლია კინტირიას-ძე	ზუგდიდი მახარაძის ქ. № 12	„	500 „	„
524	„	დარასელია აკაკი სტეფანეს-ძე	ზუგდიდი მახარაძის ქ. № 110	„	200 „	„
525	„	კვარაცხელია გრიგოლ დიტოს-ძე	ზუგდიდი ცხაკაიას ქ. № 25	„	400 „	„
526	„	ბოჭორიშვილი ვასილი გიგოს-ძე და ნოდია პეტრე დავ.	ზუგდიდი სენაკის ქ. № 112	„	1000 „	„
527	„	ღურწუმლაძე გენოზი პეტრეს-ძე	ს. ნასაპერი ლეჩხუმის მაზრა	„	500 „	„
528	„	ომანაძე ლავრენტი ეგნატეს-ძე	ქ. ცაგერი ლეჩხუმის მაზრა	„	200 „	„
529	„	ჩაკვეტაძე რაჟდენ მიხეილის-ძე და ამხ—ბა	ქ. ცაგერი	„	1000 „	„
530	„	თვარაძე თომა ნიკოს-ძე	დ. ლაილაში ლეჩხუმის მაზრა	„	100 „	„
531	„	კაჭკაჭაშვილი ვასილ გიორგის-ძე	დ. ლაილაში ლეჩხ. მაზრა	ღვინის სარდ.	150 „	„
532	„	ფოცხორაია სტეფანე გაბრიელის-ძე	დ. მარტვილი	„	150 „	„
533	„	ფაცია ლევან ბახვას-ძე	დ. მარტვილი	სასადილო	300 „	„
534	„	ჩხეტია ფარნა მიქელის-ძე	დ. მარტვილი	„	300 „	„
535	„	სოლომანია პავლე დიმიტრის-ძე	ნოხისი სენაკის მაზ.	ღვინის სარდ.	900 „	„
536	„	ა.-კ. რკინის გზის სამმართველო	ს. საჯილაო სენაკის მაზ.	ხე-ტყის დახერხილი მასალების გასაღება	322828 მ. 72 კ.	მე-12
537	20 „	გუგუშვილი თომა ივანეს-ძე	დ. აბაშა სენაკის მაზ.	სასადილო	100 „	მე-4
538	„	ტყებუჩავა ირაკლი ბუდუს-ძე	დ. აბაშა ორპირის ქ. №	„	100 „	„
539	„	ტყებუჩავა ბესარიონ გიორგის-ძე	დ. აბაშა	„	200 „	„
540	14 „	ჩიჩუა არჩილ ტოტიას-ძე	დ. აბაშა	სიმინდით ვაჭრობა	400 „	„
541	„	კაჩარავა ნოე ნიანოსის-ძე	დ. აბაშა	ღვინის სარდ.	600 „	„
542	„	კუბულაშვილი ნესტორ ანდრიას-ძე	დ. აბაშა	„	300 „	„
543	„	კიკაბიძე თეიმურაზ ონისიმეს-ძე	დ. აბაშა	„	300 „	„
544	„	სალაძე ბიქტორ თემურაზის-ძე	დ. აბაშა	„	300 „	„
545	„	რუსია ნესტორ ნიკოლოზის-ძე	დ. აბაშა	„	600 „	„
546	„	ქოიავა ნოე უჩანას-ძე	დ. აბაშა	„	100 „	„
547	„	გვაზავა ერმილე ალექსის-ძე	დ. აბაშა	„	500 „	„
548	„	მალანია ევგენ ლუკას-ძე	დ. აბაშა	სიმინდით ვაჭრობა	1000 „	„
549	„	ნადარეიშვილი კონსტანტინე კონსტან.	დ. აბაშა	ღვინის სარდ.	200 „	„
550	„	კობახიძე ალექსანდრე მოსეს-ძე	დ. აბაშა	„	300 „	„
551	„	კაჭარავა ნიკოლოზ სოლომონის-ძე	დ. აბაშა	„	200 „	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**

ნ. 1434. სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

აპოლო
(არტოს ბაღში).

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

0—7 ნ. 1388

კონრად ვეიდტი და რეინგარდტ შიუნტცელი
სურათში **„გრაფი კალიოსტრო“** სურათში
სიმებიანი ორკესტრი **მ. ბელსკის** ხელმძღვანელობით.
1 სეანსის დასაწ.—საღ. 8 ს. სალარო ღიაა საღ. 7 ს.

რუდოლფ ვალენტინო
მხატვრული შედევრი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
„შეიხი“
ვინც კინოს ბილეთს იყიდის, მისთვის ბაღში შესვლა უფასოა

პირველად თბილისში კონრად ვეიდტი და ემილ იანინგსი
მხატვრული შედევრში
„სასტუმროების ქალი“
სიმებიანი ორკესტრი **გ. რეიზნერის** ხელმძღვანელობით.
1-ლი სეანსის დასაწყისი საღ. 8 ს. სალარო ღიაა საღ. 7 ს.

ანონსი: მალე განთქ. სურათი „ტარას ტრიასილო“ „სამთა სიყვარული“, „ლუსეტა“

ფალვერში
ექიმი მეგრაბიანი
ფილტვების, ქლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში **ხელოვნური მთის მზე.** იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ჯერჯერობით რჩება
თბილისში.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 7, ბინა 1, ტელეფონი 14—56.

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა“-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:
თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.
თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.
ჟურნალის ფასი: 1 წლით . . 10 მან. ½ წლით . . 5 მან. ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.
3062 25—1

საქაშეთის მეხილეთა ამხანაგობის სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს დაწესებულებათა, მოქალაქეთა და ამხ. წევრთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 2 ივლისს

მოხდა ამხანაგობის ლიკვიდაცია

ყველა მოქალაქენი, ვისაც რაიმე მართებს ხსენებულ ამხანაგობას ვალდებულნი არიან დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნების ორი კვირის განმავლობაში შემოიტანონ წერილობითი პრეტენზიები ამხანაგობის სალიკვიდაციო კომისიაში. ვადაგასული პრეტენზია არ მიიღება. დარჩენილ ქონების საჯარო ვაჭრობა დანიშნულია ა. წ. 24 ივლისისათვის. **სალიკვიდ. კომისია.** 3271

შრომის არტელების საყურადღებოდ

საქართველოს ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება აცხადებს ყველა იმ შრომის არტელების საყურადღებოდ, რომლებიც საქართველოს ს.ს.რ. ტერიტორიაზე მოქმედობენ, რომ ა. წ. 15 ივლისიდან 1 ავგისტომდე აღნიშნულ განყოფილების შენობაში (პუშკინის ქ. 3) გამოცხადებულია

შრომის არტელების ხელახალი
რეგისტრაცია

არტელებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ მასალები თავიანთი მუშაობის შესახებ მიმდინარე საოპერაციო წლის პირველი ნახევრის განმავლობაში.

ის შრომის არტელები, რომლებიც არ გატარდებიან ხელახალ რეგისტრაციაში, გამოცხადებული იქნებიან გაუქმებულად.

ნ. 1433. **საქ. ს.მ.უ.ს. ადგილ. მრეწვ. განყოფილება.**

ქ. თბილისის მე-4 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი
ს. გავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ 12 ივლისს 1927 წელს დილის 11 საათზე ქ. თბილისში, მე-8 კომისარიატში, ყოფ. დესიმონოვის (ეხლა კი პეტრიცის ქუჩაზე), № 23, მის მიერ იქნება მოხდენილი საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდვა იმ შენობების ნახევარი უფლებისა, რომელიც ეკუთვნის დავიდ (იგივე ილია). მოსეს-ძე კობიაშვილს, რომელი შენობებიც შესდგებიან ორ ქვის ორ სართულიან სახლებიდან, დახურულნი კრამიტით და აქვთ თერთმეტი საცხოვრებელი ოთახი, სამზარეულო, ორი ოთახების წინშესავალი და სხვ. ეს შენობები არიან აღწერილი პელაგია დანილეს ასული ჯაფარიძის ვალის დასაკმაყოფილებლათ, თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 1927 წლის 10 თებერვლის № 21526 აღმასრულებელ ფურცლისა და სხვებისა. ამ შენობების ნახევარი უფლება არის შეფასებული 2000 მანეთად, რომელი ფასიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.

ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში უნდა მოიქცნენ თანახმად 310, 311 და 312 მუხ. მუხ. სამოქალაქო სასამართლოს საპროცესო კოდექსისა.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შენობების საჯაროთ გაყიდვა ვერ მოხდება, მეორე გაყიდვა მოხდება იმავე ადგილას 1927 წლის 20 ივლისს დილის 11 საათზე. 3268

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი ლ. არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა-წ. 12 ივლისს ნაშუადღევის 2 საათზე გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** ბაგრატ პავლეს-ძე ადამიას სახლი, მდებარე ქ. თბილისში მე-12 მილიციის უბ. დიდუბის და შერემეტიევის ქუჩ. კუთხეში № 9|24. აწერილი სახლი არის ორ სართულიანი, შეიცავს 14 ოთახს, 4 დარაბას, 4 სამზარეულოს და წინა პირში 1 სარდაფი ქვითკირით. შეფასებულია 6800 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყობა ვაჭრობა. ვაჭრობა დანიშნულია ქ. თბილისის აღმასკომის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ვაჭრობის დღეს, სამოქ. საპრ. კოდ. 311 მუხ. გათვალისწინებული ცნობები და საწინდარი 680 მან. 1—1 3275

თბილისის გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 12 ივლისს 1927 წ. საათის 12 დღისა, იერუსალიმის შესახ. № 12 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოხაბედ ბატუაშვილის მოძრავ ქონებას კედლის საათს, ბუფეტის შკაფს, პიანინოს „გროსსი“, 2 ტანისამოსის და ერთი წიგნის შკაფს; 3 მაგიდას, ხალიჩას, მარმარილოს პირსაბანს, ერთ თეთრ სამოვარს, 2 სპილენძის ქართულ ქვაბს, ერთი სპილენძის ტაშტს; შეფასებულ 426 მ. დასაკმაყოფილებლად გრიგოლ ხოჯაიანცისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 3266

ფინსახკომის გამგებლ. მყოფი სათანადო უფლებით აღჭურვილი
ორწლიანი
ეკონომ—ფინანსიური
კურსები.
უმზადებს მუშაკებს: კომისარიატებს, აღმასკომებს, ტრესტებს, ბანკებს, კოოპერატივებს და ყოველგვარ კომერციულ დაწესებულებებს.
საგნები: ფინანსები (ზოგადი კურსი, ფინანსიური პოლიტიკა, ადგილობრივი ფინანსები, რესპუბლიკანური ბიუჯეტი, პირდაპირი გადასახადი, არაპირდაპირი გადასახადი, არასაგადასახ. შემოსავალი, სახელმწიფო კრედიტი), პოლიტიკური ეკონომია (ზოგადი კურსი, ეკონომიური პოლიტიკა, ეკონ. მოძღვ. ისტორია, ფული, კრედიტი, ბირჟა), სტატისტიკა, ეკონ. გეოგრაფია, კომუნალური მეურნეობა, კოოპერაცია, ვაჭრობის თეორია და პრაქტიკა, საქონელთ—მეტყველება, კომერციული კორესპონდენცია და საქმის წარმოება, ბუხჰალტერია (ზოგადი, სპეციალური), სავაჭრო და საფინანსო გაძთანგარიშება, იურიდიული საგნები და სხვა.
მიიღებიან: 1. საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი. 2. დაწესებულებათა თანამშრომელნი—კურს დაუმთავრებელნი—კოლოკვიუმით.
გადასახადი: წლიურ. 120 მ. სემესტრში 60 მ.
განცხადება მიიღება დილის 10—1 ს-დე, გარდა უქმეებისა. განცხადებასთან სავალდებულოა 30 მან. შემოტანა, შეიძლება ფოსტით. მისამართი: თბილისი, წულუკიძის ქ. (ყოფ. კრუზენშტეინის) № 10. **ადმინისტრაცია.**
10—1 ნ. 1435.

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი დი მათი შედეგები) **სპეციალისტი.**
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე.
ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანსახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 13—1

დაკარგა მოწმობა ზუგდიდის ჰუმანიტარული ტეხნიკუმის კურსის დამთავრების შესახებ, მეტრიკული ამონაწერის თანდართვით მარიამ ვლადიმირის ასული მეუნარგიას სახელზე ჩ. გ. 3265

დაკარგა მბეჭდავთა კავშირის წიგნაკი № 171778 მ. თვალაძის სახელზე ჩ. გ.

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი, გაცემული მ.-გ. მილიციის მე-12-ე უბნის მიერ ივანე ივანეს ძე ბარაბაძის სახელზე, ჩ. გ. 3270

დაკარგა თფილისის 1-ლი ქიმიურ ტეხნიკუმის მიერ გაცემული მოწმობა (ატესტატი) № 692 ილია ანდრიას ძე წიკლაურის სახელზე, ჩ. გ. 3273

დაკარგა პირადობის მოწმობა, მოცემული ლანჩხუთის აღმასკომის მიერ შოთა ახალოს ძე გოგეშვილის სახელზე, ჩ. გ. 3272

დაკარგა მეტრიკული ამონ წერი. გაცემული გორის მმართველობისაგან კეკე განჯელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3278

პროფ. ზ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განაახლა ავადმყოფების მიღება პლეხანოვის პრ. № 58.
13—1

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2440 ლიდა გაწერელიას სახელზე, ჩ. გ. 3279

დაკარგა ინვალიდობის მოწმობა № 184 ვასო ქოქიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3278

დაკარგა ინვალიდობის მოწმობა № 180 ლევან ხუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3278

დაკარგა ლაფშა ცხენის მოწმობა, გაცემული ქუთაისის ქალაქის მილიციიდან პავლე დარჯანიას სახელზე, ჩ. გ. 3278

დაკარგა ინვალიდობის მოწმობა № 183 ილო ხუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3278

დაკარგა აღრიცხვის ნუსხა № 46, მიღებული ლანჩხუთის რაიონის თემაღმასკომიდან კოლია წილოსანის სახელზე, ჩ. გ. 3278

დაკარგა ინვალიდობის მოწმობა № 181 ბესო ჯანიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 3278

დაკარგა ინვალიდობის მოწმობა № 182 იოველ ჯანიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3278

დაკარგა ხეზე მომუშავე პროფკავშირის წიგნაკი № 1105 ვლადიმერ ახობაძის სახელზე. ჩ. გ. 3278

ალმასკომის სტამბა, კალოს ქ. 68.